არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

# ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი

## II

თბილისი
2011

მთავარი რედაქტორი – **თამარ ვაშაკიძე**
რედაქტორები: **შუქია აფრიდონიძე**
**თინათინ ღვინაძე**
პასუხისმგებელი მდივანი – **თეა ტეტელოშვილი**

ავტორ-შემდგენლები:

**შუქია აფრიდონიძე**
**თამარ ვაშაკიძე**
**ვახტანგ მაღრაძე**
**თეა ტეტელოშვილი**
**თინათინ ღვინაძე**
**ნინო ჯორბენაძე**

კონსულტანტი – **ავთანდილ არაბული**

ტექ. რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**
ყდის დიზაინერი – **ქეთევან გოგავა**
ოპერატორი – **რუსუდან რატიანი**

© არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ......................................... 5
პირობითი ნიშნები .................................. 11
შემოკლებანი ............................................ 12
ორთოგრაფიულ-სტილისტიკური
ლექსიკონი ............................................ 17
დანართი I. ხმოვანზე ფუძეგათავე-
ბული სახელების მართლწერა .......... 327
დანართი II. პუნქტუაციის წესები ......... 346
წყაროები .................................................... 363

# წინასიტყვაობა

**ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის** II ნაკვეთი ძირითადად შედგენილია თანამედროვე პრესაში დაშვებული ენობრივი შეცდომების გათვალისწინებით. შემდგენლები შეეცადნენ, არ გაემეორებინათ ლექსიკონის I ნაკვეთში შეტანილი მასალა, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რთული შედგენილობის სიტყვათა მართლწერას.

ლექსიკონს ერთვის ორი დანართი: 1) ხმოვნებზე ფუძეგათავებული საკუთარი სახელების (ადამიანის სახელებისა და ცნობილ პირთა გვარების, აგრეთვე, ზოგიერთი აბრევიაციის) მართლწერა; 2) პუნქტუაციის წესები (ორივე დანართი მოამზადა **შუქია აფრიდონიძემ**).

ავტორ-შემდგენლები ხელმძღვანელობდნენ შემდეგი წყაროებით: ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (1998); თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (1970, 1986); ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი (1965, 1988, 2005); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII (1950-1964); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკო-

ნი, ახალი რედაქცია, ტ. I-II, თბ., 2008-2010; მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1989); ქართული სიტყვის კულტურის საკითხები (I-XII); შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული (2002, 2007, 2009); ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი (2002); ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004; ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, თბ., 2009; ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბ., 2011.

## ლექსიკონის აგებულება და სარგებლობის წესები

ლექსიკონის II ნაკვეთშიც ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომები (ზოგჯერ – სტილისტიკურიც) გასწორებულია დიდ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიღებული [და არა], [კი არა] აღნიშვნების მიხედვით, მაგ., **ამოჰქონდა** [და არა ამოქონდა]; [ქილერი კი არა] **კილერი** და სხვ.

გათვალისწინებულია სიტყვათა პარალელური ვარიანტები, მაგ, **გამოითქმება** // **გამოითქმის**; **აქამდე** // **აქამდის** და ა. შ.

კუმშვად და კვეცად სახელებს, აგრეთვე **ა**-სა და **ე**-ზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ ფორმებს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ნათესაობითის ფორმა (ნახევარკვადრატში მოცემულია



სავრცობი ხმოვნები: **ა** – კუმშვად და კვეცად სახელებთან, **ი** – უკვეცელებთან, რაც მიანიშნებს შესაძლო პარალელურ ვარიანტებზე), მაგ., **მალალჩინოსანი** (მაღალჩინოსნის⌜ა⌝), **ნარკომოვაჭრე** (ნარკომოვაჭრის⌜ა⌝), **მატყუარა** (მატყუარას⌜ი⌝), **კუპე** (კუპეს⌜ი⌝) და სხვ.

სახელს ბრუნვა შემოკლებით მიეწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ბრუნვის ფორმა ემთხვევა ერთმანეთს, მაგ., **ბრენდი** (ბრენდიმ, მიც. ბრენდის).

სახელის ბოლოკიდური **ი**, რომელსაც ხაზი აქვს გასმული (მაგ., **ჰობი**), ფუძისეულია, ხოლო სხვა შემთხვევაში – სახ. ბრუნვის ნიშანი.

ზმნები, ტრადიციისამებრ, მოცემულია საკვანძო ფორმებით: მე-3 პირის მხოლოობითი რიცხვი, აწმყო ან მყოფადი, ნამყო სრული, I და II თურმეობითები. საჭიროების შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია I და II პირის ფორმებიც: **გაუძლვება**; **გაუძლვა** (**გავუძეხი**, **გაუძეხი**); **გასძღოლია**; **გასძღოლოდა**...

ერთი და იმავე ფუძის შემცველი ზმნური ფორმები, რომლებსაც განსხვავებული რაოდენობის პირები შეეწყობა, გამიჯნულია სათანადო (ჩვეულებრივ, III ობიექტური) პირის ნიშნებით, ნაცვალსახელებითა და კონტექსტში შეწყობილი არსებითი სახელებით, მაგ., **ტყორცნის** (სპორტსმენი ბადროს), მაგრამ: **სტყორცნის** (მზე სხივს

ფანჯარას), **კრავს** (ზარგს), მაგრამ: **ჰკრავს** (მას ხელს)...

ლექსიკონში გათვალისწინებულია რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებიც, მაგ., **მიუვარდა** (ის), მაგრამ: **მიუცვივდნენ** (ისინი მას / მათ), **მიუჯდება** (ის), მაგრამ: **მიუსხდება** (ხალხი), **მიუსხდებიან** (ისინი) და ა. შ.

დიდი ადგილი ეთმობა რთული შედგენილობის ერთეულებს, მაგ., **დედა-შვილი**, მაგრამ: **დედაშვილობა**, **დედაშვილური**; **ნათელ-მირონი**, მაგრამ: **ნათელმირონობა**; **კვლევა-ძიება**, მაგრამ: **კვლევაძიებითი**; **დიდი მარხვა**, მაგრამ: **დიდმარხვა**; **დედა ღვთისა**, მაგრამ: **ღვთისმშობელი**; **ზემოთ აღნიშნული**, მაგრამ: **ზემოაღნიშნული**; **ათი ათასი**, მაგრამ: **ათიათასჯერ**, **ათიათასობით**; **საინტერნეტო სივრცე**, მაგრამ: **ინტერნეტსივრცე**; **ათენ-აღამებს**; **ათენ-აღამა**; **უთენ-უღამებია**; **ეთენ-ეღამებინა** და სხვ.

ლექსიკონში გათვალისწინებულია აგრეთვე თანამედროვე ქართულში ყველაზე ხშირად გამოვლენილი პარონიმული წყვილები, რომლებსაც, ბუნებრივია, განმარტებებიც ახლავს (ან პარონიმული წყვილისა თუ სამეულის თითოეულ წევრს მრგვალ ფრჩხილებში მიეწერება კონტექსტის მიხედვით შეწყობილი ფორმები), მაგ., **გასამართლებელი – გასასამართლებელი**; **გასამართლებელი**: 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი



გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს (**გასამართლებელი** საბუთი); **გასასამართლებელი**: ვინც უნდა გაასამართლონ, სამართალში მისცენ; **პარლამენტარული** (პარტია) – **პარლამენტური** (რესპუბლიკა) – **საპარლამენტო** (არჩევნები) და ა. შ.

საჭიროების შემთხვევაში მეთაურ სიტყვასთან წარმოდგენილია მოკლე კომენტარი-რეკომენდაცია, მაგ., **სხვადასხვა**: მოითხოვს სახელს მხოლოობითი რიცხვის ფორმით (**სხვადასხვა ქვეყანა**)...

ჩასწორებულია სტილისტიკური შეცდომებიც, მაგ., [ჩამოშლა კი არა] **დაშლა** (სახელმწიფოსი); [ჩართულობა კი არა] **ჩართვა** (ამა თუ იმ საკითხში); [შეუმდგარი, არშემდგარი კი არა] **გაუმართავი**, **ჩამორჩენილი**, **წარუმატებელი** (სახელმწიფო) და სხვ.

ახლად ნასესხებ სიტყვებს ზოგჯერ განმარტებებიც ახლავს, მაგ., **ბონუსი**: 1. დამატებითი ანაზღაურება, რომელიც შეიძლება პრემიის ან სხვა სახით გაიცეს; 2. გამყიდველის მიერ საქონელზე დამატებითი ფასდაკლება გარიგების ან ცალკე მოლაპარაკების საფუძველზე.

სამედიცინო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით კვალიფიციური კონსულტაციისათვის

მადლობას მოვახსენებთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ოთარ ტატიშვილს**.

ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი მადლობას უცხადებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს – ქალბატონ **ლალი ეზუგბაიას** – ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის (II ნაკვეთი) გამოცემაში მხარდაჭერისათვის.

ყველა საქმიან შენიშვნასა თუ სურვილს ლექსიკონის შემდგენლები მადლიერებით მიიღებენ.

**თამარ ვაშაკიძე**



# პ ი რ ო ბ ი თ ი  ნ ი შ ნ ე ბ ი

[დ ა  ა რ ა...]: სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი: **კილერი** [დ ა  ა რ ა ქილერი]

[...კ ი  ა რ ა]: სწორი ფორმის წინამავალი უმართებულო ფორმა: [აბხაზი კ ი  ა რ ა] **აფხაზი**

...//...: სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობის (თუ ფუნქციის) მქონე ფორმები: **გამოითქმება** // **გამოითქმის**

(...//) ან (//...): დასაშვები ფორმები: (**ააფრთოვანებს** //) **აღაფრთოვანებს**; **მღელვარე** (// **მღელვარი**)

[...//] ან [//...]: გაქრობის გზაზე მდგომი ფორმები: [ლუნატიკი //] **მთვარეული**; **ნატიურმორტი** [// **ნატურმორტი**]

/ : წილადის ხაზით გამიჯნულია სიტყვათშეხამებათა ცვალებადი წევრები: **ორგანიზაციული** მუშაობა / საქმიანობა...

– : ტირეთი გამიჯნულია პარონიმები: **ჟურნალისტური** (გამოცდილება...) – **ჟურნალისტიკური** (კვლევა...)

## შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აბრ. – აბრევიაცია
ანატ. – ანატომია, ანატომიური
ბიოლ. – ბიოლოგია, ბიოლოგიური
ბრძან. – ბრძანებითი
გადატ. – გადატანითი მნიშვნელობით (ხატოვნად)
გრამატ. – გრამატიკა, გრამატიკული
და ა. შ. – და ასე შემდეგ
და სხვ. – და სხვა
ე. ი. – ესე იგი
ე. წ. – ეგრეთ წოდებული
თეატრ. – თეატრალური
ისტ. – ისტორია, ისტორიული
კუნძ. – კუნძული
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლიტ. – ლიტერატურა, ლიტერატურული
მაგ. – მაგალითად
მათემ. – მათემატიკა, მათემატიკური
მდ. – მდინარე
მედიც. – მედიცინა, სამედიცინო
მისთ. – მისთანანი
მიც. – მიცემითი ბრუნვა
მოქმ. – მოქმედებითი ბრუნვა
მოძვ. – მოძველებული
მრ. – მრავლობითი რიცხვი
მუს. – მუსიკა, მუსიკალური
ნათ. – ნათესაობითი ბრუნვა
ნეოლოგ. – ნეოლოგიზმი



პოლიტ. – პოლიტიკა, პოლიტიკური
რელიგ. – რელიგია, რელიგიური
სამართ. – სამართალი
საპირისპ. – საპირისპირო
საუბ. – საუბრული, სასაუბრო
სახ. – სახელობითი ბრუნვა
სოფ. – სოფელი
სპეც. – სპეციალური
სპორტ. – სპორტი, სპორტული
ტექ. – ტექნიკა, ტექნიკური
ფარმაკ. – ფარმაკოლოგია, ფარმაკოლოგიური
ფიზ. – ფიზიკა, ფიზიკური
ფილოს. – ფილოსოფია, ფილოსოფიური
ფინანს. – ფინანსები, საფინანსო
ფსიქ. – ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური
ქ. – ქალაქი
ქვ. – ქვეყანა
ქიმ. – ქიმია, ქიმიური
შდრ. – შეადარე
ძვ. – ძველი
წიგნ. – წიგნისა, წიგნური
ხელოვნ. – ხელოვნება, ხელოვნებისა

# ქართული ანბანი

| | | | |
|---|---|---|---|
| ა | ან | ს | სან |
| ბ | ბან | ტ | ტარ |
| გ | გან | უ | უნ |
| დ | დონ | ფ | ფარ |
| ე | ენ | ქ | ქან |
| ვ | ვინ | ღ | ღან |
| ზ | ზენ | ყ | ყარ |
| თ | თან | შ | შინ |
| ი | ინ | ჩ | ჩინ |
| კ | კან | ც | ცან |
| ლ | ლას | ძ | ძილ |
| მ | მან | წ | წილ |
| ნ | ნარ | ჭ | ჭარ |
| ო | ონ | ხ | ხან |
| პ | პარ | ჯ | ჯან |
| ჟ | ჟან | ჰ | ჰაე |
| რ | რაე | | |

# ა

ააგებინებს; ააგებინა; აუგებინებია; აეგებინებინა

ააგებს; ააგო; აუგია; აეგო

ააგლეჯინებს; ააგლეჯინა; აუგლეჯინებია; აეგლეჯინებინა

ააგლეჯს; ააგლიჯა; აუგლეჯია; აეგლიჯა

აავარდისფრებს (// აავარდისფერებს); აავარდისფრა (// აავარდისფერა); აუვარდისფრებია (// აუვარდისფერებია); აევარდისფრებინა (// აევარდისფერებინა)

აავსებინებს; აავსებინა; აუვსებინებია; აევსებინებინა

აავსებს; აავსო; აუვსია; აევსო

ააზიდვინებს; ააზიდვინა; აუზიდვინებია; აეზიდვინებინა [და არა ააზიდინებს, ააზიდინა...]

აათვალიერ-ჩაათვალიერებს (// აათვალ-ჩაათვალიერებს); აათვალიერ-ჩაათვალიერა (// აათვალ-ჩაათვალიერა); აუთვალიერ-ჩაუთვალიერებია (// აუთვალ-ჩაუთვალიერებია); აეთვალიერ-ჩაეთვალიერებინა (// აეთვალ-ჩაეთვალიერებინა)

აათვისებინებს; აათვისებინა; აუთვისებინებია; აეთვისებინებინა

ააკინძვინებს; ააკინძვინა; აუკინძვინებია; აეკინ-

ძვინებინა [და არა აკინძინებს, აკინძინა...]

აკრძალვინებს; აკრძალვინა; აუკრძალვინებია; აეკრძალვინებინა [და არა აკრძალინებს, აკრძალინა...]

აალაგებინებს; აალაგებინა; აულაგებინებია; აელაგებინებინა

აალაგებს; აალაგა; აულაგებია; აელაგებინა

აალოკვინებს; აალოკვინა; აულოკვინებია; აელოკვინებინა [და არა აალოკინებს, აალოკინა...]

აამუშავებინებს; აამუშავებინა; აუმუშავებინებია; აემუშავებინებინა

აამუშავებს; აამუშავა; აუმუშავებია; აემუშავებინა

აანაზღაურებინებს; აანაზღაურებინა; აუნაზღაურებინებია; აენაზღაურებინებინა

აანაზღაურებს; აანაზღაურა; აუნაზღაურებია; აენაზღაურებინა

აანგარიშებინებს; აანგარიშებინა; უანგარიშებინებია; ეანგარიშებინებინა

აატარ-ჩამოატარებს; აატარ-ჩამოატარა; აუტარ-ჩამოუტარებია; აეტარ-ჩამოეტარებინა

აატკივებს; აატკივა; აატკივოს; აუტკივებია; აეტკივებინა [და არა აატკიებს, აატკია...]

(ააფრთოვანებს //) აღაფრთოვანებს; (ააფრთოვანა //) აღაფრთოვანა; (აუფრთოვანებია //) აღუფრთოვანებია; (აეფრთოვანებინა //) აღეფრთოვანებინა



ააყვანინებს; ააყვანინა; აუყვანინებია; აეყვანინებინა

ააყოლ-ჩააყოლებს; ააყოლ-ჩააყოლა; აუყოლ-ჩაუყოლებია; აეყოლ-ჩაეყოლებინა

ააშრობს; ააშრო (ავაშრე, ააშრე); აუშრია; აეშრო

(ააშფოთებს //) აღაშფოთებს; (ააშფოთა //) აღაშფოთა; (აუშფოთებია //) აღუშფოთებია; (აეშფოთებინა //) აღეშფოთებინა

ააძრობს; ააძრო (ავაძვრე, ააძვრე); აუძვრია; აეძრო

ააწყობინებს; ააწყობინა; აუწყობინებია; აეწყობინებინა

ააწყობს; ააწყო (ავაწყვე, ააწყვე); აუწყვია; აეწყო

აახედვინებს; აახედვინა; აუხედვინებია; აეხედვინებინა [და არა აახედინებს, აახედინა...]

აახსნევინებს; აახსნევინა; აუხსნევინებია; აეხსნევინებინა

აბადია (არაფერი არ აბადია; არა აბადია რა)

აბდაუბდა (აბდაუბდის⌜ა⌝)

აბსოლუტი – აბსოლუტივი; აბსოლუტი: ფილოს. სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი; სული; ღმერთი; აბსოლუტივი: სპეც. დამოუკიდებელი, თვითკმარი

აბსტრაქცია; აბსტრაქტული

აბსტრაქციონისტი: აბსტრაქციონისტული

აბურძგნილი (// აბურძგნული)

**აგეგმვა – დაგეგმვა**; **აგეგმვა**: ადგილმდებარეობის განსაზღვრა რუკის შესადგენად; **დაგეგმვა**: 1. გეგმის შედგენა; 2. ღონისძიებათა პროექტის შედგენა (მუშაობის **დაგეგმვა**)

**აგეგმვა-აღრიცხვა**

**აგეგმვინებს; (და)აგეგმვინა; (და)უგეგმვინებია; (და)ეგეგმვინებინა** [დ ა  ა რ ა  აგეგმინებს, (და)აგეგმინა...]

**აგერ-აგერ; აგერ-ეგერ**

**აგვხედ-დაგვხედავს; აგვხედ-დაგვხედა; აუხედ-დაუხედავს; აეხედ-დაეხედა**

**აგზავნინებს (გა)აგზავნინა; (გა)უგზავნინებია; (გა)ეგზავნინებინა**

**აგზნებადი // აღგზნებადი; აგზნებადობა // აღგზნებადობა**

**აგორავებს; აგორავა; უგორავებია; ეგორავებინა**

**აგორებს; აგორა; უგორებია; ეგორებინა**

**აგრერიგად**

**ადათ-ჩვევები** (მ რ.); **ადათ-წესები** (მ რ.)

**ადამიანიშვილი: ადამიანიშვილური**

**ადამის დროისა**, მ ა გ რ ა მ: **ადამისდროინდელი**

**ადგას** [დ ა  ა რ ა  ადგია]

**ადგილ-ადგილ**

**ადგილ-მამული**, მ ა გ რ ა მ: **საადგილმამულო**

**ადგილმდებარეობა**



**ადგილსამყოფელი** (ადგილსამყოფლის⌜ა⌝)

**ადვილსარეგულირებელი**, მ ა გ რ ა მ: **ადვილად სარეგულირებელი**

**ადვილცვალებადი**, მ ა გ რ ა მ: **ადვილად ცვალებადი**

[ადიალა კ ი  ა რ ა ] **საბანი, გადასაფარებელი**

**ადი-ჩამოდის; ადი-ჩამოდიოდა; ადი-ჩამოდიოდეს**

**ადმინისტრატორი: ადმინისტრატორული; საადმინისტრატორო**

**ადმინისტრაცია: ადმინისტრაციული**

**ადმინისტრირება**

**ადრე და მალე**

**ადრე თუ გვიან**

**ადრეული – ადრინდელი; ადრეული** (ხილი); **ადრინდელი** (ამბავი)

**ადრექრისტიანული**

**ადრიდან; ადრიდანვე**

**ადღეგრძელებს; ადღეგრძელა; უდღეგრძელებია; ედღეგრძელებინა** [დ ა  ა რ ა  ადღეგძელებს...]

**აერობიკა** (აერობიკის⌜ა⌝)

**აეროდრომი – აეროპორტი; აეროდრომი**: საგანგებოდ მოწყობილი მოედანი თვითმფრინავების სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად; **აეროპორტი**: საჰაერო პორტი მგზავრების

(აგრეთვე ტვირთისა თუ ფოსტის) მისაღებად და გასაგზავნად

**ავადმყოფი**: **ავადმყოფური**; **ავადმყოფობა**

**ავალდებულებს** – **ავალებს** – **ავალიანებს**; **ავალდებულებს** (= ვალდებულს ხდის); **ავალებს** (= დავალებას აძლევს; აკისრებს); **ავალიანებს** (= ვალში აგდებს)

**ავანგარდიზმი** (ავანგარდიზმმა)

**ავანგარდისტი**

**ავანსი** (ავანსს)

**ავანტიურული** – **ავანტიურისტული**; **ავანტიური**: სარისკო (ხიფათიანი, სათავგადასავლო) საქმიანობა (ხშირად უპერსპექტივო); **ავანტიურისტული**: ავანტიურისტის შესაფერისი, მისთვის დამახასიათებელი (**ავანტიურისტული** ქმედება)

**ავანჩავანი**; ავანჩავანობა

**ავბედობა**

**ავისმომასწავებელი** (ავისმომასწავებლად)

**ავი სული**, მ ა გ რ ა მ: **ავსული**

**ავიწროებს** [დ ა  ა რ ა  ავიწროვებს], მ ა გ რ ა მ: **დაავიწროვა**

**ავ-კარგი**, მ ა გ რ ა მ: **ავკარგიანი**; **ავკარგიანობა**

**ავკაცობა**; **ავკაცური** (ავკაცურად)

**ავსიტყვა** (ავსიტყვას⌜ი⌝)



**ავსული** (ავსულობა), მ ა გ რ ა მ: **ავი სული**

**ავტობიოგრაფიული** (მონაცემები) – **ავტოგრაფული** (ხელწერის თავისებურებანი)

**ავტომატიკა** – **ავტომატიზმი** – **ავტომატიზაცია**; **ავტომატიკა** (= ტექნიკის დარგი; ერთობლიობა მექანიზმებისა, რომლებიც ავტომატურად იმართება); **ავტომატიზმი** (= შეუგნებელი, არაგაცნობიერებული მოქმედება); **ავტომატიზაცია** (= წარმოების აღჭურვა ავტომატური მექანიზმებით)

**ავტომოყვარული**

**ავტონომია**: **ავტონომიური**

**ავტოპორტრეტი**

**ავტორი**; **ავტორიზებული**

**ავტორ-რედაქტორი**

**ავტორ-შემდგენელი** (ავტორ-შემდგენლის⌜ა⌝)

**ავტოსაგზაო**

**აზომ-დაზომავს**; **აზომ-დაზომა**; **აუზომ-დაუზომავს**; **აეზომ-დაეზომა**

**აზრობრივად**

**ათას-ათასი** (ათას-ათასს)

**ათასგვარი** (ათასგვარად)

**ათას ერთი**; **ათას ორი**...

**ათასნაირი** (ათასნაირად)

**ათასფერი** (ათასფრად // ათასფერად)

**ათასფეროვანი** (ათასფეროვნად)

**ათენ-აღამებს; ათენ-აღამა; უთენ-უღამებია; ეთენ-ეღამებინა**

**ათვალიერებინებს; (და)ათვალიერებინა; (და)-უთვალიერებინებია; (და)ეთვალიერებინე-ბინა**

**ათვალიერებს; (და)ათვალიერა; (და)უთვალიე-რებია; (და)ეთვალიერებინა**

**ათვითცნობიერებს; (გა)ათვითცნობიერა; (გა)-უთვითცნობიერებია; (გა)ეთვითცნობიერე-ბინა**

**ათი ათასი** (ათი ათასს), მ ა გ რ ა მ: **ათიათასჯერ; ათიათასობით**

**ათი-თერთმეტი; ათი-თორმეტი...**

**ათ-ნახევარი** (ათ-ნახევრად)

**ათნიშნა** (ათნიშნას⌜ი⌝); **ათნიშნიანი**

**აიარ-ჩაიარა**

**აიწ-დაიწევს; აიწ-დაიწია; აწეულ-დაწეულა; აწეულ-დაწეულიყო**

**აკითხებს – აკითხვინებს; აკითხებს**: წააკითხებს; სთხოვს ან ავალებს ვინმეს, წაიკითხოს (ლექსს **აკითხებს**); **აკითხვინებს**: დაავალებს, ვინმეს ჰკითხოს (ამბავს **აკითხვინებს**)

**აკლასიფიცირებს; (და)აკლასიფიცირა; (და)უკ-ლასიფიცირებია; (და)ეკლასიფიცირებინა**

**აკლიმატიზაცია; აკლიმატიზება: აკლიმატიზე-ბული**



**აკრებინებს – აკრეფინებს; აკრებინებს** (ხალხს / რიცხვებს); **აკრეფინებს** (მარცვლებს / ხილს / ტელეფონის ნომერს / მბეჭდავს ტექსტს...)

**აკრედიტება: აკრედიტებული**

**აკრედიტივი**

**ალაგ-ალაგ**

**ალალბედად; ალალბედზე**

**ალალ-მართალი** (ალალ-მართლის⌜ა⌝)

**ალბათობა**

**ალპინიადა – ალპინიზმი; ალპინიადა**: ალპინის-ტების მასობრივი ლაშქრობა მაღალმთიან ადგილებში; **ალპინიზმი**: მთამსვლელობა, სამთო ტურიზმი

**ალტერნატივა – ალტერნაცია; ალტერნატივა**: ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუ-ცილებლობა: „გამოსვლის რეგლამენტი უცე-რემონიოდ მაყენებს **ალტერნატივის** წინაშე“ (გ. ფანჯ.); **ალტერნაცია**: ლ ი ნ გ ვ. ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის ფუძეში

**ამა თუ იმ** (ს ა ხ. ესა თუ ის)

**ამაო; ამაოდ**

**ამარა** (პერანგის ამარა)

**ამართვინებს; ამართვინა; უმართვინებია; ემარ-თვინებინა**

ამართლებინებს; (გა)ამართლებინა; (გა)უმართლებინებია; (გა)ემართლებინებინა

ამართლებს; (გა)ამართლა; (გა)უმართლებია; (გა)ემართლებინა

ამარტივებინებს; (გა)ამარტივებინა; (გა)უმარტივებინებია; (გა)ემარტივებინებინა

ამარტივებს; (გა)ამარტივა; (გა)უმარტივებია; (გა)ემარტივებინა

ამასწინათ; ამასწინანდელი (ამასწინანდლის⌜ა⌝)

ამაღამ; ამაღამდელი

ამაღელვებელი (ამაღელვებლად)

ამაღლებულ-დადაბლებული

ამა წლის; ა. წ. (ოფიციალურ მიწერ-მოწერაში თარიღის აღნიშვნისას)

ამბივალენტური: ერთმანეთის საპირისპირო გრძნობების (სიყვარული – სიძულვილი...) შემცველი; გაორებული

ამგვარი (ამგვარად)

ამ გზით

ამდაგვარი (ამდაგვარად)

ამდენ-ამდენი

ამდენი – ამოდენა; ამდენი (რაოდენობა: ამდენი ბავშვი / ყვავილი...); ამოდენა (ზომა: ამოდენა კაცი / სახლი...)

ამდენი და ამდენი, მ ა გ რ ა მ: ამდენ-ამდენი



ამდენი ხანია

ამდენნაირი (ამდენნაირად)

ამდენ ხანს; ამდენ ხანში

ამ დილას // ამ დილით

ამ დროიდან, მ ა გ რ ა მ: ამდროინდელი

ამ დღეს, მ ა გ რ ა მ: ამდღევანდელი (ამდღევანდელის⌜ა⌝)

ამერ-იმერი

ამვლელ-ჩამვლელი

ამთელებს – ამრთელებს; ამთელებს: მთელს ხდის; ამრთელებს: კურნავს, არჩენს

ამისდაგვარი; ამდაგვარი

ამისდა მიუხედავად

ამისდა მიხედვით

ამისთანა (ამისთანას⌜ი⌝)

ამისნაირი (ამისნაირად)

ამის შემდეგ; მას შემდეგ

ამიტომ, ამის გამო – ამისათვის; ამიტომ, ამის გამო (მიზეზი: ლუკამ გვიან გაიღვიძა, ამიტომ // ამის გამო სკოლაში დააგვიანდა); ამისათვის (მიზანი: გამოცდები რომ უკეთ ჩააბარო, ამისათვის მეტი შრომაა საჭირო)

ამ მხრივ // ამ მხრით

ამნაირი (ამნაირად)

**ამოგლეჯს**; **ამოგლიჯა** (ბალახი), მ ა გ რ ა მ: **ამოჰგლეჯს** (მას ენას)

**ამოდის** (მზე), მ ა გ რ ა მ: **ამოსდის** (სული; მზე ვინმეზე)

**ამოკვეთს**; **ამოკვეთა** (ასოები ქვაზე), მ ა გ რ ა მ: **ამოჰკვეთს** (მას სიმსივნეს)

**ამოსჭამს**, **ამოსჭამა** (ტვინი), მ ა გ რ ა მ: **ამოჭამა** (ქვეყანა)

[ამოქონდა კ ი ა რ ა ] **ამოჰქონდა**

[ამოყავს კ ი ა რ ა ] **ამოჰყავს**

**ამოჰქონდა**

**ამოჰყავს**

**ამჟამად**; **ამჟამინდელი**

**ამრევ-დამრევი**

**ამ საღამოს**

**ამ სახით**

**ამსიმძიმე** (ტვირთი)

**ამსიშორე**

**ამქვეყნად** (= ქვეყანაზე); **ამქვეყნიური**, მ ა გ რ ა მ: **ამ ქვეყნად** (ვით. ბრ. შესიტყვებისა **ეს ქვეყანა**)

**ამყოლ-დამყოლი**

**ამცნობს**; **ამცნო**; **უმცნია**; **ემცნო**

**ამწამსვე** (მოვა), მ ა გ რ ა მ: **ამ წამს** (ელოდებოდა)



**ამწევ-დამწევი**

**ამწონ-დამწონი**

**ამწუთას** (მოვა), მაგრამ: **ამ წუთს** (ელოდებოდა)

**ამხანაგ-მეგობრები** (მ რ.)

**ამხელს – ამხილებს**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სააშკარაოზე გამოჰყავს (ან გამოაქვს) და კიცხავს ვინმეს რაიმე ურიგო საქციელის გამო, მ ა გ რ ა მ **ამხელს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ავლენს, ამჟღავნებს: „თქვენივე სახე **ამხელს** თქვენს საიდუმლოს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.); 2. გააცხადებს, ამბობს: „არც გვარს **ამხელენ**, არც სახელს“ (აკაკი)

**ანალიზურ-სინთეზური** (ანალიზურ-სინთეზურად)

**ანაქრონიზმი** (ანაქრონიზმმა)

**ანაქრონისტი**: **ანაქრონისტული**

**ანგაჟირება**: **ანგაჟირებული**

**ანდაზა-გამოცანები** (მ რ.)

**ანემია**: **ანემიური**

**ანკეტა**: **ანკეტური**; **საანკეტო**

**ანკი** (= ანდა)

**ანონსი – ანონსირება**; **ანონსი**: წინასწარი განცხადება; **ანონსირება**: ანონსის გამოქვეყნება

**ანსამბლი**: **ანსამბლური**; **ანსამბლურობა**

**ანტიდემოკრატიული** (ანტიდემოკრატიულად)

**ანტიკვარი – ანტიკვარიატი; ანტიკვარი:** ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე ან ამგვარი ნივთების შემგროვებელი; **ანტიკვარიატი:** ანტიკვარული ნივთების ერთობლიობა

**ანტიკრიტიკა: ანტიკრიტიკული**

**ანტინარკოტიკული**

**ანტიპარლამენტარიზმი** (ანტიპარლამენტარიზმმა)

**ანტირელიგიური**

**ანტისაზოგადოებრივი**

**ანტისანიტარია: ანტისანიტარიული**

**ანტისახელმწიფოებრივი**

**ანტისეისმური**

**ანტიხალხური**

**ანტიჰუმანური**

**ანულირება: ანულირებული**

[ანცალკევებს კ ი  ა რ ა] **აცალკევებს**

**აპენდიქსი – აპენდიციტი; აპენდიქსი:** ბრმა ნაწლავის დანამატი, ჭიაყელა ნაწლავი; **აპენდიციტი:** აპენდიქსის ანთება

**აპოვნინებს; აპოვნინა; უპოვნინებია; ეპოვნინებინა**

**აპოლიტიკური** (აპოლიტიკურად); **აპოლიტიკურობა**



**აპოლოგი – აპოლოგეტი; აპოლოგი:** მცირე ზომის ნაწარმოები იგავ-არაკის ტიპისა; **აპოლოგეტი:** ადამიანი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს აპოლოგიით გამოდის; დამცველი, მომხრე (ქრისტიანობის **აპოლოგეტი**)

**აპრილ-მაისი** (აპრილ-მაისს)

**აპრიორი: აპრიორული**

**აპრობაცია; აპრობირება: აპრობირებული**

**არაადამიანური** (არაადამიანურად)

**არააკურატული** (არააკურატულად)

**არაამქვეყნიური** (არაამქვეყნიურად)

**არაარსებითი** (არაარსებითად)

**არა აქვს // არ აქვს**

**არააქტუალური** (არააქტუალურად)

**არაბულ-სპარსული**

**არაბუნებრივი** (არაბუნებრივად); **არაბუნებრიობა**

**არაგულწრფელი** (არაგულწრფელად); **არაგულწრფელობა**

**არად** (მიაჩნია)

**არადა**

**არა და არა**

**არადაინტერესებული; არადაინტერესებულობა**

**არადამაკმაყოფილებელი** (არადამაკმაყოფილებლად)

**არადამაჯერებელი** (არადამაჯერებლად)

**არადისციპლინირებული** (არადისციპლინირებულად)

**არაევროპული** (ქვეყნები)

**არაეკონომიური** (ხარჯვა)

**არაერთბაშად**

**არაერთგვარი** (არაერთგვარად); **არაერთგვაროვანი** (არაერთგვაროვნად)

**არაერთგზის** ჩემპიონი, მ ა გ რ ა მ: **არა ერთგზის და ორგზის**

**არაერთი**, მ ა გ რ ა მ: **არა ერთი და ორი** (წელი)

**არაერთფეროვანი** (არაერთფეროვნად); **არაერთფეროვნება**

**არაერთხელ**, მ ა გ რ ა მ: **არა ერთხელ და ორჯერ**

**არავითარი; არავითარ შემთხვევაში**

**არაზუსტი** (არაზუსტად)

**არათავისუფალი** (არათავისუფლად)

**არათანაბარი** (არათანაბრად)

**არათანამიმდევრობა // არათანმიმდევრობა**

**არათანამიმდევრული // არათანმიმდევრული**

**არათანასწორუფლებიანი; არათანასწორუფლებიანობა**

**არათითი**

**არათუ**



**არაიოდიზებული** [დ ა ა რ ა არაიოდიზირებული]

**არაიშვიათი // არცთუ იშვიათი**

**არაკანონიერი – არაკანონზომიერი; არაკანონიერი:** კანონის საწინააღმდეგო; უკანონო; **არაკანონზომიერი:** რაც კანონზომიერი არ არის

**არაკაცი: არაკაცური** (არაკაცურად)

**არაკეთილსაიმედო; არაკეთილსაიმედოობა**

**არაკეთილსინდისიერი** (არაკეთილსინდისიერად)

**არაკეთილშობილი: არაკეთილშობილური** (არაკეთილშობილურად)

**არაკვალიფიციური** (არაკვალიფიციურად)

**არაკომპეტენტური** (არაკომპეტენტურად)

**არაკრედიტუნარიანი; არაკრედიტუნარიანობა**

**არალიტერატურული** (არალიტერატურულად)

**არამართებულად // უმართებულოდ**

**არამარკირებული**

**არა მარტო // არა მხოლოდ**

**არამდგრადი; არამდგრადობა**

**არამეგობრული** (არამეგობრულად)

**არამთავარი**

(**არამიზანშეწონილი** //) **მიზანშეუწონელი**

**არამიწიერი**

**არამკითხე**

**არამოქმედი**

**არამტკიცე**

**არამუდმივი**

**არამყარი**

**არამცთუ**

**არამცირედი // არცთუ მცირედი**

**არამწარმოებლური** (არამწარმოებლურად)

**არამხატვრული** (არამხატვრულად)

**არანებისმიერი** (არანებისმიერად)

**არანივთიერი**

**არანორმალური** (არანორმალურად); **არანორმალურობა**

**არაორგანიზებული** (არაორგანიზებულად); **არაორგანიზებულობა**

**არაოფიციალური** (არაოფიციალურად); **არაოფიციალურობა**

**არაპერიოდული** (არაპერიოდულად)

**არაპირდაპირ**

**არაპირდაპირი**

**არაპირველადი**

**არაპროდუქტიული** (არაპროდუქტიულად); **არაპროდუქტიულობა**



**არაპროპორციული** (არაპროპორციულად); **არაპროპორციულობა**

**არაპროფესიონალი**: **არაპროფესიონალური** (არაპროფესიონალურად)

**არარა** (არარად // არად)

**არარაობა** (არარაობის⌜ა⌝)

**არარეალური** – **არარეალისტური**; **არარეალური**: რაც რეალური არ არის; სინამდვილესთან შეუფერებელი (**არარეალური** მოთხოვნა); **არარეალისტური**: რაც რეალისტური არ არის (მწერლის **არარეალისტური** ხედვა)

**არარეგულარული** (არარეგულარულად)

**არარეგულირებული** (არარეგულირებულად)

**არარენტაბელური** (არარენტაბელურად); **არარენტაბელურობა**

**არარსებობა**; **არარსებული** (არარსებულად)

**არასაბოლოო** (არასაბოლოოდ)

**არასაიმედო** (არასაიმედოდ); **არასაიმედოობა**

**არასაკმაო** (არასაკმაოდ) // **არასაკმარისი** (არასაკმარისად)

**არასამუშაო** (დღე / განწყობილება)

**არასამხედროვალდებული**

**არასანუგეშო**

**არასაპატიო**

**არასასაქონლო**

არასასახელო

არასასიამოვნო

არასასიხარულო

არასასურველი

არასაცხოვრებელი

არასახარბიელო

არასგზით; არასდიდებით (ორივე ორმაგ უარყოფას ითხოვს: არასგზით / არასდიდებით არ თანხმდება)

არასდროს // არასოდეს

არასეზონური

არასეისმური

არასერიოზული

არასიზუსტე (არასიზუსტის⌜ა⌝)

არასიმეტრიული; არასიმეტრიულობა

არასისტემური – არასისტემატური; არასისტემური (კვლევა / ანალიზი); არასისტემატური (ვარჯიში...)

არასპეციფიკური

არასრულასაკოვანი (არასრულასაკოვნის⌜ა⌝)

არასრული

არასრულუფლებიანი; არასრულუფლებიანობა

არასრულფასოვანი (არასრულფასოვნის⌜ა⌝, არასრულფასოვნად)



არასრულყოფილი

არასრულწლოვანი (არასრულწლოვნის⌜ა⌝)

არასტაბილური

არასტანდარტული

არასტერილური; არასტერილურობა

არასწორი

არატრადიციული

არატრანსპორტაბელური

არაუადრეს

არაუგვიანეს

არაუზრუნველყოფილი

არაუმეტეს

არა უშავს რა

არაუშუალო

არა უჭირს რა

არაფრის დიდებით (ორმაგ უარყოფას ითხოვს: არაფრის დიდებით არ დაეთანხმა)

არაფრის მთქმელი (გიორგი იმ ამბის შესახებ არაფრის მთქმელი აღარ იყო), მ ა გ რ ა მ: არაფრისმთქმელი (სიტყვები / მზერა)

არაფულადი

არაქართული

არაღირსეული

არაშრომითი

არაჩვეულებრივი (არაჩვეულებრივად)

არაცვალებადი

არაცნობიერი

არაცოცხალი (არაცოცხლად)

არაცხადი

არაძირითადი

არაწესიერი

არაჭეშმარიტი

არახანგრძლივი

არახარისხიანი // უხარისხო

არახელოვნური

არახელსაყრელი; არახელსაყრელობა

არაჯანსაღი

არბენ-ჩამორბენა (აირბენ-ჩამოირბენს)

არბიტრი – არბიტრაჟი; არბიტრი: 1. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის; მედიატორე; 2. ს პ ო რ ტ. მთავარი მსაჯი; არბიტრაჟი: სადავო საკითხების გადაწყვეტა არბიტრების საშუალებით; სამედიატორო სასამართლო

არგაგონილი

არგუმენტაცია; არგუმენტირება: არგუმენტირებული

არდავიწყება



არე – არეალი; არე: 1. მხარე, მიდამო, არემარე; გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რაიმეს მოქმედება 2. კიდე (ფურცლის არე); არეალი: დედამიწის ზედაპირის ის ტერიტორია, სადაც გავრცელებულია (მოიპოვება) ამა თუ იმ მცენარის, ცხოველის, ფრინველის... გარკვეული სახეობა (ვაზის... გავრცელების არეალი)

არეგისტრირებინებს; (და)არეგისტრირებინა; (და)ურეგისტრირებინებია; (და)ერეგისტრირებინებინა

არეგისტრირებს; (და)არეგისტრირა; (და)ურეგისტრირებია; (და)ერეგისტრირებინა

არეგულირებინებს; (და)არეგულირებინა; (და)ურეგულირებინებია; (და)ერეგულირებინებინა

არეგულირებს; (და)არეგულირა; (და)ურეგულირებია; (და)ერეგულირებინა

არევ-დარევს; არივ-დარია; აურევ-დაურევია; აერივ-დაერია

არემარე (არემარის⌈ა⌉)

არეულ-დარეული; არეულ-დარეულობა

ართრიტი – ართროზი; ართრიტი: მ ე დ ი ც. სახსრების ანთებითი დაავადება; ართროზი: მ ე დ ი ც. სახსრების ქრონიკული დაავადება, გამოწვეული ნივთიერებათა ცვლის დარღვევით

არისტოკრატიული – არისტოკრატული; არის-

**ტოკრატიული** (მმართველობა); **არისტოკრატული** (მანერები / იერი...)

**არისხებს** [და არა ანრისხებს]

**არმქონე**

**არსაიდან**

**არსებითი** (არსებითად)

**არქიმილიონერი**

**არყოლა**

**არყოფილი**

**არყოფნა**

**არც ერთი**: ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და **არც მეორე** – ვენეციელი (უიარ.), მაგრამ: **არცერთი** (**არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები)

**არცთუ**

**არცთუ ცხადად**

**არც კი**

**არცოდვა**

**არცოდნა**

**ას ერთი / ორი / სამი...**

**ას-ასი; ას-ასობით**

**ასაწევ-დასაწევი**

**ასახიერებს** [და არა ანსახიერებს]



**ასახსნელ-განსამარტავი**

**ასე და ასე**

**ასეთ-ისეთი**

**ასე თუ ისე; ასეა თუ ისე**

**ასე რომ**

**ასეც არის; ასეც ხდება**

**ასვამს – ასმევს; ასვამს** (დაღს); **ასმევს** (წყალს)

**ასვლა-ჩამოსვლა**

**ასი ათასი, ასი ათასად**, მაგრამ: **ასიათასობით**

**ასიგნაცია – ასიგნება; ასიგნაცია**: მოძვ. ქაღალდის ფული; **ასიგნება**: სპეც. მიზნობრივი დაფინანსება

**ასმეერთე** [და არა ას პირველი]

**ასმევ-აჭმევს; ასვა-აჭამა; უსმევ-უჭმევია**

**ასორტი** (ასორტიმ, მიც. ასორტის)

**ას ოცი / ორმოცი**, მაგრამ: **ასმეოცე; ასმეორმოცე; ასმეორმოცედი**

**ასოციაცია – ასოციირება**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ისეთ კავშირს წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია; მიმსგავსება, დაკავშირება, მაგრამ **ასოციაციას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ორგანიზაციების ან ადამიანების ნებაყოფლობითი კავშირი, გაერთიანება, ამხანაგობა (ადვოკატთა... **ასოციაცია**)

**ასპარეზი** – **ასპარეზობა**; **ასპარეზი**: 1. ძვ. სპორტული შეჯიბრების არენა; 2. გადატ. მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი (ლიტერატურული / საზოგადოებრივი... **ასპარეზი**); **ასპარეზობა**: სპორტული ან სამხედრო შეჯიბრება, ვარჯიში

**ასტროლოგი** – **ასტრონომი**; **ასტროლოგი**: ასტროლოგიის მიმდევარი, ვარსკვლავთმისანი; **ასტრონომი**: ასტრონომიის სპეციალისტი

**ასცდება** [და არა აცდება]

**ასწევ-დასწევს**; **ასწივ-დასწია**; **აუწევ-დაუწევია**; **აეწივ-დაეწია**

[ასწონ-დასწონის კი არა] **აწონ-დაწონის**

**ასხვავებს** [და არა ანსხვავებს]

[ატანა არა აქვს კი არა] **ვერ იტანს**

**ატიპია**: **ატიპიური** (ატიპიურად)

**აუდიომასალა**; **აუდიოჩანაწერი**

**აუდიტორია**: **აუდიტორიული**; **სააუდიტორიო**

**აუვლ-ჩაუვლის**; **აუარ-ჩაუარა**; **აუვლ-ჩაუვლია**; **აევლ-ჩაევლო**

**აურა** (აურის⌜ა⌝)

**აურაცხელი**; **აურაცხელობა**

**აუტსაიდერი**

**აუცილებელი** – **უცილობელი**; **აუცილებელი**: საჭირო (**აუცილებელი** საგნები); **უცილობელი**: გარდაუვალი (**უცილობელი** გამარჯვება)



**აფხაზი**; **აფხაზური** [და არა აზხაზი, აზხაზური]

**აქა-იქ**

**აქამდე** // **აქამდის**

**აქეთ**; **აქეთა** (ნაპირი)

**აქეთ-იქით**; **აქეთ-იქითა** (მხარეები)

**აქეთურ-იქითური**

[აქვამარინი კი არა] **აკვამარინი**

[აქვაპარკი კი არა] **აკვაპარკი**

[აქონდა კი არა] **აჰქონდა**

**აქტივობა** [და არა აქტივობები]

**აღზრდა-განვითარება**

**აღმა-დაღმა**

**აღმოსაფხვრელი** (აღმოსაფხვრელად)

**აღსრულებითი** (ფურცელი)

[აყავს კი არა] **აჰყავს**

**აცალკევებს** [და არა ანცალკევებს]

[აცდება კი არა] **ასცდება**

**აცვამს** – **აცმევს**; **აცვამს** (ჯვარს); **აცმევს** (კაბას)

**აცვიფრებს** [და არა ანცვიფრებს]

**აციებს** – **აცივებს**; **აციებს**: ციებ-ცხელება სჭირს, ციების შეტევა აქვს (ავადმყოფს **აციებს**); **აცივებს**: აგრილებს (**აცივებს** ღვინოს / წყალს)

**აცნობს**; **(გა)აცნო**; **(გა)უცნია**; **(გა)ეცნო**

**აწეულ-დაწეული**

**აწმყო-მომავალი**

**ახალაღმოჩენილი**

**ახალაშენებული**

**ახალგაზრდა** (ახალგაზრდის⌜ა⌝): **ახალგაზრდუ-ლი** (ახალგაზრდულად)

[ახალგაზრდა გოგონა / ბიჭი კი არა] **გოგონა; ბიჭი**, შდრ.: **ახალგაზრდა ქალი / მამაკაცი**

**ახალგამოგონილი**

**ახალგამოღვიძებული**

**ახალგაცნობილი**

**ახალგახსნილი**

**ახალდაბადებული**

**ახალდაქორწინებული**

**ახალთახალი** (ახალთახლის⌜ა⌝)

**ახალი მთვარე** (ახალი მთვარის⌜ა⌝)

**ახალმოყვანილი**

**ახალშემოსული**

**ახალშობილი**

**ახალწვეული – წვევამდელი; ახალწვეული:** ვინც ახლად, პირველად გაიწვიეს ჯარში; **წვევამდელი:** ვისაც ჯარში გაწვევის დრო მოუვიდა

**ახედ-დახედავს; ახედ-დახედა; აუხედ-დაუხედავს; აეხედ-დაეხედა**



**ახლავე // ახლავ**

**ახლავს; ახლდა; ხლებია; ხლებოდა**

**ახლანდელი** [და არა ეხლანდელი] (ახლანდლის⌜ა⌝)

**ახლანდელობა** (ახლანდელობის⌜ა⌝)

**ახლართულ-ჩახლართული**

**ახლაღა**

**ახლახან** [და არა ახლახანს]

**ახლებური** (ახლებურად)

**ახლო-ახლო**

**ახლომახლო**

**ახლომდგომი**, მაგრამ: **ახლოს მდგომი / მდებარე / მყოფი**

**ახლომდებარე**, მაგრამ: **ახლოს მდებარე**

**ახლომხედველი; ახლომხედველობა**

**ახლო ნათესავი**, მაგრამ: **ახლონათესაური**

**ახორციელებს** [და არა ანხორციელებს]

**ახსნა** [და არა ახსნები]

**აჰქონდა** [და არა აქონდა]

**აჰყავს** [და არა აყავს]

**აჰყვება; აჰყვა; აჰყოლია; აჰყოლოდა**

# ბ

**ბაგა-ბაღი**

**ბადრო // დისკო**

**ბავშვობა; ბავშვობისდროინდელი**

[ბათინკი, ბატინკი კ ი  ა რ ა] **ყელიანი ფეხსაცმელი**

**ბაკაბუკი // ბაკიბუკი**

**ბაკალავრი**

**ბაკუნ-ბაკუნით**

**ბალანსგარეშე**

**ბალანსი** (ბალანსს)

**ბალკონი** (თ ე ა ტ რ.), მ ა გ რ ა მ: **აივანი** (სახლისა)

**ბალ-მასკარადი**

**ბალნეოთერაპია**

**ბანდი // ბინტი**

**ბანდიტიზმი** (ბანდიტიზმმა)

**ბანკეტი; საბანკეტო** (დარბაზი)

**ბანკი; საბანკო**

**ბანკირი; საბანკირო**

[ბარაბანი, მებარაბანე კ ი  ა რ ა] **დოლი; მედოლე**

**ბარბაროსობა: ბარბაროსული** (ბარბაროსულად)



**ბარემ; ბარემღა; ბარემც**

**ბარიბარ; ბარიბარსა // ბარიბარში** (ვართ)

**ბარიერი: ბარიერული; საბარიერო**

**ბარიკადა** (ბარიკადის⌜ა⌝)

**ბარმენეჯერი**

**ბარმენი**

**ბარტერი: ბარტერული** (გაცვლა)

**ბატონ-ყმა**, მ ა გ რ ა მ: **ბატონყმობა; ბატონყმური**

**ბაქია** (ბაქიას⌜ი⌝, მ რ. ბაქიები)

**ბაქიბუქი** (ბაქიბუქობს)

**ბაღდადი – ბაღდათი; ბაღდადი**: ერაყის დედაქალაქი; **ბაღდათი**: ქალაქი და რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში

**ბაჭია** (ბაჭიის⌜ა⌝, მ რ. ბაჭიები )

**ბახალა** (ბახალის⌜ა⌝, მ რ. ბახალები )

**ბებიაობა (ბებიაობს) – ბებიობა (ბებიობს); ბებიაობა**: ბებიაქალის საქმიანობა, მეანობა; **ბებიობა**: 1. ბებიად ყოფნა, ბებიის მოვალეობა; 2. ბებიის (შინაურულად: **ბებიას**) მზრუნველობა; გ ა დ ა ტ. მოსაბეზრებელი მზრუნველობა

**ბებიაქალი**

**ბებია-შვილიშვილი**

**ბედენა** (რა ბედენაა?!)

**ბედისწერა** (ბედისწერის⌜ა⌝); **საბედისწერო**

**ბედ-იღბალი** (ბედ-იღბლის⌜ა⌝)

**ბევრად მეტი / ნაკლები**

**ბევრ-ბევრი**

**ბევრგვარი** (ბევრგვარად)

**ბევრი-ბევრი // დიდი-დიდი**

**ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს**

**ბევრნაირი** (ბევრნაირად)

**ბევრჯერ**

**ბეისბოლი**

**ბეკონი**

**ბერიკაცი** (ბერიკაცის⌜ა⌝): **ბერიკაცული**

**ბერმუხა** (ბერმუხის⌜ა⌝)

**ბეჭედდასმული** (ბეჭედდასმით)

**ბზრიალ-ბზრიალით; ბზრიალ-ტრიალით**

**ბზუილ-ბზუილით**

**ბიბლიოგრაფია – ბიბლიოლოგია; ბიბლიოგრაფია**: 1. მეცნიერული წესით სისტემატიზებული აღნუსხვა და აღწერა წიგნებისა (მათი შინაარსისა და გარეგანი გაფორმების ჩვენებით); 2. ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საძიებელი; სია; 3. ახლად გამოსული წიგნების შესახებ შედგენილი ანოტაცია, რომელიც იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში; **ბიბლიოლოგია**: 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს წიგნის ისტორიას, თეორიას და სხვ.; წიგნთმცოდნეობა; 2. ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბიბლიას (შ დ რ.: **ბიბლეისტიკა** – ბიბლიის შემსწავლელი მეცნიერება)

**ბიდე** (ბიდეს⌜ი⌝)

**ბიზანტინოლოგი**

**ბიზნესგარემო**

**ბიზნესგეგმა**

**ბიზნესკლასი**

**ბიზნესმენი: ბინზესმენური**

**ბიზნესმრჩეველი**

**ბიზნესპარტნიორი**

**ბიზნესსკოლა**

**ბიზნესშოუ**

**ბიკინი** (ბიკინიმ, მ ი ც. ბიკინის)

**ბილიკ-ბილიკ**

**ბილინგვი – ბილინგვა; ბილინგვი**: ადამიანი, რომელიც თავისუფლად ფლობს და თანაბრად იყენებს ორ ენას; **ბილინგვა**: ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; ორენოვანი წარწერა (არმაზის **ბილინგვა**)

**ბიოსინჯი**

**ბიოსისტემატიკა**

**ბიოსფერო**

**ბიოფიზიკა**

**ბიოქიმია**

**ბიუროკრატიული – ბიუროკრატული; ბიუროკ-რატიული** (აპარატი); **ბიუროკრატული** (მიდ-გომა / ჩვევები)

**ბიძა-ბიცოლა** (ბიძა-ბიცოლას⌜ი⌝)

**ბლიცი**: 1. ელექტრომოწყობილობა (ლამპა), რო-მელიც შეერთებულია ფოტოაპარატთან გადასაღები ობიექტის ძლიერი მეყსეული განათებისათვის; 2. ს ა უ ბ. სწრაფად გათამა-შებული ჭადრაკის (შაშის) პარტია

**ბლიცინტერვიუ**

**ბლიცტურნირი**

**ბლოკადა – ბლოკირება; ბლოკადა**: 1. გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; 2. საკომუნიკაციო ან ეკონომიკური იზოლაცია; 3. მ ე დ ი ც. რო-მელიმე ორგანოს ფუნქციის ხელოვნური გამოთიშვა; **ბლოკირება**: 1. ბლოკადის მო-წყობა, დაბლოკვა; 2. ს პ ო რ ტ. მოწინააღმდე-გის შეტევის შემაფერხებელი მოქმედება (ხერხი ზოგიერთ გუნდურ თამაშში)

**ბლუზი** (ბლუზზე) (მ უ ს.)

**ბოლო დროს**, მ ა გ რ ა მ: **ბოლოდროინდელი**

**ბოლო ჟამს**, მ ა გ რ ა მ: **ბოლოჟამინდელი**

**ბოლოსიტყვა // ბოლოსიტყვაობა**

**ბოლო სტრიქონი**



**ბონბონიერი**

**(ბონუსანაზარი //) ბონუსური ანაზარი**

**ბონუსი**: 1. დამატებითი ანაზღაურება, რომე-ლიც შეიძლება პრემიის ან სხვა სახით გაი-ცეს; 2. გამყიდველის მიერ საქონელზე დამა-ტებითი ფასდაკლება (გარიგების ან ცალკე მოლაპარაკების საფუძველზე)

**(ბონუსრიცხვი //) ბონუსური რიცხვი**

**(ბონუსქულა //) ბონუსური ქულა**

**ბოღმა-ვარამი; ბოღმა-ნაღველი**

**ბოცმანი – ლოცმანი; ბოცმანი**: საზღვაო ფლოტ-ში – უმცროსი მეთაური (ზემდეგი); გემბანის რაზმის უშუალო უფროსი; **ლოცმანი**: გარ-კვეულ უბანზე გემების გატარების სპეცია-ლისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები

**ბრაზმორეული** (ბრაზმორეულად); **ბრაზნარევი** (ბრაზნარევად)

**ბრასი** (ბრასს) (ს პ ო რ ტ.)

**ბრენდი** (ბრენდიმ, მ ი ც. ბრენდის)

**ბრმანაწლავი**

**ბრმა-ყრუ**

**ბროკერი**

[ბრონი კ ი ა რ ა] **ჯავშანი**

[ბრონირება, ბრონირებული კ ი ა რ ა] **დაჯავშნა; დაჯავშნილი**

**ბრონქიტი: ბრონქიტული**

**ბროშურა** (ბროშურის⌜ა⌝)

**ბრძანება – ბრძანებულება; ბრძანება:** 1. ხელისუფლების ან უფლებამოსილი პირის განკარგულება (სარდლის **ბრძანება; ბრძანება** გასცა); 2. თქმა; ნათქვამი (თავაზიანი მიმართვისას): „ეს ჭეშმარიტი **ბრძანებაა!**“ (უიარ.); შ დ რ.: **რა ბრძანებაა!** – რას ბრძანებთ, რა სათქმელია; **ბრძანებულება:** ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს (**ბრძანებულება** უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე)

**ბრძოლისუნარიანი; ბრძოლისუნარიანობა**

**ბრძოლისუნარმოკლებული**

**ბუდიზმი** (ბუდიზმმა)

**ბუდობრივი**

**ბუზისოდენა** (ბუზისოდენას⌜ი⌝)

**ბუკინისტი: ბუკინისტური**

**ბუკლეტი: ბუკლეტური**

**ბუნდოვანი** (ბუნდოვნად)

**ბუნების დაცვა**

**ბუნებისმეტყველი; ბუნებისმეტყველება; საბუნებისმეტყველო**

**ბუნებრივი; ბუნებრიობა**

**ბუტბუტი**



**ბუტია** (ბუტიას⌜ი⌝, მ რ. ბუტიები); **ბუტიაობა**

**ბუყბუყი**

**ბუჩქ-ბუჩქად**

**ბუჩქის ძირას**

**ბუჩქქვეშ**

**ბუხარი** (ბუხრის⌜ა⌝)

**ბუხრისპირა,** მ ა გ რ ა მ: **ბუხრის პირას**

# გ

გააქტიურებინებს; გააქტიურებინა; გაუაქტიურებინებია; გაეაქტიურებინებინა

გააქტიურებს; გააქტიურა; გაუაქტიურებია; გაეაქტიურებინა

გაახალგაზრდავებინებს; გაახალგაზრდავებინა; გაუახალგაზრდავებინებია; გაეახალგაზრდავებინებინა

გაახალგაზრდავებს; გაახალგაზრდავა; გაუახალგაზრდავებია; გაეახალგაზრდავებინა

გაახლებინებს; გაახლებინა; გაუახლებინებია; გაეახლებინებინა

გაახლებს; გაახლა; გაუახლებია; გაეახლებინა

გააზამს; გააზა; გაუზამს [და არა გაუზია]

გაანეიტრალებინებს; გაანეიტრალებინა; გაუნეიტრალებინებია; გაენეიტრალებინებინა

გაანეიტრალებს; გაანეიტრალა, გაუნეიტრალებია, გაენეიტრალებინა

გააუვნებლებს // უვნებელყოფს; გააუვნებლა // უვნებელყო; გაუუვნებლებია // უვნებელუყვია

გაზოლება – გაზოლვა; გაზოლება (სიგარეტისა / ჩიბუხისა); გაზოლვა (ოთახისა...)

გაგზავნ-გამოგზავნა

გადაათვალიერებინებს; გადაათვალიერებინა; გადაუთვალიერებინებია; გადაეთვალიერებინებინა

გადაათვალიერებს; გადაათვალიერა; გადაუთვალიერებია; გადაეთვალიერებინა

გადაალახვინებს; გადაალახვინა; გადაულახვინებია; გადაელახვინებინა

გადაამალვინებს; გადაამალვინა; გადაუმალვინებია; გადაემალვინებინა

გადადის – გადასდის; გადადის (ღობეზე); გადასდის (სახეზე ნათელი / თავზე ქონება)

გადათოვლავს – გადათოვს; გადათოვლავს (= სახურავიდან, რაიმეს ზედაპირიდან თოვლს გადაყრის); გადათოვს (= თოვლით დაფარავს; თოვლით დაიფარება)

გადაიტან-გადმოიტანს; გადაიტან-გადმოიტანა;



გადაუტან-გადმოუტანია; გადაეტან-გადმოეტანა

გადაიყვან-გადმოიყვანს; გადაიყვან-გადმოიყვანა; გადაუყვან-გადმოუყვანია; გადაეყვან-გადმოეყვანა

გადაკიდებს (კაზას სკამზე), მაგრამ: გადაჰკიდებს (მეზობლებს ერთმანეთს)

გადალახავს; გადალახა; გადაულახავს [და არა გადაულახია]; გადაელახა

გადამალავს; გადამალა; გადაუმალავს; გადაემალა

გადამზადება; გადამზადებული

გადამმუშავებელი (გადამმუშავებლის⌜ა⌝)

გადანარჩევი – გადანარჩენი; გადანარჩევი: რაც გადაარჩიეს; გადარჩეული (გადანარჩევი სიმინდი / ლობიო...); გადანარჩენი: მონარჩენი, მოტოვებული, შემონახული (გადანარჩენი ჩურჩხელა / ჩირი...)

გადასატან-გადმოსატანი

გადასაყვან-გადმოსაყვანი

გადასვლ-გადმოსვლა

გადასმულ-გადმოსმული

გადასც-გადმოსცემს; გადასც-გადმოსცა; გადაუც-გადმოუცია; გადაეც-გადმოეცა

გადასცდება (პურის ნამცეცი; საზღვარს), მაგრამ: გადაცდება (ჭკუაზე)

გადასხდ-გადმოსხდებიან; გადასხდ-გადმოსხდნენ; გადასხდ-გადმომსხდარან; გადასხდ-გადმომსხდარიყვნენ

გადატან-გადმოტანა

გადახტ-გადმოხტება; გადახტ-გადმოხტა; გადამხტარ-გადმომხტარა; გადამხტარ-გადმომხტარიყო

გადაჰკიდებს (მეზობლებს ერთმანეთს; ჩანთას მხარზე მას), მ ა გ რ ა მ: გადაკიდებს (კაბას თოკზე)

გადაჰყავ-გადმოჰყავს; გადაჰყავ-გადმოჰყავდა; გადაჰყავ-გადმოჰყავდეს

გადაჰყავს [დ ა ა რ ა გადაყავს]

გადაჰყვება [დ ა ა რ ა გადაყვება]

გადი-გამოდის; გავიდ-გამოვიდა; გასულ-გამოსულა; გასულ-გამოსულიყო

გავარდ-გამოვარდება; გავარდ-გამოვარდა; გავარდნილ-გამოვარდნილა; გავარდნილ-გამოვარდნილიყო

გავლა-გამოვლა

[გავს, გავდა, გავდეს კ ი ა რ ა] ჰგავს; ჰგავდა; ჰგავდეს

გაზომ-გამოზომავს; გაზომ-გამოზომა; გაუზომ-გამოუზომავს; გაეზომ-გამოეზომა

გათიშვა [დ ა ა რ ა გათიშვები]

გაივლ-გამოივლის, მ ა გ რ ა მ: გაიარ-გამოიარა



გაიფანტ-გამოიფანტება; გაიფანტ-გამოიფანტა; გაფანტულ-გამოფანტულა; გაფანტულ-გამოფანტულიყო

გაიქნევ-გამოიქნევს; გაიქნ-გამოიქნია; გაუქნევ-გამოუქნევია; გაექნ-გამოექნია

გაიქცევ-გამოიქცევა; გაიქც-გამოიქცა; გაქცეულ-გამოქცეულა; გაქცეულ-გამოქცეულიყო

გაკვალვა – გაკვლევა; გაკვალვა: გაწმენდა (თოვლისგან გზის გაკვალვა); გაკვლევა: გაგნება, პოვნა (ტყეში გზის გაკვლევა)

გალაკონცერტი

გამოასწორებინებს; გამოასწორებინა, გამოუსწორებინებია; გამოესწორებინებინა

გამოასწორებს; გამოასწორა; გამოუსწორებია; გამოესწორებინა

გამოაქვს; გამოჰქონდა; გამოჰქონდეს

გამოივლის; გამოუვლია, მ ა გ რ ა მ: გამოიარა

გამოითქმება // გამოითქმის

[გამოკითხავს კ ი ა რ ა] გამოჰკითხავს

გამომშრალ-გამომხმარი

გამომცნობი; გამომცნობელი (გამომცნობლის⌈ა⌉)

გამომცხობი; გამომცხობელი (გამომცხობლის⌈ა⌉)

გამოსაზიდი; გამოსაზიდავი

გამოსაკვები; გამოსაკვებავი

გამოსაკითხი; გამოსაკითხავი

**გამოსახედი; გამოსახედავი**

**გამოწვევა** [დ ა  ა რ ა  გამოწვევები]

**გამოჰკითხავს** [დ ა  ა რ ა  გამოკითხავს]

**გამტარი – გამტარებელი; გამტარი**: ს პ ე ც. ნივთიერება, რომელიც გაუშვებს, გაატარებს, გადასცემს სითბოს, ელექტრობას, ბგერას; **გამტარებელი**: ვინც ან რაც გაატარებს (ვინმეს ან რაიმეს); განმხორციელებელი (რეგისტრაციაში **გამტარებელი**; კანონის **გამტარებელი**); შ დ რ.: **დროის გამტარებელი** (= მომლხენი)

**გამღიზიანებელი** (გამღიზიანებლის⌜ა⌝); **გამაღიზიანებელი** (გამაღიზიანებლის⌜ა⌝, გამაღიზიანებლად)

**გამწირავი** // **გამწირველი** (გამწირველის⌜ა⌝)

**გამხდარ-გამხდარი**

**გამხოლოებული** // **განმხოლოებული**

**განამტკიცებს** // **გაამტკიცებს**; **განამტკიცა** // **გაამტკიცა**; **განუმტკიცებია** // **გაუმტკიცებია**; **განემტკიცებინა** // **გაემტკიცებინა**

**განაპირა** (მხარე); ტყის **განაპირას**

**განაცხადი – განცხადება; განაცხადი**: ოფიციალური ხასიათის წინასწარი განცხადება; თხოვნა, მოთხოვნა (**განაცხადი** საშენი მასალის / ცემენტის... შესახებ); **განცხადება**: 1. რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი (**განცხადება** დაწერა შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით); 2. წერილობითი ან ზეპირი უწყება ვინმეს ან რაიმეს შესახებ (მთავრობის... **განცხადება**)



**გან-გან**, მ ა გ რ ა მ:  **განდაგან**

**განზოგადება – განსაზოგადოება; განზოგადება**: ზოგადი სახის (ხასიათის) მიცემა (რაიმესთვის); ფაქტების მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოტანა (მოვლენათა **განზოგადება**); **განსაზოგადოება**: საზოგადო კუთვნილებად ქცევა

**განზოგადებული**

**განთქმა** (**განითქვამს**; **განითქვა**)

**განივრად**

(**განიმეორებს** //) **გაიმეორებს**; (**განიმეორა** //) **გაიმეორა**; (**განუმეორებია** //) **გაუმეორებია**; (**განემეორებინა** //) **გაემეორებინა**

**განიმსჭვალება**; **განიმსჭვალა**; **განმსჭვალულა**; **განმსჭვალულიყო** // **გაიმსჭვალება**; **გაიმსჭვალა**; **გამსჭვალულა**; **გამსჭვალულიყო**

**განირჩევა** // **გაირჩევა**

**განიხილავს**; **განიხილა**; **განუხილავს** [დ ა  ა რ ა  განუხილია]

**განმათავისუფლებელი** (// გამათავისუფლებელი)

**განმამტკიცებელი** (განმამტკიცებლის⌜ა⌝)

**განმანათლებელი** (განმანათლებლის⌜ა⌝, განმანათლებლად)

**განმარტოებული** (განმარტოებულად)

**განმარტოვდება; განმარტოვდა; განმარტოებულა; განმარტოებულიყო**

**განმასხვავებელი** (განმასხვავებლის⌜ა⌝, განმასხვავებლად)

**განმახორციელებელი** (განმახორციელებლის⌜ა⌝, განმახორციელებლად)

**განმეორებული // გამეორებული**

**განმცხადებელი** (განმცხადებლის⌜ა⌝)

**განსაზოგადოებული**

**განსაზღვრა – განსაზღვრება; განსაზღვრა**: 1. რაიმეს საზღვრების, ფარგლების დადგენა (მოცულობის **განსაზღვრა**); 2. რაიმე ცნების მეცნიერული დახასიათება, განმარტება (ტერმინის **განსაზღვრა**); **განსაზღვრება**: გ რ ა მ ა ტ. წინადადების წევრი, რომელიც ახასიათებს სხვა წევრს (ქვემდებარეს, დამატებას)

**განსაცდელი** [დ ა ა რ ა განსაცდელები]

**განსაცვიფრებელი** (განსაცვიფრებლად)

**განსახლება – გასახლება; განსახლება**: დასახლება; **გასახლება**: იძულებით სახლიდან გაყვანა, გაძევება (ვინმესი)

(**განსხვისება** //) **გასხვისება**

(**განსხვისებული** //) **გასხვისებული**

**განურჩეველი** (განურჩევლად); **განურჩევლობა**

**განურჩევლად – გაურჩევლად**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ერთ-



ნაირად, თანაბრად: „ხალხი ითხოვდა პირდაპირ შებმას – **განურჩევლად**, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე“ (ა. ყაზბ.); „ყველას **გაურჩევლად** ეხუმრებოდა“ (მელან.), მ ა გ რ ა მ **გაურჩევლად**: 1. გარჩევის გარეშე (ლობიო **გაურჩევლად** დატოვეს); 2. განხილვის გარეშე (**გაურჩევლად** დარჩენილი საკითხი); 3. გაურკვევლად (**გაურჩევლად** ნაწერი)

**განუხილავი** (განუხილავად) // **განუხილველი** (განუხილველად)

**განცალკევება: განცალკევებული; განცალკევებულობა**

**განწმენდა – გაწმენდა; განწმენდა**: ცოდვებისაგან განთავისუფლება: „მუდამ მლოცავი, სულიერ **განწმენდაში** მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავადმყოფი სამსახურს მოითხოვდა“ (ა. ყაზბ.); **გაწმენდა**: გასუფთავება (**გაწმენდა** ფეხსაცმლისა / გზისა...)

**განწმენდილი – გაწმენდილი; განწმენდილი** (ადამიანი / სული...); **გაწმენდილი** (ფეხსაცმელი / იატაკი / გზა...)

**განწყობა – განწყობილება**; ეს სიტყვები ხშირად სინონიმებად იხმარება და ნიშნავს გუნებას, ხასიათს (კარგი **განწყობა** / **განწყობილება**), მ ა გ რ ა მ **განწყობას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ფ ს ი ქ. ამა თუ იმ განცდისა და ქცევისათვის მზადყოფნა (**განწყობის თეორია**); 2. ვინმესთან დამოკიდებულე-

ბა; ურთიერთობა (მეზობლის მიმართ კარგი **განწყობა** ჰქონდა)

**განწყობა** [დ ა  ა რ ა განწყობები]

**გარანტი** – **გარანტია; გარანტი:** ს ა მ ა რ თ. თავდები; გარანტიის მიმცემი; **გარანტია:** პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებას; საწინდარი

**გარბი-გამორბის; გარბი-გამორბოდა; გარბი-გამორბოდეს**

**გარდა ამისა,** მ ა გ რ ა მ: **ამას გარდა**

**გარდამავალი** (გარდამავლის⌜ა⌝); **გარდამავლობა**

**გარდაუვალი** (გარდაუვალის⌜ა⌝); **გარდაუვალობა**

**გარე-გარე**

**გარეთ** [დ ა  ა რ ა გარედ]

**გარეკანი** (გარეკანის⌜ა⌝)

**გარეკახური,** მ ა გ რ ა მ: **გარე კახეთი**

**გარეწარი** (გარეწრის⌜ა⌝); **გარეწრობა**

**გართხმა: გართხმული**

**გარშემორტყმული**

**გარშემოწერილობა**

**გარჩევა** [დ ა  ა რ ა გარჩევები]

**გასაბერი // გასაბერავი**

**გასაგები** – **გასაგონებელი; გასაგები:** 1. მისახვედრი: „კაცის ხასიათს ვინ იცნობს, **გასაგებია** ძნელადა“ (ვაჟა); 2. ნათელი, ცხადი (ყველასათვის **გასაგები** გახდა, თუ ვინ იყო); **გასაგონებელი:** ის, რაც უნდა გაიგონონ, მოისმინონ ყურით



**გასაგზავნ-გამოსაგზავნი** (გასაგზავნ-გამოსაგზავნად)

**გასაგონებელი** (გასაგონებლად) // **გასაგონი** (გასაგონად)

**გასაზიარებელი** – **ზიარი, საზიარო; გასაზიარებელი** (სიხარული / აზრი...); **ზიარი, საზიარო:** (ეზო / ბაღი...)

**გასამართლებელი** – **გასასამართლებელი; გასამართლებელი:** 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს (**გასამართლებელი** საბუთი);**გასასამართლებელი:** ვინც უნდა გაასამართლონ, სამართალში მისცენ

**გასამრჯელო** (გასამრჯელოს⌜ი⌝)

**გასასვლელ-გამოსასვლელი**

**გასვლითი** (სესია / თამაში) – **გამსვლელი** (ქულა); შ დ რ.: გარეთ / ქუჩაში / ეზოში... **გამსვლელი**

**გასხვისება** (// **განსხვისება**); **გასხვისებული** (// **განსხვისებული**)

**გაუმარჯვდება; გაუმარჯვდა; გამარჯვებია; გამარჯვებოდა**

**გაუმასპინძლდება; გაუმასპინძლდა; გამასპინძლებია; გამასპინძლებოდა**

გაუფრთხილებელი (გაუფრთხილებლად)

**იავარქმნილი; იავარყოფა**

იავნანა (იავნანას⌜ი⌝); იავნანინა (იავნანინას⌜ი⌝)

იამაყებს; იამაყა; უამაყია; ეამაყა

[იარაღი ამოიღეს ბოროტმოქმედებისგან კ ი ა რ ა] იარაღი ჩამოართვეს ბოროტმოქმედებს

იარაღის აყრა (იარაღს აჰყრის)

იბოდიშებს; იბოდიშა; უბოდიშია; ებოდიშა

იგავ-არაკი, მ ა გ რ ა მ: იგავარაკული

იგრიალებს; იგრიალა; უგრიალია; ეგრიალა

იდგება (// იდგომება)

იდეალიზაცია; იდეალიზება [დ ა ა რ ა იდეალიზირება]: იდეალიზებული

იდენტიფიკაცია; იდენტიფიცირება: იდენტიფიცირებული

იდეურ-აღმზრდელობითი

იდო [// იდვა]; იდოს [// იდვას]

იდღესასწაულებს; იდღესასწაულა; უდღესასწაულია; ედღესასწაულა

ივაჟკაცებს; ივაჟკაცა; უვაჟკაცია; ევაჟკაცა

ივაჭრებს; ივაჭრა; უვაჭრია; ევაჭრა

ივნის-ივლისი (ივნის-ივლისს)

იზამს [დ ა ა რ ა იზავს]

იზომავს – იზომებს; იზომავს: ზომავს თავისას (სიცხეს / წნევას იზომავს); იზომებს (კაბას იზომებს)



ითავხედებს; ითავხედა; უთავხედია; ეთავხედა

ითაკილებს; ითაკილა; უთაკილია; ეთაკილა

ითამადებს; ითამადა; უთამადია; ეთამადა

ითამაშებს; ითამაშა; უთამაშია; ეთამაშა

ითარეშებს; ითარეშა; უთარეშია; ეთარეშა

ითქმება // ითქმის

იკარგება // იკარგვის; იკარგებოდა (// იკარგოდა)

იკრებს – იკრეფს; იკრებს (მეგობრებს / ძალ-ღონეს); იკრეფს (ხილს / ყვავილებს)

იკრიბება – იკრიფება; იკრიბება (ხალხი); იკრიფება (ხილი)

ილაპარაკებს; ილაპარაკა; ულაპარაკია; ელაპარაკა

ილუზია: ილუზიური

ილუსტრირება: ილუსტრირებული

იმათგანი [დ ა ა რ ა იმათთაგანი]

იმალება [დ ა ა რ ა მიმალვაშია] (დამნაშავე)

იმარხულებს; იმარხულა; უმარხულია; ემარხულა

იმატებს; იმატა; უმატია; ემატა

იმდროინდელი

იმდღევანდელი (იმდღევანდლის⌜ა⌝)

იმედგადაწყვეტილი; იმედდაკარგული

იმედგაღვიძებული; იმედმიცემული

იმედგაცრუება [დ ა ა რ ა იმედგაცრუებები]

**იმერ-ამერი**

**იმეფებს; იმეფა; უმეფია; ემეფა**

**იმეცადინებს; იმეცადინა; უმეცადინია; ემეცადინა**

**იმის(ა)თვის** – **იმიტომ, იმის გამო; იმის(ა)თვის** (მიზანი: **იმის(ა)თვის**, რომ სკოლაში არ დაიგვიანო, ადრე უნდა ადგე); **იმის გამო, იმიტომ** (მიზეზი: ლუკას გაკვეთილზე დააგვიანდა **იმიტომ / იმის გამო**, რომ სკოლის ეზოში ამხანაგს ელაპარაკებოდა; „ყური **იმიტომ** არ იზრდება, რომ ბევრის გამგონეაო“)

**იმისდა მიუხედავად; იმისდა უნებურად**

**იმიტაცია: იმიტაციური; იმიტატორი; იმიტირება: იმიტირებული**

**იმიჯი; იმიჯმეიკერი**

**იმ მხრივ**

**იმოდენა** (კაცი / ბურთი) – **იმდენი** (ხალხი / ხილი)

**იმპლანტაცია**

**იმპორტირება: იმპორტირებული**

**იმსიგანე** (იმსიგანის⌜ა⌝)

**იმსიგრძე** (იმსიგრძის⌜ა⌝)

**იმსიდიდე** (იმსიდიდის⌜ა⌝)

**იმსიმაღლე** (იმსიმაღლის⌜ა⌝)

**იმსიმძიმე** (იმსიმძიმის⌜ა⌝)

**იმსისხო**



**იმ სიშორეზე**

**იმუნიზაცია**

**იმუნიტეტი**

**იმუნოლოგია**

**იმუნური**

**იმქვეყნიური**

**იმღამინდელი** (იმღამინდლის⌜ა⌝)

**ინდოევროპული** (ენები)

**ინერტული** – **ინერციული; ინერტული**: უმოძრაო, უმოქმედო; უინიციატივო; მოდუნებული, მოშვებული (**ინერტული** ადამიანი); შდრ.: **ინერტული გაზი; ინერციული**: სპეც. ინერციის ძალით გამოწვეული (**ინერციული** მოძრაობა)

**ინვესტიცია; ინვესტორი**

**ინიციატივა; ინიციატორი; ინიციატორობა**

**ინკასანტი** – **ინკასატორი; ინკასანტი**: პირი, რომელიც ურიცხავს ბანკს თანხას ინკასოს წესით გასაცემად; **ინკასატორი**: მოლარე, რომელიც დაწესებულების გარეთ იღებს ან გასცემს ფულს

**ინსპირაციული** – **ინსპირირებული; ინსპირაციული**: წამქეზებლური (**ინსპირაციული** საქმიანობა); **ინსპირირებული**: წაქეზებული, ჩაგონებული (**ინსპირირებული** ომი)

**ინსტრუმენტული** [და არა ინსტრუმენტალური]

ინტერაქტიული (გამოკითხვა)

ინტერიერი; საინტერიერო

ინტერნატურა (ინტერნატურის˹ა˺)

(ინტერნეტგაზეთი //) საინტერნეტო გაზეთი

ინტერნეტკაფე (ინტერნეტკაფეს˹ი˺)

(ინტერნეტკონკურსი //) საინტერნეტო კონკურსი

(ინტერნეტმომხმარებელი //) ინტერნეტის მომხმარებელი)

(ინტერნეტსივრცე //) საინტერნეტო სივრცე

ინტიმური; ინტიმურობა

ინტონაცია: ინტონაციური (ინტონაციურად)

ინტოქსიკაცია: ინტოქსიკაციური

ინფორმირება: ინფორმირებული

ინფრასტრუქტურა: ინფრასტრუქტურული

იოგა – იოგი; იოგა: 1. იოგების მოძღვრება; 2. მ რ. იოგები: იოგის მიმდევრები; იოგი: ქსოვილი, რომელიც ამაგრებს სახსარს; შ დ რ.: ხმის იოგები

იოდიზაცია; იოდიზება: იოდიზებული [დ ა ა რ ა იოდიზირებული]

იოტისოდენა (იოტისოდენას˹ი˺)

იპოსტასი, ჰიპოსტასი: სამების თითოეული წევრი, შ დ რ.: ჰიპოსტაზი: მ ე დ ი ც. სისხლის შეგუბება სხეულის ქვედა ნაწილებსა და ორგანოებში (ემართებათ ავადმყოფებს, რომელთაც გულის მოქმედება აქვთ მოდუნებული)



ირეალობა // ირეალურობა

ირონია: ირონიული (ირონიულად); ირონიზება

ისახელებს; ისახელა; უსახელებია (თავი)

ისევ და ისევ

ისევ ისე

(ისეთ-ასეთი //) ასეთ-ისეთი

ისეთ-ისეთი; ისეთ-ისეთები

ისესხებს; ისესხა; უსესხია (თვითონ), მ ა გ რ ა მ: უსესხებია (სხვისთვის)

ის-ის იყო; ეს-ეს არის

ისმენს; ისმინა; უსმენია; ესმინა

ისტორიკოს-არქეოლოგი

ისტორიულ-გეოგრაფიული

ისტორიულ-შედარებითი

ისურვებს; ისურვა; უსურვებია; ესურვებინა

იუარებს; იუარა; უუარია // უუარებია; ეუარა // ეუარებინა

იუმორისტულ-სატირული

იურისდიქცია (იურისდიქციის˹ა˺)

იურისპრუდენცია (იურისპრუდენციის˹ა˺)

იუფროსებს; იუფროსა; უუფროსია; ეუფროსა

იქადაგებს; იქადაგა; უქადაგია // უქადაგებია; ექადაგა // ექადაგებინა

იქამდე // იქამდის

იქით და იქით

იქნეს (მიღებულ იქნეს) [და არა იქნას]

იქუხა – იხუვლა; იქუხა (ტაშმა); იხუვლა (ხალხმა)

იშიასი (იშიასს) [და არა იშიაზი]

იშიმშილებს; იშიმშილა; უშიმშილია; ეშიმშილა (თვითონ), მაგრამ: უშიმშილებია; ეშიმშილებინა (ვინმე)

იცეკვებს; იცეკვა; უცეკვია; ეცეკვა

იხანგრძლივებს; იხანგრძლივა; უხანგრძლივებია; ეხანგრძლივებინა

იხელმძღვანელებს; იხელმძღვანელა; უხელმძღვანელია; ეხელმძღვანელა

იხმაურებს; იხმაურა; უხმაურია; ეხმაურა

იხსენებს – იხსენიებს; იხსენებს (წარსულს); იხსენიებს (მეგობარს / წინაპრის სახელს)

# კ

კავშირგაბმულობა

კავშირგარეშე

კავშირ-ურთიერთობა



კაიკაცობა // კარგკაცობა

კალთებქვეშ

კალორიზაცია; კალორიზება: კალორიზებული

კანონზომიერი (კანონზომიერად); კანონზომიერება

კანონიერი – კანონზომიერი; კანონიერი: კანონის შესაბამისი; გამართლებული (კანონიერი მოთხოვნა / ქმედება...); კანონზომიერი: საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მუდმივი და უცილობელი კავშირის შესაფერისი (კანონზომიერი განვითარება / პროცესი)

კანონიზება: კანონიზებული [და არა კანონიზირება, კანონიზირებული]

კანონმდებელი (კანონმდებლის[ა])

კანონმდებლობა; საკანონმდებლო

კანონპროექტი

კანტიკუნტად

კაპიტალდაბანდება

კარაქწასმული

კარგა დიდი; კარგა მოზრდილი

კარგადმყოფი; კარგადმყოფობა

კარგამოკვეტილი; კარებგამოკვეტილი

კარგამოხურული; კარებგამოხურული

კარდაკარ, მაგრამ: კარ-კარ

კარდაკეტილი; კარებდაკეტილი

კარდიოგრამა [დ ა  ა რ ა  კარდეოგრამა]: კარდიოგრამული

კარი: კარზე დააკაკუნა

კარიბჭე (კარიბჭის⌜ა⌝)

კარიდან კარზე

კარიერა; კარიერისტი; კარიერიზმი

კარიკატურა: კარიკატურული; კარიკატურისტი

კარის ეკლესია

კარისკაცი

კარის მეზობელი

კარ-კარ, უმჯობესია: კარდაკარ

კარ-მიდამო

კარტოფილი

კარტრიჯი [დ ა  ა რ ა  კართრიჯი]

კარ-ფანჯარა, მ ა გ რ ა მ: კარფანჯრიანი

კარღია

კარჩაკეტილი (კარჩაკეტილად); კარჩაკეტილობა

კასაცია: კასაციური; საკასაციო

კასკადი; კასკადიორი

კასპიისპირა

კატაბალახა (კატაბალახას⌜ი⌝)



კატალოგი; კატალოგიზაცია

კატაპულტირება

კატარაქტა: თვალის ავადმყოფობა, შ დ რ.: კატარაქტი: ორთქლის მანქანებში – სარქველთა ავტომატურად ასახდელი მოწყობილობა

კატასტროფა: კატასტროფული (კატასტროფულად)

კაფე-ბარი; კაფე-რესტორანი

კაქტუსი [დ ა  ა რ ა  კაკტუსი] (კაქტუსს)

კაცთმოყვარე; კაცთმოყვარეობა; კაცთმოყვარული

კაცთმოძულე; კაცთმოძულეობა

კაციან-ქალიანად

კაცისკვლა; კაცისმკვლელი

კაციშვილი

კაციჭამია (კაციჭამიას⌜ი⌝); კაციჭამიობა

კაცობრიობა; კაცობრიული

კაცური კაცი, მ ა გ რ ა მ: კაცურკაცობა

კბილებდაკრეჭილი

კბილებჩამტვრეული

კბილებჩაცვივნული // კბილებჩაცვენილი

კედელ-კედელ

კედი – კეტი; კედი: სპორტული ფეხსაცმელი; კეტი: დიდი ჯოხი

**კედლებჩამონგრეული**

**კევიღეჭია** (კევიღეჭიას⌈ი⌉)

**კეთილგანწყობილი** (კეთილგანწყობილად); **კეთილგანწყობილება**

**კეთილგონიერი; კეთილგონიერება**

**კეთილგონივრული** (კეთილგონივრულად)

**კეთილდღეობა**

**კეთილთვისებიანი**

**კეთილინებებს; კეთილინება; კეთილუნებებია; კეთილენებებინა**

**კეთილინებეთ** [დ ა  ა რ ა  ნება იბოძეთ]

**კეთილისმყოფელი** (კეთილისმყოფლის⌈ა⌉)

**კეთილმეზობლური** (კეთილმეზობლურად)

**კეთილმოსურნე** (კეთილმოსურნის⌈ა⌉); **კეთილმოსურნეობა**

**კეთილმოწყობა: კეთილმოწყობილი** (კეთილმოწყობილად)

**კეთილსინდისიერი** (კეთილსინდისიერად); **კეთილსინდისიერება**

**კეთილშობილი: კეთილშობილური; კეთილშობილება**

**კერძომესაკუთრული**

**კერძომეურნეობრივი**

**კერძოობითი**



**კეც-კეცად**

**კვალდაკვალ**

**კვალი** (კვლისა, მ რ. კვლები), მ ა გ რ ა მ: **კვალის დაჩნევა**

**კვალიფიკაციაამაღლებული**

**კვალიფიციური – კვალიფიცირებული**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს დაოსტატებულს, დახელოვნებულს: **კვალიფიციური, კვალიფიცირებული** ექიმი / ჟურნალისტი..., მ ა გ რ ა მ **კვალიფიცირებულს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: განსაზღვრული (მათი საქციელი დანაშაულად იქნა **კვალიფიცირებული**)

**კვარცხლბეკი**

**კვეთს – ჰკვეთს; კვეთს** (გზას); **ჰკვეთს** (მას თავს)

**კვირა; კვირაობით**

**კვირადღე** (კვირადღის⌈ა⌉)

**კვირა-ნახევარი**

**კვირაცხოვლობა**

**კვლავ და კვლავ**

**კვლავწარმოება**

**კვლევა-ძიება**, მ ა გ რ ა მ: **კვლევაძიებითი**

**კვნესა-ვაება**

**კიბე-კიბე**

**კიბორჩხალი** (კიბორჩხლის⌜ა⌝) // **კიბორჩხალა** (კიბორჩხალას⌜ი⌝)

**კიდევ და კიდევ**

**კიდევ კარგი**

**კიდე-კიდე**

**კივილ-წივილი**

**კითხვა-კითხვით**

**კითხვა-პასუხი**

**კილერი** [და არა ქილერი]

**კილოგრამი** (კილოგრამმა)

**კილოვატსაათი**

**კილოკავი**

**კილომეტრ-ნახევარი** (კილომეტრ-ნახევრის⌜ა⌝)

**კილო-ნახევარი** (კილო-ნახევრის⌜ა⌝)

**კინემატოგრაფი; კინემატოგრაფისტი**

**კინემატოგრაფია: კინემატოგრაფიული**

**კინოაპარატურა**

**კინობაზა**

**კინოგადამღები**

**კინოგადაღება**

**კინოგამოფენა**

**კინოდოკუმენტალისტიკა**



**კინოდოკუმენტი**

**კინოეკრანი**

**კინოეპიზოდი**

**კინოვარსკვლავი**

**კინოთეატრი**

**კინოკამერა**

**კინოკარიერა**

**კინოლენტი**

**კინომსახიობი**

**კინონარკვევი**

**კინონაწარმოები**

**კინოობიექტივი**

**კინოოპერატორი**

**კინოპანორამა**

**კინოჟურნალი**

**კინორეჟისორი**

**კინოსეანსი** (კინოსეანსს)

**კინოსიუჟეტი**

**კინოფესტივალი** (კინოფესტივალის⌜ა⌝ )

**კინოფილმი** (კინოფილმმა)

**კინოფირი**

**კინოფოტომრეწველობა**

**კინოქრონიკა**

**კინოხელოვანი** (კინოხელოვნის⌈ა⌉ // კინოხელოვანის⌈ა⌉)

**კინტოური** [*და არა* კინტაური]

**კისერწაგრძელებული; კისერწაწვდილი**

**კისკისი; კისკის-ხარხარი**

**კისრისტეხით**

**კისრული** (*სპორტ.*)

**კლასგარეშე** (კითხვა)

**კლდეებშუა**

**კლდეკარი**

**კლდე-კლდე; კლდე-ღრე**

**კლეპტომანი; კლეპტომანია**

**კლინიკურ-დიაგნოსტიკური** (ცენტრი)

**კლიტედადებული**

**კმაყოფა**

[კნოპკა *კი არა*] **ჭიკარტი**

**კოდექსი** (კოდექსს)

**კოდირება** – **კოდიფიკაცია, კოდიფიცირება; კოდირება**: დაშიფვრა კოდის საშუალებით; **კოდიფიკაცია, კოდიფიცირება**: სამართლის ცალკეული დარგების კანონთა სისტემაში მოყვანა, ერთ კრებულში (კოდექსში) გაერთიანება



**კოლაფსი** – **კომა; კოლაფსი** (კოლაფსს): *მედიც.* სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება ერთბაშად (ხშირად თან სდევს გონების დაკარგვა); **კომა**: *მედიც.* უგონო მდგომარეობა (ჰგავს ღრმა ძილს); ხშირად გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით

**კოლეგიურობა** [*და არა* კოლეგიალურობა]

**კოლონისტი** – **კოლონიზატორი; კოლონისტი**: კოლონიის წევრი, კოლონიაში მცხოვრები, სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებული ადამიანი; **კოლონიზატორი**: კოლონიზაციის გამტარებელი

**კოლორატურა: კოლორატურული** (სოპრანო)

**კოლორიტი: კოლორიტული**

**კოლოსალური** (კოლოსალურად)

**კომენტატორი: კომენტატორული**

**კომენტირება: კომენტირებული**

**კომერსანტი: კომერსანტული**

**კომიკოსი, კომედიანტი** – **კომედიოგრაფი; კომიკოსი, კომედიანტი**: 1. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი; 2. *გადატ.* ადამიანი, რომელიც ქცევითა და ლაპარაკით სიცილს იწვევს; ოხუნჯი; **კომედიოგრაფი**: კომედიების მწერალი

**კომპაქტდისკი**

**კონკურენცია; კონკურენტი**

**კონსერვატორიადამთავრებული**

**კონსპირატორი**: **კონსპირატორული**

**კონსტატაცია** // **კონსტატირება** (ფაქტისა)

**კონსტიტუცია**: **კონსტიტუციური** (კონსტიტუციურად); **საკონსტიტუციო**

**კონსტრუქცია**: **კონსტრუქციული**

**კონსული**: **საკონსულო**

**კონსულტანტი** (კონსულტანტად)

**კონტრარგუმენტი**

**კონტრდაზვერვა**; **კონტრდარტყმა**; **კონტრიერიში**; **კონტრშეტევა**

**კონტროლქვეშ**

**კონტრწინადადება**

**კოორდინაცია**; **კოორდინირება**: **კოორდინირებული**; **საკოორდინაციო**

**კორონარული**

**კოტრიალ-კოტრიალი** (კოტრიალ-კოტრიალით)

**კოცნა-ხვევნა**

**კრებადი** – **კრებითი** – **კრებსითი**; **კრებადი**: ს პ ე ც. ერთად თავმოყრილი, შეჯგუფებული (**კრებადი** სხივები); **კრებითი**: გ რ ა მ ა ტ. კრებითი სახელი – ერთგვაროვან საგანთა ერთობლიობის გამომხატველი სიტყვა (მაგ., ხალხი, გუნდი...); **კრებსითი**: ს პ ე ც. შეერთებული; ნაკრები (**კრებსითი** კატალოგი)



**კრედიტორი**: **კრედიტორული**; **საკრედიტორო**

**კრედიტუნარიანი**

**კრიზი** – **კრიზისი**; **კრიზი**: მ ე დ ი ც. სისხლძარღვების დროებითი სპაზმური შეკუმშვა, რომელიც წარმოიქმნება უეცრად; ახასიათებს ძლიერი ტკივილი (ჰიპერტონიული **კრიზი**); **კრიზისი**: 1. მძაფრი გარდატეხა, ცვლილება; მწვავე მდგომარეობა, რომელიც გარდატეხას წინ უსწრებს; 2. მ ე დ ი ც. გადამწყვეტი გარდატეხის მომენტი მწვავე დაავადების მიმდინარეობისას; შ დ რ.: მთავრობის **კრიზისი**; ეკონომიკური **კრიზისი**

**კრიმინალური** – **კრიმინალისტური** – **კრიმინალისტიკური**; **კრიმინალური**: სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული (**კრიმინალური** ვითარება); **კრიმინალისტური**: კრიმინალისტისათვის (კრიმინალისტიკის სპეციალისტისათვის) დამახასიათებელი (**კრიმინალისტური** საქმიანობა); **კრიმინალისტიკური**: კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელი (**კრიმინალისტიკა** – ს ა მ ა რ თ. მოძღვრება სისხლის სამართლის შესახებ): **კრიმინალისტიკური** ლიტერატურა

**კრიტერიუმი** (კრიტერიუმმა)

**კრიტიკა**: **კრიტიკული** (კრიტიკულად)

**კრიტიკოსი**: მხატვრული ნაწარმოების გამრჩევშემფასებელი: „**კრიტიკოსი** არის გამრჩევი თხზულებისა“ (ილია), შ დ რ.: **კრიტიკანი**: ყველაფერში ნაკლის მძებნელი, წვრილმანებს გამოკიდებული, არაობიექტური

**კუბმეტრი** [და არა კუბამეტრი, კუბომეტრი]

**კუდამოძუებული** (კუდამოძუებულად)

**კუდრაჭა** (კუდრაჭას⌜ი⌝)

**კუთხე-კუთხე; კუთხე-კუნჭული**

**კულტურულ-საგანმანათლებლო**

**კუნთმაგარი**

**კუპე** (კუპეს⌜ი⌝)

**კუპიურა** (კუპიურის⌜ა⌝)

**კურატორი: კურატორული; საკურატორო**

**კურიერი; საკურიერო**

**კურსდამთავრებული**

**კუსტარული** (კუსტარულად)

**კუჭის წვენი**

**კუჭმაჭი**

**კუჭ-ნაწლავი**

**კუჭქვეშა** (ჯირკვალი)



# ლ

**ლაკონიზმი** (ლაკონიზმმა)

**ლაკონიური: ლაკონიურობა**

**ლამაზ-ლამაზი** (ლამაზ-ლამაზად)

**ლანდშაფტი**

**ლანძღვა-გინება** (ლანძღვა-გინებით)

**ლაპარაკ-ლაპარაკით**

**ლაპარასკოპია: ლაპარასკოპიული**

**ლარი** (ფული): **ხუთლარიანი**, მაგრამ: **5-ლარიანი**

**ლაქლაქი**

**ლაქტაცია**

**ლაწალუწი** (ლაწალუწით)

**ლეგენდად ქცეული**

**ლევკემია, ლეიკემია – ლევკომა, ლეიკომა; ლევკემია, ლეიკემია:** მედიც. ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა; თეთრსისხლიანობა; **ლევკომა, ლეიკომა:** მედიც. თვალის რქოვანას შემღვრევა (თეთრად); ლიბრი

**ლეპტოპი // ლაპტოპი; ნოუტბუკი** [და არა ნოუტბუქი]

**ლექსიკონი; სალექსიკონო**

**ლექტორიუმი** (ლექტორიუმმა)

**ლექცია-საუბრები** (მ რ.)

**ლექცია-სემინარები** (მ რ.)

**ლიბერალიზმი** (ლიბერალიზმმა) – **ლიბერალიზაცია; ლიბერალიზმი**: თავისუფალი აზროვნება; იდეოლოგიური მიმართულება; უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა; ზედმეტი შემწყნარებლობა; **ლიბერალიზაცია**: რაიმე საქმიანობაზე შეზღუდვათა შემცირება ან მოხსნა; შ დ რ.: **ფასების ლიბერალიზაცია** – ფასების გადასვლა სახელმწიფო სისტემიდან საბაზროზე

**ლიდერი; სალიდერო**

**ლიმიტგარეშე**

**ლიმონი** (ლიმონის⌜ა⌝); **ლომონიანი** [დ ა ა რ ა ლიმნიანი]

**ლიმონისფერი** (ლიმონისფრად)

**ლირიზმი – ლირიკა; ლირიზმი**: ლირიკული განწყობილება, ხასიათი; **ლირიკა**: ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა (გამოხატავს ადამიანის გრძნობებს, განცდებს; ასეთი სახის ნაწარმოებთა ერთობლიობა, მაგ., ნ. ბარათაშვილის ლირიკა)

**ლიტანიობა**

**ლიტერატურულ-ენობრივი; ლიტერატურულ-ისტორიული; ლიტერატურულ-მეცნიერული**



**ლიტკაფე** (ლიტკაფეს⌜ი⌝)

**ლოგიკურ-ფორმალური** (ლოგიკურ-ფორმალურად)

**ლოგოპათი – ლოგოპედი; ლოგოპათი**: ვისაც ლოგოპათია სჭირს, მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს, ენაბლუ; **ლოგოპედი**: ლოგოპედიის სპეციალისტი

**ლოგოპათია – ლოგოპედია; ლოგოპათია**: დეფექტური მეტყველება; **ლოგოპედია**: მეცნიერება დეფექტური მეტყველების მკურნალობის შესახებ

**ლოდქვეშ; ლოდებქვეშ**

**ლოყაწითელი** (ლოყაწითლის⌜ა⌝)

**ლოცვა-კურთხევა** (ლოცვა-კურთხევით)

**ლტოლვილი**

**ლუკმა-ლუკმა**

**ლუკმაპური**, მ ა გ რ ა მ: **ერთი ლუკმა პური**

**ლუმინესცენცია: ლუმინესცენციური**

[ლუნატიკი //] **მთვარეული**

**ლუსტრაცია: ლუსტრირება; ლუსტრირებული**

**ლხენა: სალხენი; მოსალხენი; მოლხენილი**

**ლხინი; სალხინო**

# მ

მაგათდა უნებურად

მაგარ-მაგარი

მაგიერ; მაგიერი (მაგივრის⌜ა⌝); მაგივრად

მაგისტრი – მაგისტრანტი – მაგისტრატი; მაგის-ტრი: აკადემიური ხარისხი ან ამ ხარისხის მქონე პირი; მაგისტრანტი: პირი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში სწავლობს; მაგისტრატი: დასავლეთ ევროპა-ში – ქალაქის მმართველობა

მათ – მათმა; მათ (როგორც სუბიექტი: მათ თქვეს / მოგვიკითხეს / დაგვირეკეს...); მათმა (როგორც მსაზღვრელი: მათმა მეგობარმა / ნაშრომმა...)

მათემატიკურ-ტექნიკური

მათ შორის; მათ შუა

მაინცდამაინც

მაის-ივნისი (მაის-ივნისს)

მაკროკლიმატი; მიკროკლიმატი

მალიმალ, მ ა გ რ ა მ: მალ-მალ, მალ-მალე

მალფუჭებადი

მალხენელი (მალხენლის⌜ა⌝)

მალხინებელი (მალხინებლის⌜ა⌝)



მამაზეციერი

მამამთავარი (მამამთავრის⌜ა⌝)

მამა-პაპა, მ ა გ რ ა მ: მამაპაპური; მამაპაპისეული

მამასახლისი (მამასახლისს)

მამა-შვილი, მ ა გ რ ა მ: მამაშვილური; მამაშვი-ლობა

მამაჩემი; მამაშენი; მამამისი...

მამაცხონებული

მამინაცვალი (მამინაცვლის⌜ა⌝)

მამისერთა (მამისერთას⌜ი⌝)

მამულ-დედული, მ ა გ რ ა მ: უმამულდედულო

მამულიშვილი; მამულიშვილური

მანიშნებელი (მანიშნებლად)

მანუგეშებელი (მანუგეშებლად)

მანქანათმშენებლობა

მანქანა-იარაღები

მანქანური – სამანქანო; მანქანური (დამუშავება ტექსტისა); სამანქანო (გზა)

მანჭვა-გრეხა [დ ა ა რ ა მანჭვა-გრეხვა]

მაპროფილებელი [დ ა ა რ ა მაპროფილირებე-ლი] (საგანი)

მარად და მარად

მარადმწვანე (მარადმწვანის⌜ა⌝)

მარადჟამს

მარგებელი (მარგებლის⌜ა⌝)

მართვა-გამგეობა

მართვე (მართვეს⌜ი⌝)

მართი კუთხე, მ ა გ რ ა მ: მართკუთხა; მართკუთხედი

მართლაც; მართლაცდა

მართლის მთქმელი

მართლწერა-მართლმეტყველება

მართლწესრიგი

მარტ-აპრილი

მარტოდმარტო; მარტოოდენ

მარტოსული

მარტოხელა (მარტოხელას⌜ი⌝)

მარცვალ-მარცვალ

მარცვლისოდენა

მარხვა – მარხულობა; მარხვა: განსაზღვრული დროით ყოველგვარი ან ცალკეული სახის საკვების (აგრეთვე გართობის...) აკრძალვის რელიგიური წესი; დრო, რომლის განმავლობაშიც სრულდება ეს რელიგიური წესი; მარხულობა: მარხვის შენახვა, მარხვის წესების დაცვა

მასაზრდოებელი (მასაზრდოებლად)



მას აქეთ; მას შემდეგ

მასტერკლასი (მასტერკლასს)

მასტიტი – მასტოპათია; მასტიტი: სარძევე ჯირკვლის ანთება (ლაქტაციის პერიოდში რძის დაგროვების ფონზე განვითარებული პროცესი); მასტოპათია: ძუძუს ყოველგვარი დაავადება (ჰორმონალური დისბალანსის ფონზე განვითარებული პროცესი)

მასხრად იგდებს (აიგდო,  აუგდია, აეგდო)

მატებს [დ ა  ა რ ა  ჰმატებს]

მატყუარა (მატყუარას⌜ი⌝)

მაფია (მაფიის⌜ა⌝)

მაფიოზი (მაფიოზზე): მაფიოზური

მაქსიმალური – მაქსიმალისტური; მაქსიმალური: უდიდესი, ყველაზე მეტი (ს ა პ ი რ ი ს პ. მინიმალური): მაქსიმალური რაოდენობა; მაქსიმალისტური: მაქსიმალიზმის ან მაქსიმალისტისათვის დამახასიათებელი (მაქსიმალიზმი – რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წამოყენება; გადაჭარბებულობა): მაქსიმალისტური მიდგომა

მაღალიდეური (მაღალიდეურად)

მაღალკვალიფიციური (მაღალკვალიფიციურად)

მაღალ-მაღალი (მაღალ-მაღლის⌜ა⌝)

მაღალმთიანი

მაღალმოქალაქეობრივი

**მაღალმხატვრული** (მაღალმხატვრულად)

**მაღალფარდოვანი** (მაღალფარდოვნად)

**მაღალქუსლიანი**

**მაღალყელიანი**

**მაღალჩინოსანი** (მაღალჩინოსნის⌈ა⌉)

**მაღალხარისხოვანი** (მაღალხარისხოვნად)

**მაღლა-მაღლა**

**მაშველი – მეშველი**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: მშველელი, შემწე; ვინც ან რაც შველის, მ ა გ რ ა მ: ლ ი ნ გ ვ. **მეშველი** [დ ა ა რ ა მაშველი] **ზმნა**; შ დ რ.: **მაშველები** (ზღვის სანაპიროზე); **მაშველი** (ფეხსაცმლისათვის)

**მაშინღა**

**მაცოცხლებელი** (მაცოცხლებლად)

**მაწყევარი** (მაწყევრის⌈ა⌉)

**მახვეწარი** (მახვეწრის⌈ა⌉)

**მახვილგონიერება**; **მახვილგონივრული** (მახვილგონივრულად)

**მახვილსიტყვაობა**

**მახსენებელი** (მახსენებლის⌈ა⌉)

**მაჯის საათი**

**მაჯისცემა**

**მგრძნობელობა – მგრძნობიარობა**; **მგრძნობელობა**: გამღიზიანებლის (რეცეპტორების) მოქმედებაზე რეაქციის უნარი (ავადმყოფს კიდურებში **მგრძნობელობა** აღუდგა); **მგრძნობიარობა**: მგრძნობიარე (განმცდელი) ადამიანის თვისება, გულჩვილობა



**მედია**; **მედიაბიზნესი** (მედიაბიზნესს); **მედიაკომპანია**; **მედიამენეჯერი**; **მედიამონიტორინგი**; **მედიასივრცე**; **მედიაქსელი**; **მედიაცენტრი**...

**მეთოდი – მეთოდიკა – მეთოდოლოგია**; **მეთოდი**: მოვლენის კვლევის ხერხი, მიდგომა (ორიგინალური **მეთოდი**); **მეთოდიკა**: 1. ამგვარ ხერხთა სისტემა; 2. პედაგოგიკის დარგი; **მეთოდოლოგია**: მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ

**მეთოდური – მეთოდიკური – მეთოდოლოგიური**; **მეთოდური**: რაიმე მეთოდთან დაკავშირებული (**მეთოდური** რჩევა-დარიგება / მითითება); **მეთოდიკური**: სწავლების, პრაქტიკულად შესრულების ხერხთა ერთობლიობასთან, მეთოდიკასთან დაკავშირებული (**მეთოდიკური** ლიტერატურა); **მეთოდოლოგიური**: მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი (**მეთოდოლოგიური** საკითხები / კვლევა)

**მემანევრე** (მემანევრის⌈ა⌉)

**მემიზნე** (მემიზნის⌈ა⌉)

**მეოთხედფინალი**: **მეოთხედფინალური**

**მეოთხე-მეხუთე**

**მეორე** (მეორის⌈ა⌉); **მე-2**; **II**

მეორეხარისხოვანი (მეორეხარისხოვნად)

მერვედფინალი: მერვედფინალური

მერყეობა [და არა მერყევობა]

მესაზღვრე – მოსაზღვრე; მესაზღვრე: საზღვრის მცველი ჯარისკაცი (მესაზღვრეთა რაზმი); მოსაზღვრე: 1. რაც ესაზღვრება რაიმეს; მომიჯნავე (მოსაზღვრე სახელმწიფოები / კუთხეები / ეზოები...); 2. გადატ. მონათესავე (მოსაზღვრე დისციპლინები...)

მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ: მეტ-ნაკლებად

მეტი და მეტი

მეტისმეტი (მეტისმეტად)

მეტ-ნაკლები; მეტ-ნაკლებად, მაგრამ: მეტნაკლებობა

მეტსახელი (მეტსახელად)

მეტწილად

მეტხანს; მეტჯერ

მეფე-დედოფალი; მეფე-პატარძალი

მეცნიერულ-პედაგოგიური

მეცნიერულ-შემოქმედებითი

მეცო-სოპრანო

მეხილეობა-მებოსტნეობა

მეხსარიდი (// მეხთამრიდი)

მზაკვარი (მზაკვრის⌜ა⌝); მზაკვრული; მზაკვრობა



მზედაკრული

მზეთამზე (მზეთამზის⌜ა⌝)

მზეკაბანი

მზემოკიდებული

მზენაკრავი

მზეჭაბუკი

მზის დაბნელება

მთა-ბარი, მაგრამ: მთა და ბარი

მთაგრეხილი

მთა და ველი, მაგრამ: მთა-ველი

მთავარეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსს)

მთაკაცი

მთამადნეული

მთა-მთა

მთამსვლელი; მთამსვლელობა

მთელ-მთელი (მთელ-მთელად)

მთვარეული [// ლუნატიკი]

მთვარის დაბნელება

მთის ძირი, მაგრამ: მთისძირა

მთლად – მთლიანად; მთლად (გაგიჟდა); მთლიანად (შეჭამა)

მთხრობელი (მთხრობლის⌜ა⌝)

მიაბნ-მოაბნევს; მიაბნ-მოაბნია; მიუბნ-მოუბნევია; მიებნ-მოებნია

მიავლ-მოავლებს; მიავლ-მოავლო; მიუვლ-მოუვლია; მიევლ-მოევლო

მიათვალიერ-მოათვალიერებს; მიათვალიერ-მოათვალიერა; მიუთვალიერ-მოუთვალიერებია; მიეთვალიერ-მოეთვალიერებინა

მიასწორ-მოასწორებს; მიასწორ-მოასწორა; მიუსწორ-მოუსწორებია; მიესწორ-მოესწორებინა

მიატარ-მოატარებს; მიატარ-მოატარა; მიუტარ-მოუტარებია; მიეტარ-მოეტარებინა

მიაყიდვინებს; მიაყიდვინა; მიუყიდვინებია; მიეყიდვინებინა

მი-ბემოლი

მიბნევ-მობნევა

მიბრუნ-მობრუნება

მიგრეხილ-მოგრეხილი

მიგყავარ; მიგყავს

მიდი-მოდის; მიდი-მოდიოდა; მიდი-მოდიოდეს

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება; მიედ-მოედო; მისდებ-მოსდებია

მივარდება (ის), მ ა გ რ ა მ: მიცვივდება (ხალხი), მიცვივდებიან (ისინი)

მიზანაუცდენელი (მიზანაუცდენლად)



მიზანაცილებული

მიზან-დანიშნულება

მიზანდასახული; მიზანდასახულობა

მიზანმიმართული (მიზანმიმართულად)

მიზანმიმსწრაფი

მიზეზ-მიზეზ

მიზეზშედეგობრივი

მიზომება – მიზომვა; მიზომება (ტანსაცმლისა); მიზომვა (ადგილისა)

მით უმეტეს

მით უფრო

მითქმა-მოთქმა

მიივლ-მოივლის; მიიარ-მოიარა; მიუვლ-მოუვლია; მიევლ-მოევლო

მიინგრევ-მოინგრევა; მიინგრ-მოინგრა; მინგრეულ-მონგრეულა; მინგრეულ-მონგრეულიყო

მიისვ-მოისვამს; მიისვ-მოისვა; მიუსვ-მოუსვამს; მიესვ-მოესვა

მიისწრაფვის; მიისწრაფოდა; მიისწრაფოდეს

მიიქნევ-მოიქნევს; მიიქნ-მოიქნია; მიუქნევ-მოუქნევია; მიექნ-მოექნია

მიიხედ-მოიხედავს; მიიხედ-მოიხედა; მიუხედ-მოუხედავს; მიეხედ-მოეხედა

მიკიბ-მოკიბავს; მიკიბ-მოკიბა; მიუკიბ-მოუკიბავს; მიეკიბ-მოეკიბა

**მიკიბ-მოკიბვა; მიკიბულ-მოკიბული** (მიკიბულ-მოკიბულად)

**მიკროავტობუსი** (მიკროავტობუსს)

**მიკროკლიმატი: მიკროკლიმატური**

**მიკროსკოპი: მიკროსკოპული**

**მიკროსკოპია: მიკროსკოპიული**

**მიკროსტრუქტურა**

**მილანძღ-მოლანძღავს; მილანძღ-მოლანძღა; მიულანძღ-მოულანძღავს; მიელანძღ-მოელანძღა**

**მილეწილ-მოლეწილი**

**მილეწ-მოლეწავს; მილეწ-მოლეწა; მიულეწ-მოულეწავს; მიელეწ-მოელეწა**

**მილილიტრი**

**მილიმეტრი**

**მილიტარიზმი** (მილიტარიზმმა)

**მილიტარისტი: მილიტარისტული**

**მიმავალ-მომავალი**

**მიმალულ-მომალული**

**მიმატება-გამოკლება**

**მიმზარებელი** (მიმზარებლის⌜ა⌝)

**მიმბაძველი** (// მიმბაძავი)

**მიმსგავსებითი; მიმსგავსებული** (მიმსგავსებულად)



**მიმსვლელ-მომსვლელი**

**მიმტან-მომტანი**

**მიმტაცებელ-მომტაცებელი** (მიმტაცებელ-მომტაცებლის⌜ა⌝)

**მიმტვრეულ-მომტვრეული**

**მიმყავს; მიმყავხარ**

**მიმყვან-მომყვანი**

**მიმშველებელი** (მიმშველებლის⌜ა⌝)

**მიმწოდებელი** (მიმწოდებლის⌜ა⌝)

**მიმხედავი; მიმხედველი**

**მინანქარი: მინანქრული**

**მინგრევ-მონგრევა; მინგრეულ-მონგრეული**

**მინდორ-ველი; მინდორი და ველი**

**მინდორ-მინდორ**

**მინებჩალეწილი**

**მინებჩასმული**

**მინერალოგია: მინერალოგიური** [და არა მინეროლოგია, მინეროლოგიური]

**მინერალური** (წყლები)

**მინიმალური** (მინიმალურად)

**მინიმარკეტი**

**მინიმუმი** [და არა მინიმუმები]

**მირაჟი** (მირაჟს)

მირბი-მორბის; მირბი-მორბოდა; მირბი-მორბოდეს

მირეკ-მორეკავს; მირეკ-მორეკა; მიურეკ-მოურეკავს; მიერეკ-მოერეკა

მირონცხება: მირონცხებული; მირონნაცხები

მისათითებელი (მისათითებლად)

მისამალავი // მისამალი

მისასვლელ-მოსასვლელი (მისასვლელ-მოსასვლელად)

(მისაყრდენი //) მისაყრდნობი

მისაყუდებელი (მისაყუდებლად)

მისაშენებელი (მისაშენებლად)

მისაშველებელი (მისაშველებლად)

მისახვევ-მოსახვევი

მისახმარებელი (მისახმარებლად)

მისდამი // მისადმი

მისდა საბედნიეროდ

მისდა საუბედუროდ

მისდა უნებურად

მისდგომია; მისდგომოდა

მისდებია; მისდებოდა

მისვლა-მოსვლა

მისტიკა: მისტიკური [და არა მისტიური]



მისწევ-მოსწევს; მისწი-მოსწია; მიუწევ-მოუწევია; მიეწ-მოეწია

მისჯდომია; მისჯდომოდა (ის კერას), მაგრამ: მისხდომია; მისხდომოდა (ხალხი ტელევიზორს); მისხდომიან; მისხდომოდნენ (ბავშვები კომპიუტერს)

მიტან-მოტანა; მიტანილ-მოტანილი

მიტრიალ-მოტრიალდება; მიტრიალ-მოტრიალდა; მიტრიალ-მოტრიალებულა; მიტრიალ-მოტრიალებულიყო

მიუვარდა (ის), მაგრამ: მიუცვივდნენ (ისინი მას // მათ), მიუცვივდა (ხალხი)

მიუსვ-მოუსვამს; მიუსვ-მოუსვა; მიუსვ-მოუსვამს (თურმე); მიესვ-მოესვა

მიუჯდება (ის), მაგრამ: მიუსხდება (ხალხი); მიუსხდებიან (ისინი)

მიფანტ-მოფანტავს; მიფანტ-მოფანტა; მიუფანტ–მოუფანტავს; მიეფანტ-მოეფანტა

მიფანტულ-მოფანტული

[მიქონდა კი არა] მიჰქონდა

მიღრეცილ-მოღრეცილი (მიღრეცილ-მოღრეცილად)

[მიყავს კი არა] მიჰყავს

მიყავხარ; მიმყავხარ

მიყვან-მოყვანა

მიყიდ-მოყიდის; მიყიდ-მოყიდა; მიუყიდ-მოუყიდია; მიეყიდ-მოეყიდა

მიყრა-მოყრა; მიყრილ-მოყრილი

მიყრი-მოყრის; მიყარ-მოყარა; მიუყრ-მოუყრია; მიეყარ-მოეყარა

მიცვივდება; მიცვივდა; მიცვივნულა // მიცვენილა (ხალხი), მ ა გ რ ა მ: მივარდება (ის), მიცვივდებიან (ისინი)

მიწა-წყალი (მიწა-წყლის⌜ა⌝)

მიწევ-მოწევა

მიწერ-მოწერა; მიწერილ-მოწერილი

მიწეულ-მოწეული

მიწის ზემოთ, მ ა გ რ ა მ: მიწისზედა

მიწისმზომელი (მიწისმზომლის⌜ა⌝); მიწისმზომლობა

მიწის მთხრელი (მუშა), მ ა გ რ ა მ: მიწის სათხრელი (იარაღი)

მიწის მუშა

მიწისფერი (მიწისფრად), მ ა გ რ ა მ: მიწის ფერი ედო

მიწისქვეშა (მიწისქვეშას⌜ი⌝)

მიჭედილი // მიჭედებული

მიჭრილ-მოჭრილი

მიხვევ-მოხვევა (მიუხვ-მოუხვევს); მიხვეულ-მოხვეული

მიხლა-მოხლა



მიხრა-მოხრა; მიხრილ-მოხრილი

მიხრი-მოხრის; მიხარ-მოხარა; მიუხრ-მოუხრია; მიეხარ-მოეხარა

მიხტომ-მოხტომა

მიჰქონდა [დ ა ა რ ა მიქონდა]

მიჰყავს [დ ა ა რ ა მიყავს]

მიჰყვებ-მოჰყვება; მიჰყვა-მოჰყვა; მიჰყოლ-მოჰყოლია; მიჰყოლ-მოჰყოლოდა

მიჰყიდის; მიჰყიდდა; მიჰყიდა; მიუყიდია; მიეყიდა

მიჰყოლია; მიჰყოლოდა; მიჰყოლოდეს

მკაფიო; მკაფიობა [დ ა ა რ ა მკაფიოობა]

მკერდგაღეღილი

მკერდმაღალი

მკერდქვეშ

მკვეთი // მკვეთელი

მკვეხარა (მკვეხარას⌜ი⌝)

მკვეხარი (მკვეხარის⌜ა⌝)

მკვნესარე // მკვნესარი

მკლავებგაშლილი

მკლავებდაკაპიწებული

მკრეფელი // მკრეფავი; შ დ რ.: მკრეფი (ძ ვ.)

მლეწავი // მლეწველი

მლოკავი // მლოკველი

მლოცველი (// მლოცავი)

მნდომი // მნდომელი

მოაზროვნე (მოაზროვნის⌜ა⌝)

მოასფალტება: მოასფალტებული

მოასწრებს; მოასწრო (მოვასწარი, მოასწარი); მოუსწრია; მოესწრო

[მოაქვს კ ი ა რ ა] მოჰყავს მაგალითი / ფაქტი...

მოაწყობს; მოაწყო (მოვაწყვე, მოაწყვე); მოუწყვია; მოეწყო

მოაჯადოებს; მოაჯადოვა; მოაჯადოოს (მოვაჯადოო, მოაჯადოო); მოუჯადოებია; მოეჯადოებინა

[მობანს კ ი ა რ ა] მოჰბანს (მას ჭრილობას)

მობურთავე // მობურთალი

მოგონილი – მოგონებული; მოგონილი: გამოგონილი (მოგონილი ჭორი...); მოგონებული: გახსენებული (მოგონებული ბავშვობა...)

მოგროვებული // მოგროვილი

მოდგა (აქეთ მოდგა), მ ა გ რ ა მ: მოსდგა (ცოლი მთვრალ ქმარს)

მოდერნიზაცია; მოდერნიზება

მოდერნიზებული – მოდერნისტული; მოდერნიზებული: რამაც მოდერნიზაცია განიცადა, რასაც მოდერნიზაცია შეეხო (მოდერნიზებუ-



ლი მანქანა); მოდერნისტული: მოდერნიზმისა თუ მოდერნისტისთვის დამახასიათებელი (მოდერნისტული ძიება / ხედვა...)

მოდერნიზმი – მოდერნიზაცია; მოდერნიზმი: ლ ი ტ., ხ ე ლ ო ვ ნ. საერთო სახელწოდება სხვადასხვა ახალი, თანამედროვე მიმდინარეობისა; მოდერნიზაცია: გათანამედროვება, განახლება (მანქანის / დეტალის მოდერნიზაცია)

მოდულაცია; მოდულირება

მოეპრიანება; მოეპრიანა; მოჰპრიანებია; მოჰპრიანებოდა

მოეპყრობა; მოეპყრო (მოვეპყარი, მოეპყარი); მოჰპყრობია; მოჰპყრობოდა

მოერგება; მოერგო; მორგებია; მორგებოდა

მოვარდისფრო (მოვარდისფროდ)

მოვასწარი მე; მოასწარი შენ [დ ა ა რ ა მოვასწრე, მოასწრე]

მოვვლე; მოვვლო (მე)

მოვლა-აღზრდა

მოვლა-დამუშავება

მოვლა-დაცვა

მოვლა-პატრონობა

მოვლა-შენახვა

მოზაიკა: მოზაიკური

მოთავე; მოთავეობა

**მოთმენა** – **მოთმინება**; **მოთმენა**: გაძლება, ატანა (ამის **მოთმენა** უკვე აღარ შეიძლება); **მოთმინება**: მოთმენის უნარი, შ დ რ.: **მოთმინებიდან გამოიყვანს**; **მოთმინებას დაკარგავს**; **მოთმინების ფიალა**

**მოთმინებადაკარგული**

**მოთქმა-გოდება**

**მოთხილამურე** (მოთხილამურის˹ა˺)

**მოიზიდავს**; **მოიზიდა**; **მოუზიდავს**; **მოეზიდა**

**მოიმდურებს**; **მოიმდურა**; **მოუმდურებია**; **მოემდურებინა**

**მოისინჯავს**; **მოისინჯა**; **მოუსინჯავს**; **მოესინჯა**

**მოისხამს**; **მოისხა**; **მოუსხამს**; **მოესხა**

**მოიჯარე** (მოიჯარის˹ა˺) [და არა მოიჯარადრე]

[მოკვეთს კ ი ა რ ა] **მოჰკვეთს** (თავს)

**მოკლეთმიანი**

**მოკლეკაბიანი**

**მოკლეკისერა** (მოკლეკისერას˹ი˺)

**მოკლემეტრაჟიანი**

**მოკლე-მოკლე** (მოკლე-მოკლედ)

**მოკლესახელოებიანი**

**მოკრებს**; **მოკრიბა**; **მოუკრებია**; **მოეკრიბა** (ხალხი...), შ დ რ.: **მოკრეფს**; **მოკრიფა**; **მოუკრეფია**; **მოეკრიფა** (ხილი...)



**მოლარე-ინკასატორი**

**მოლოდინი** [დ ა ა რ ა მოლოდინები]

**მომატყუებელი** (მომატყუებლის˹ა˺)

**მომაქცეველი** – **მომქცევი**; **მომაქცეველი**: ვინც ან რაც მოაქცევს ახალ, სხვა სარწმუნოებაზე (ვინმეს); **მომქცევი**: ვინც ისე თუ ასე მოიქცევა

**მომაჯადოებელი**; **მომჯადოებელი**

**მომგროვებელი** (მომგროვებლის˹ა˺)

**მომდინარე** (მომდინარის˹ა˺); **მომდინარეობა**

**მომდინარი**

**მომდურავი**; **მომდურაობა**

**მომზიდველი**; **მომზიდავი**

**მომკითხავი** – **მომკითხველი**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც მოიკითხავს (ვინმეს ან რაიმეს); ამზის მკითხველი, მ ა გ რ ა მ **მომკითხავს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: პასუხის მომთხოვნი

**მომლხენი**

**მომმარაგებელი** (მომმარაგებლის˹ა˺)

**მომპატიჟებელი** (მომპატიჟებლის˹ა˺)

**მომჟავო-მოტკბო**

**მომრჩენი** [// მომრჩენელი]

**მომსვლელ-წამსვლელი**

**მომსმენი** [// მომსმენელი]

**მომსპობი** [// მომსპობელი]

**მომტყუებელი** (მომტყუებლის⌜ა⌝)

**მომფენი** [// მომფენელი]

**მომღერალი** (მომღერლის⌜ა⌝)

**მომჩივან-მოპასუხე** (მომჩივან-მოპასუხის⌜ა⌝)

[მომჩივარი კი არა] **მომჩივანი**

**მომცემი** (მომცემმა) [და არა მომცემელი]

**მომწამვლელი // მომწამლავი**

**მომჭირნე** (მომჭირნის⌜ა⌝); **მომჭირნეობა**

**მომხდარი**

**მომხდენი**

**მომხდომი**

**მომხვეჭი // მომხვეჭელი**

**მომხიბლაობა // მომხიბვლელობა**

**მომხმარე – მომხმარებელი**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: გამომყენებელი; ვინც მოიხმარს, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **მომხმარე**: დამხმარე; **მომხმარებელი**: მყიდველი

**მომხრე** (მომხრის⌜ა⌝)

**მომხსენებელი** (მომხსენებლის⌜ა⌝)

**მონაცემი** (მონაცემმა)

**მონაცვლეობა** (მონაცვლეობით)



**მონახევრე** (მონახევრის⌜ა⌝)

**მონოლოგი: მონოლოგური**

**მონოპოლიზაცია // მონოპოლიზება: მონოპოლიზებული**

**მონოპოლიური – მონოპოლისტური; მონოპოლიური**: ერთპიროვნული; უპირატესი უფლების მქონე; **მონოპოლისტური**: მონოპოლიზმის პრინციპებზე დამყარებული

**მოოქროსფრო** (მოოქროსფროდ)

**მოოქრული** [და არა მოოქვრილი, მოოქროვილი, მოოქროებული]

**მოოჭვა; მოოჭვილი**

**მოოხება** (გულისა)

**მოპაექრე** (მოპაექრის⌜ა⌝)

[მოპარავს კი არა] **მოჰპარავს** (მას)

**მოპასუხე** (მოპასუხის⌜ა⌝)

**მოპირდაპირე** (მოპირდაპირის⌜ა⌝)

**მოპირისპირე** (მოპირისპირის⌜ა⌝)

**მორალურ-ეთიკური**

**მორალური – მორალისტური; მორალური**: ზნეობრივი (**მორალური** პრინციპები); **მორალისტური**: მორალისტისთვის დამახასიათებელი: **მორალისტური** ხედვა (**მორალისტი** – ზნეობის მასწავლებელი)

**მორატორიუმი** (მორატორიუმმა)

მორთვა-მოკაზმვა; მორთულ-მოკაზმული

მოსაგონარი – მოსაგონებელი; მოსაგონარი: ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი (წინაპრის მოსაგონარი შეისვა); მოსაგონებელი: რაც უნდა მოიგონონ ან გაიხსენონ (მოსაგონებელი ამბავი)

მოსაზიდი // მოსაზიდავი

მოსათიბი // მოსათიბავი

მოსათოკი // მოსათოკავი

მოსაკრები – მოსაკრეფი; მოსაკრები (გადასახადი); მოსაკრეფი (ხილი)

მოსალოცი – მოსალოცავი; მოსალოცი (ზარათი); მოსალოცავი (ადგილები)

მოსამართავი (// მოსამართი)

მოსანათლავი (// მოსანათლი)

მოსაპარსი // მოსაპარსავი

მოსარეცხი // მოსარეცხავი

მოსარიგებელი (მოსარიგებლად)

მოსაჭიდებელი [// მოსაჭიდი]

მოსახდენი [დ ა  ა რ ა  მოსახდენელი]

მოსახვეჭი (// მოსახვეჭელი)

მოსახილველი // მოსახილავი

მოსახმარი – მოსახმარებელი; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: რაც უნდა მოიხმარონ, გამოსაყენებელი; მ ა გ რ ა მ მოსახმარებელს სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვისაც უნდა მოეხმარონ; დასახმარებელი



მოსახსენებელი // მოსახსენები

მოსვლა; მოსვლისას; მოსვლისთანავე

მოსტაცებს; მოსტაცა; მოუტაცებია; მოეტაცებინა

მოსტყდება; მოსტყდა; მოსტყდომია; მოსტყდომოდა (მას ხელი), მ ა გ რ ა მ: მოტყდა (ტოტი), შ დ რ.: მოტყდა (კაცი)

მოსჩქეფს (კაცს სისხლი), მ ა გ რ ა მ: მოჩქეფს (მდინარე)

მოსცილდება; მოსცილდა; მოსცილებია; მოსცილებოდა (მას ჭუჭყი), მ ა გ რ ა მ: მოცილდი აქედან! შ დ რ.: მოსცლია (მას)

მოსწავლე – მოწაფე; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც სწავლობს, მ ა გ რ ა მ მოწაფეს სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვინმეს მოძღვრებისა თუ პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი, გამგრძელებელი (ქრისტეს მოწაფეები)

მოსწევს; მოსწია

მოსწონს; მოსწონდა; მოსწონებია; მოსწონებოდა

მოსწყინდება; მოსწყინდა; მოსწყენია; მოსწყენოდა

მოტეხს (ტაროს), მ ა გ რ ა მ: მოსტეხს (ხეს ტოტს)

მოტკბო-მომჟავო

მოტოციკლეტი // მოტოციკლი

**მოტოციკლისტი**

**მოუდრეკელობა // მოუდრეკლობა**

**მოუთმენელი** (მოუთმენლად)

**მოუკრეფავი // მოუკრეფელი** (მოუკრეფლად)

**მოუკრეფს; მოუკრიფა; მოუკრეფია; მოეკრიფა** (ხილი), მაგრამ: **მოუკრებს; მოუკრიბა; მოუკრებია; მოეკრიბა** (ხალხი)

**მოქალაქე** (მოქალაქის⌜ა⌝); **მოქალაქეობა**

[მოქონდა კი არა] **მოჰქონდა**

**მოღლილ-მოქანცული**

[მოყავს კი არა] **მოჰყავს**

[მოყვა კი არა] **მოჰყვა** (ამბავს)

**მოყვანა** [და არა მოტანა] მაგალითისა...

**მოყვარე** (მოყვრის⌜ა⌝, მოყვრები)

**მოყვითალო-მომწვანო**

[მოცლია კი არა] **მოსცლია** (მას)

[მოწონს კი არა] **მოსწონს**

**მოჰბანს; მოჰბანა; მოუბანია; მოებანა**

**მოჰკვეთს; მოჰკვეთა; მოუკვეთია; მოეკვეთა**

**მოჰპარავს; მოჰპარა; მოუპარავს; მოეპარა**

**მოჰქონდა; მოჰქონდეს** [და არა მოქონდა, მოქონდეს]

**მოჰყავს; მოჰყავდა; მოჰყავდეს**



**მოჰყავს** [და არა მოაქვს] (მაგალითი / ფაქტი / ციფრები)

**მოჰყვა** (იგი ზღაპარს)

**მრავალგზის; მრავალგზისი**

**მრავალმხრივი** (მრავალმხრივად)

**მრავალჟანრიანი**

**მრავალსახეობა**

**მრავალსულიანი**

**მრავალტომიანი**

**მრავალფეროვანი** (მრავალფეროვნად)

**მრავალშვილიანი**

**მრავალცოლიანობა**

**მრავალწერტილი**

**მრავალწლიანი // მრავალწლოვანი**

**მრავალხმიანი**

**მრავალჯერადი**

**მრავლისმეტყველი** (მრავლისმეტყველად)

**მსგავსება-განსხვავება; მსგავსება-განსხვავებანი**

**მსმენელ-მაყურებელი** (მსმენელ-მაყურებლის⌜ა⌝)

**მსოფლიოს ჩემპიონი** [და არა მსოფლიო ჩემპიონი]

**მსუქან-მსუქანი**

[მსწრაფლმავალი კი არა] **სწრაფმავალი**

მსხვილ-მსხვილი

მსჯავრდადებული [დ ა  ა რ ა  მსჯავრდებული]

მსჯავრმდებელი (მსჯავრმდებლის⌜ა⌝)

მტანჯველი (// მტანჯავი)

მტაცებელი (მტაცებლის⌜ა⌝): მტაცებლური

მტერ-მოყვარე (მტერ-მოყვრის⌜ა⌝), მ ა გ რ ა მ: მტერმოყვრობა

მტვერსასრუტი; მტვერსაწმენდი

მტკიცე (მტკიცის⌜ა⌝)

მტრედისფერი (მტრედისფრად)

მტრობა-ქიშპობა

მუდამდღე; მუდამჟამს

მუდმივგანახლებადი

მუდმივმოქმედი

მულტიპლიკატორი

მულტიპლიკაცია: მულტიპლიკაციური (ფილმი)

მუნდშტუკი

მუსიკათმცოდნე (მუსიკათმცოდნის⌜ა⌝)

მუშტი-კრივი, მ ა გ რ ა მ: კრივი (სპორტი)

მუხლმოყრა (მუხლმოყრით)

მუხლობრივ // მუხლობრივად

მფლანგავი // მფლანგველი



მღაღადებელი (მღაღადებლის⌜ა⌝)

მღელვარე [// მღელვარი]

მღვდელ-დიაკონი (მღვდელ-დიაკვნის⌜ა⌝)

მღვდელთუხუცესი (მღვდელთუხუცესს)

მღვდელმთავარი (მღვდელმთავრის⌜ა⌝)

მღვიძარე (// მღვიძარი)

მყვირალა (მყვირალას⌜ი⌝)

მყვირალი (მყვირალის⌜ა⌝)

მყიდველ-გამყიდველი

მშველელი

მშვიდობისმოყვარე (მშვიდობისმოყვარის⌜ა⌝)

მშვილდ-ისარი

მშიერ-მწყურვალი

მშიშარა (მშიშარას⌜ი⌝)

მშობელი (მშობლის⌜ა⌝): მშობლიური

მჩაგვრელი (// მჩაგრავი)

მცივანა (მცივანას⌜ი⌝)

მცირე ბიზნესი (მცირე ბიზნესს)

მცირემნიშვნელოვანი

მცირემოსავლიანობა

მცირემცოდნე (მცირემცოდნის⌜ა⌝): მცირემცოდ-ნეობა

**მცირერიცხოვანი** (მცირერიცხოვნის⌜ა⌝)

**მცირეწლოვანი** (მცირეწლოვნის⌜ა⌝)

**მცხუნვარე** (მცხუნვარის⌜ა⌝); მცხუნვარება

**მძევალი** (მძევლის⌜ა⌝)

**მძიმე-მძიმედ**

**მძინარა** (მძინარას⌜ი⌝)

**მძლეთამძლე** (მძლეთამძლის⌜ა⌝)

**მწარმოებელი** (მწარმოებლის⌜ა⌝)

**მწკრივ-მწკრივად**

**მწყალობელი** (მწყალობლის⌜ა⌝)

**მწყურვალე** (მწყურვალის⌜ა⌝) // **მწყურვალი**

**მჭვრეტი** // **მჭვრეტელი** (მჭვრეტლის⌜ა⌝)

**მხარბეჭი: მხარბეჭიანი**

**მხარდამხარ**

**მხარდაჭერა**, მ ა გ რ ა მ: **მხარის დაჭერა**

**მხარ-თეძო** (მხარ-თეძოზე წამოწოლილი)

**მხარშექცეული**

**მხატვრობა-ქანდაკება**

**მხატვრულ-იდეური**

**მხატვრულ-ლიტერატურული**

**მხატვრულ-შემოქმედებითი**

**მხედართმთავარი** (მხედართმთავრის⌜ა⌝)



**მხიარულება** [// მხიარულობა]

**მხლებელი** (მხლებლის⌜ა⌝)

**მხოლოდ და მხოლოდ**

**მხოლოდღა**

**მხოლოდშობილი**

**მხოლოობითი** (// **მხოლობითი**): გრამატიკული რიცხვი

**მხრივ; მხრით: ერთი მხრივ / მხრით...**

**მხტომი** // **მხტომარე** // **მხტომელი**

**მხურვალე** (// მხურვალი)

**მჯდარი** // **მჯდომი** (ერთი), მ ა გ რ ა მ: **მსხდარი** // **მსხდომი** (ზევრი)

# ნ

**ნაამაგარ-ნაშრომი**

**ნაამაგევი** // **ნაამაგარი**

**ნაამბორები** // **ნაამბორალი**

**ნაანგარიშები**

**ნაანდერძევი** // **ნაანდერძები**

**ნაასპარეზები** (ვინც იასპარეზა) – **ნაასპარეზევი** (სადაც ასპარეზი იყო)

**ნაბადმოხვეული; ნაბადწამოხურული**

**ნაბატონარი** [// ნაბატონევი]

**ნაბიჯ-ნაბიჯ**

**ნაბოლარა** (ნაბოლარას⌜ი⌝)

**ნაბოძები** [// ნაბოძვარი]

**ნაბრძანები**

**ნაგავსაყარი // ნაგავსაყრელი**

**ნაგვალვი** [// ნაგვალვები]

**ნაგვიანები** (// **ნაგვიანევი**)

**ნაგლეჯ-ნაგლეჯი** (ნაგლეჯ-ნაგლეჯად)

**ნაგრიგალევი**

**ნაგულისხმები** (// **ნაგულისხმევი**)

**ნადედოფლარი**

**ნადირ-ფრინველი**

**ნადუღები,** შ დ რ.: **ნადუღი** (რძის ნაწარმი)

**ნაეკლესიარი**

**ნაერთგულევი** (// **ნაერთგულარი**)

**ნაეშმაკარი // ნაეშმაკები**

**ნავარაუდები** (// **ნავარაუდევი**)

**ნავარჯიშები** (= ვინც ივარჯიშა)



**ნავახშმები** (= ვინც ივახშმა)

**ნავახშმევს** (= ვახშმის შემდეგ)

**ნავენახარი // ნავენახევი**

**ნავთობბაზა** (ნავთობბაზის⌜ა⌝)

**ნავთობგადასამუშავებელი** (ნავთობგადასამუშავებლის⌜ა⌝)

**ნავთობპროდუქტი**

**ნავთობსადენი**

**ნავსადგური**

**ნავსაშენი**

**ნაზამთრები** (// **ნაზამთრი, ნაზამთრალი**): ვინც ან რამაც ზამთარი გამოიარა, ზამთარგამოვლილი

**ნაზამთრევს** (= ზამთრის შემდეგ)

**ნაზვავარი** (ნაზვავრის⌜ა⌝)

**ნაზიარები**

**ნათავაზები**

**ნათათბირები:** ის, რაც მოითათბირეს, ნაბჭობი, მოთათბირებული

**ნათათბირევს** (= თათბირის შემდეგ)

**ნათაკილები**

**ნათარგმნი**

**ნათელ-მირონი,** მ ა გ რ ა მ: **ნათელმირონობა**

**ნათელმოსილი**

**ნათელს (მო)ჰფენს**

**ნათელყოფა; ნათელსაყოფად**

**ნათელყოფს; ნათელყო; ნათელუყვია; ნათელეყო**

**ნათესავ-მეგობარი** (ნათესავ-მეგობრის⌜ა⌝)

**ნათესაობა**

**ნათესაური**

**ნათვალთვალები**

**ნათლიამისი; ნათლიაშენი; ნათლიაჩემი...**

**ნათურა** (ნათურას⌜ი⌝)

**ნათხოვი – ნათხოვნი – ნათხოვარი; ნათხოვი**: ვინც ცოლად ითხოვეს; **ნათხოვნი**: რაც მოითხოვეს (**ნათხოვნი** პენსია...); **ნათხოვარი**: რაც სხვას გამოართვეს დროებით გამოსაყენებლად (**ნათხოვარი** მანქანა / წიგნი)

**ნაიარევი**

**ნაირგვაროვანი // ნაირგვარი**

**ნაირ-ნაირი** (ნაირ-ნაირად)

**ნაირსახეობა**

**ნაირფერი // ნაირფეროვანი**

**ნაირფეროვნება**

**ნაკარნახები (// ნაკარნახევი)**

**ნაკეც-ნაკეცი** (ნაკეც-ნაკეცად)

**ნაკვერცხალი** (ნაკვერცხლის⌜ა⌝) [// ნაკვერჩხალი]



**ნაკისრი** (// ნაკისრები)

**ნაკლებავტორიტეტიანი // ნაკლებავტორიტეტული**

**ნაკლებგავრცელებული**, მ ა გ რ ა მ: **ნაკლებად გავრცელებული**

**ნაკლებგანვითარებული**, მ ა გ რ ა მ: **ნაკლებად განვითარებული**

**ნაკლებკვალიფიციური**, მ ა გ რ ა მ: **ნაკლებად კვალიფიციური**

**ნაკლებმნიშვნელოვანი**, მ ა გ რ ა მ: **ნაკლებად მნიშვნელოვანი**

**ნაკლებმომზადებული**, მ ა გ რ ა მ: **ნაკლებად მომზადებული**

**ნაკლებმოსავლიანი**

**ნაკლოვანება // ნაკლი**

**ნაკლულოვანი; ნაკლულოვანება**

**ნაკუწ-ნაკუწ**

**ნალოლიავები**

**ნამარხულები // ნამარხულევი (ნამარხულევს, ნამარხულევზე)**

**ნამეცადინები** [დ ა  ა რ ა  ნამეცადინევი]

**ნამეწყრალი**

**ნამკურნალები (// ნამკურნალევი)**

**ნამოსახლარი – ნასახლარი; ნამოსახლარი**: ადგილი, სადაც ადრე ვინმე ესახლა (არქეოლო-

გებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოსა და შუა საუკუნეების ეპოქის ძველი **ნამოსახლარი**); **ნასახლარი**: სადაც წინათ სახლი იყო, სახლის ნანგრევები (**ნასახლარზე** ბალახი ამოსულიყო)

**ნამოქმედარი** [და არა ნამოქმედი]

**ნამსახური** // **ნამსახურები** [და არა ნამსახურევი]

**ნამტირალევი**

**ნამუსახდილი**

**ნამუსგარეცხილი**; **ნამუსგატეხილი**

**ნამუსრევი** // **ნამუსრი**

**ნამუშევარი** (ნამუშევრის⸢ა⸣)

**ნამძინარევი** [და არა ნამძინარები]

**ნანადირები** // **ნანადირევი**

**ნაპირ-ნაპირ**

**ნარგავ-ნათესი**

**ნარკობიზნესი** (ნარკობიზნესს)

**ნარკომოვაჭრე** (ნარკომოვაჭრის⸢ა⸣)

**ნასამართლები** (// ნასამართლევი)

**ნასვამ-ნაჭამი**

**ნასიარულები** // **ნასიარულევი** (ნასიარულევზე)

**ნასმენ-ნანახი**

**ნასწავლი** – **ნასწავლები**; **ნასწავლი** (ვინც ისწავლა; რაც ისწავლეს), მაგრამ **ნასწავლები**: რაც ასწავლეს, რაც ვინმესგან შეისწავლეს (დედის **ნასწავლები**)



**ნატეხ-ნატეხ**; **ნატეხ-ნატეხად**

**ნატვრისთვალი** (ნატვრისთვლის⸢ა⸣)

**ნატვრის ხე**

**ნატიურმორტი** [// ნატურმორტი]

**ნაფლეთ-ნაფლეთ**

**ნაქებ-ნადიდები**

**ნაღალატები** (// ნაღალატევი): ვისაც უღალატეს

**ნაღვაწ-ნაშრომი**

**ნაყანევი** (// **ნაყანები**)

**ნაყარნუყარი**

**ნაშენები** // **ნაშენი**

**ნაშენ-ნაგები**

**ნაშიმშილარი** // **ნაშიმშილები** (// **ნაშიმშილევი**)

**ნაშრომ-ნადაგი**; **ნაშრომ-ნაღვაწი**; **ნაშრომ-ნაჯაფი**

**ნაჩუქურთმები** – **ნაჩუქურთმევი**; **ნაჩუქურთმები**: ჩუქურთმით შემკული; **ნაჩუქურთმევი**: ადგილი, სადაც ჩუქურთმა იყო

**ნაჩქარები** (ანაჩქარები)

**ნაჩქარევი** (ნაჩქარევად); **ნაჩქარეობა**

**ნაციონალური** – **ნაციონალისტური**; **ნაციონალური**: ეროვნული (ნაციონალური ტანსაცმელი / დროშა / უმცირესობა...); **ნაციონა-**

**ლისტური**: პ ო ლ ი ტ. ნაციონალიზმთან დაკავშირებული; ნაციონალისტისათვის დამახასიათებელი (**ნაციონალისტური** ქმედება / ხედვა)

**ნაწვავ-ნადაგი**

**ნაწვალ-ნატანჯი**

**ნაწილ-ნაწილ**

**ნაწინასწარმეტყველები** (// **ნაწინასწარმეტყველევი**)

**ნაწყალობები** (// **ნაწყალობევი**)

**ნაწყვეტ-ნაწყვეტ** (ნაწყვეტ-ნაწყვეტად)

**ნაჭერ-ნაჭერ**

**ნაჭირნახულევი** (// **ნაჭირნახულები**)

**ნაჭრილობევი**

**ნახევარდამცველი**; **ნახევარმცველი**; **ნახევარდაცვა** (ს პ ო რ ტ.)

**ნახევარი** (ნახევრის⌈ა⌉)

**ნახევარკუნძული**

**ნახევარმეტრიანი**

**ნახევარმთვარე** (ნახევარმთვარის⌈ა⌉)

**ნახევარ-ნახევარი**

**ნახევარსაათიანი**

**ნახევარსაუკუნე** (ნახევარსაუკუნის⌈ა⌉); **ნახევარსაუკუნოვანი**

**ნახევარსფერო**



**ნახევარფაბრიკატი**

**ნახევარფინალი**: **ნახევარფინალური** (ს პ ო რ ტ.)

**ნახევარწრე** (ნახევარწრის⌈ა⌉)

**ნახნავ-ნათესი**

**ნახულ-გაგონილი**; **ნახულ-ნასმენი**

**ნება** – **ნებართვა**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ვინმესგან მოპოვებულ უფლებას, თანხმობას (**ნება** / **ნებართვა** მისცეს), მ ა გ რ ა მ **ნება**: უფლება ან შესაძლებლობა თავისი შეხედულების, სურვილის მიხედვით მოქმედებისა (გიორგი თავისი **ნებით** დაბრუნდა სოფელში); **ნებართვა** (< ნების დართვა): ოფიციალური თანხმობა (სახლის მშენებლობის **ნებართვა** მოიტანა)

**ნება-ნება**

**ნება-სურვილი**

**ნევრალგია** – **ნევრასთენია**; **ნევრალგია**: მ ე დ ი ც. ნერვული ტკივილი; დაავადება სხეულის რომელიმე ადგილისა, ჩვეულებრივ, ხანმოკლე; **ნევრასთენია**: მ ე დ ი ც. ნერვული სისტემის მოშლილობა

**ნეიტრალური** – **ნეიტრალიზებული**; **ნეიტრალური**: 1. პ ო ლ ი ტ. ნეიტრალიტეტის დამცავი (**ნეიტრალიტეტი** – ნეიტრალური მდგომარეობა; ჩაურევლობა ომში, რომელიც სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებს): **ნეიტრალური** ქვეყანა; შ დ რ.: **ნეიტრალურად** განწყობილი ადამიანი; 2. ქ ი მ. ისეთი რამ, რაც არ იძ-

ლევა არც ტუტის, არც მჟავას დამახასიათებელ რეაქციას (**ნეიტრალური** ხსნარი); **ნეიტრალიზებული**: რამაც ნეიტრალიზაცია განიცადა; განეიტრალებული

**ნელა-ნელა // ნელ-ნელა**

**ნელთბილი** (ნელთბილად)

**ნეფე-დედოფალი** (ნეფე-დედოფლის⌜ა⌝); **ნეფე-პატარძალი** (ნეფე-პატარძლის⌜ა⌝)

**ნიადაგგამოცლილი**

**ნიავქარი**

**ნირი**: **ნირს არ გაიტეხს**

**ნირუცვლელი // ნირშეუცვლელი**

**ნირშეცვლილი**

**ნისლიან-ბურუსიანი**

**ნისლოვანი; ნისლოვანება**

**ნიღაბაფარებული**

**ნიშანდობლივ**

**ნიშანდობლივი; ნიშანდობლიობა**

**ნიშან-თვისება**

**ნიშანსვეტი**

**ნიშანწყალი**

**ნიშნის მოგება** (ნიშნის მოგებით)

**ნიჰილისტი**: **ნიჰილისტური; ნიჰილიზმი**



**ნოემბერ-დეკემბერი** (ნოემბერ-დეკემბრის⌜ა⌝)

**ნოკაუტი – ნოკდაუნი; ნოკაუტი**: კრივში – მდგომარეობა, როცა მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დაცემული, ათი წამის განმავლობაში ვერ დგება ბრძოლის გასაგრძელებლად და დამარცხებულად ითვლება; შ დ რ.: **ნოკდაუნი**: მდგომარეობა, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დაცემული, მაგრამ ათი წამის განმავლობაში შეუძლია ადგეს ბრძოლის გასაგრძელებლად

**ნომენკლატურა**: **ნომენკლატურული; სანომენკლატურო**

**ნორმირებული – ნორმალიზებული; ნორმირებული**: ნორმით განსაზღვრული (**ნორმირებული** სამუშაო დღე); **ნორმალიზებული**: ნორმებს დაქვემდებარებული (**ნორმალიზებული** ენა)

**ნოტარიატი – ნოტარიუსი; ნოტარიატი**: ორგანო, რომლის დანიშნულებაა იურიდიული აქტების დამოწმება; **ნოტარიუსი**: პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული იურიდიული აქტების დამოწმებისა და გაფორმების უფლება

**ნოტაცია**: 1. პირობითი ნიშნების სისტემა (წერილობითი), რომელიც მიღებულია ამა თუ იმ დარგში (საჭადრაკო / მუსიკალური... **ნოტაცია**); 2. გ ა დ ა ტ. დარიგება, ჭკუის სწავლება, შ დ რ.: **ნოტიფიკაცია**: 1. საერთაშორისო სამართალში: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორი-

სათვის რაიმეს შეტყობინება ნოტის საშუალებით; 2. ფ ი ნ ა ნ ს. შეტყობინება ხელწერილის გაპროტესტების შესახებ

**ნოუტბუკი** [დ ა ა რ ა ნოუთბუკი] // **ლეპტოპი** // **ლაპტოპი**

**ნუგეშისმცემელი** (ნუგეშისმცემლის⌜ა⌝)

**ნუგეშისცემა; ნუგეშსაცემი**

**ნურც ერთი; ნურც ერთხელ**

# ო

-ო სხვათა სიტყვის ნაწილაკია და ერთვის სიტყვას დეფისის გარეშე (მითხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო)

**ოაზისი** (ოაზისს)

**ობიექტივისტი**: ობიექტივიზმის მომხრე

**ობიექტივიზმი** (ობიექტივიზმმა): ფ ი ლ ო ს. კვლევის მეთოდი, რომელიც ემყარება ობიექტური სინამდვილის, ობიექტის შესწავლას

**ობიექტური – ობიექტივისტური; ობიექტური**: 1. ობიექტისთვის დამახასიათებელი; ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული (**ობიექტური** სინამდვილე); 2. მიუკერძოებელი (**ობიექტური** კრიტიკა); 3. გ რ ა მატ. ობიექტის გამომხატველი (**ობიექტური** პირი); **ობიექტივისტური**: ობიექტივისტისათვის დამახასიათებელი

**ობსტრუქციონიზმი** (ობსტრუქციონიზმმა)

**ობსტრუქციული – ობსტრუქციონისტული; ობსტრუქციული**: ობსტრუქციის ხასიათისა (**ობსტრუქცია** – პროტესტის ნიშნად კრების, სხდომის განზრახ ჩაშლა ხმაურით, კამათის გაჭიანურებითა და სხვა საშუალებებით); **ობსტრუქციონისტული**: ობსტრუქციონისტისთვის დამახასიათებელი (**ობსტრუქციონისტი** – ობსტრუქციის მომწყობი, ობსტრუქციის გამოყენების მომხრე)

**ოვალი**: **ოვალური** (ოვალურად)

**ოთხი ათასი** (ოთხი ათასს)

**ოთხი-ხუთი**

**ოთხმოცდაათი; ოთხმოცდათერთმეტი...**

**ოთხ-ნახევარი** (ოთხ-ნახევრის⌜ა⌝)

**ოთხ-ოთხი**

**ოთხფეხა** (ოთხფეხას⌜ი⌝); **ოთხფეხი** (ოთხფეხის⌜ა⌝); **ოთხფეხიანი**

**ოთხშაბათი; ოთხშაბათობით**

**ოთხწელიწად-ნახევარი** (ოთხწელიწად-ნახევრის⌜ა⌝)

**ოთხჯერადი**

**ოკულანტი – ოკულარი – ოკულისტი; ოკულანტი**: კვირტით ნამყნობი მცენარე (ტრიფოლია-

ტის ოკულანტები); ოკულარი: სპეც. ოპტიკური ხელსაწყოს ის ნაწილი, რომელიც დამკვირვებლის თვალისკენაა მიმართული (მიკროსკოპის ოკულარი); ოკულისტი: თვალის დაავადებათა ექიმი

ომგადახდილი

(ონლაინდაჯავშნა //) ონლაინური დაჯავშნა

(ონლაინრეჟიმი //) ონლაინური რეჟიმი

ოპოზიცია: ოპოზიციური

ოპოზიციონერი: ოპოზიციონერული

ოპოზიციური – ოპოზიციონერული; ოპოზიციური (დაჯგუფება / მოძრაობა...); ოპოზიციონერული (ხედვა / აზროვნება...)

ოპტიკა: ოპტიკური

ოპტიმალიზაცია

ოპტიმალური

ოპტიმიზაცია

ოპტიმისტი: ოპტიმისტური (ოპტიმისტურად)

ორად ორი; სამად სამი

ორაზროვანი (ორაზროვნად); ორაზროვნება

ორგანიზატორული – ორგანიზაციული; ორგანიზატორული (ნიჭი / უნარი); ორგანიზაციული (მუშაობა / საკითხები)

ორგანული (ქიმია)

ორგზის; ორგზისი



ორენოვანი; ორენოვნება

ორთაბრძოლა (ორთაბრძოლის⌈ა⌉)

ორთვე-ნახევარი (ორთვე-ნახევრის⌈ა⌉)

ორთოგრაფია: ორთოგრაფიული (ორთოგრაფიულად)

ორთოპედია; ორთოპედისტი

ორი ათასი (სტუდენტი...)

ორიგინალი; ორიგინალობა

ორიგინალური; ორიგინალურობა

ორიენტალური – ორიენტალისტური – ორიენტალისტიკური; ორიენტალური: აღმოსავლური (ორიენტალური სტილი); ორიენტალისტური: ორიენტალისტისთვის დამახასიათებელი (ორიენტალისტური მიდგომა); ორიენტალისტიკური: აღმოსავლეთმცოდნეობითი (ორიენტალისტიკური დარგები)

ორიენტაცია // ორიენტირება

ორიენტირი

ორიოდ-სამიოდე

ორი-სამი

ორკესტრანტი

ორკესტრირება: ორკესტრირებული

ორკვირეული – ორკვირიანი; ორკვირეული: რაც ყოველ ორ კვირაში იმართება, გამოდის (ორკვირეული გაზეთი / ჟურნალი); ორკვირიანი: ორი კვირის ხანგრძლივობისა; რაც ორი

კვირის განმავლობაში ხდება (**ორკვირიანი** სემინარები / დასვენება...)

**ორმოცდაათი; ორმოცდათერთმეტი...**

**ორმოცდამეათე, ორმოცდამეთხუთმეტე...**

**ორმოცი; ორმოცდაერთი...**

**ორმოცი-ორმოცდაათი**

**ორმხრივ; ორმხრივი**

**ორნამენტული – ორნამენტირებული; ორნამენტული** (ხელოვნება); **ორნამენტირებული** (ჭაღი...)

**ორნაწილიანი**

**ორ-ნახევარი** (ორ-ნახევრის⌜ა⌝)

**ორ-ორი; ორ-ორჯერ**

**ორრიგა**, მ ა გ რ ა მ: **ორ რიგად**

**ორსაათიანი**, მ ა გ რ ა მ: **2-საათიანი**

**ორსაათ-ნახევარი** (ორსაათ-ნახევრის⌜ა⌝)

**ორსართულიანი**, მ ა გ რ ა მ: **2-სართულიანი**

**ორსაფეხურიანი**, მ ა გ რ ა მ: **2-საფეხურიანი**

**ორსაწოლიანი**, მ ა გ რ ა მ: **2-საწოლიანი**

**ორსერიიანი** [დ ა ა რ ა ორსერიანი], მ ა გ რ ა მ: **2-სერიიანი**

**ორსიტყვიანი**, მ ა გ რ ა მ: **2-სიტყვიანი**

**ორშაბათი; ორშაბათობით**

**ორშაბათი დილა; ორშაბათ დღეს / დილას...**



**ორცხობილა** (ორცხობილას⌜ი⌝)

**ორწლიანი; ორწლოვანი**

**ორწყალშუა**

**ორჭოფი; ორჭოფობა** (**ორჭოფობს**)

**ორხმიანი**

**ოსტიტი – ოსტეოპათია – ოსტეოტომია; ოსტიტი:** მ ე დ ი ც. ძვლის ანთება; **ოსტეოპათია:** მ ე დ ი ც. ძვლის სხვადასხვა დაავადების საერთო სახელწოდება; **ოსტეოტომია:** მ ე დ ი ც. ძვლის გაკვეთა

**ოფთალმოლოგია: ოფთალმოლოგიური; ოფთალმოლოგი**

**ოფიციალობა; ოფიციალური**

**ოფიციალური – ოფიციოზური; ოფიციალური** (პირი / დოკუმენტი / ოპონენტი / ვიზიტი / ტონი...); **ოფიციოზური:** ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ სინამდვილეში მისი თვალსაზრისის გამომხატველი (**ოფიციოზური** გაზეთი...)

**ოფსეტური**

**ოქრო-ვერცხლი**

**ოქროსქოჩრიანი**

**ოღროჩოღრო**

**ოცდაათი ათასი**

**ოცდათერთმეტი, ოცდათორმეტი...**

**ოცდამეორე** (ოცდამეორის⌜ა⌝); **22-ე; XXII**

ოც-ოცი

ოხერ-ტიალი

ოხვრა-გმინვა; ოხვრა-კვნესა

# პ

პათოგენური – პათოლოგიური; პათოგენური: მედიც. ავადმყოფობის წარმომქმნელი (პათოგენური მიკრობები); პათოლოგიური: 1. მედიც. ავადმყოფური (პათოლოგიური ქსოვილები); შდრ.: პათოლოგიური ანატომია; 2. გადატ. ნორმისაგან გადახრილი, არანორმალური (პათოლოგიური ქცევა / მსჯელობა...)

პალიმფსესტი

პამპულა (პამპულას⌜ი⌝)

პანაშვიდი – პარაკლისი; პანაშვიდი: ლოცვა მიცვალებულთათვის; შდრ.: სამოქალაქო პანაშვიდი – ხალხის მისვლა და გამოთხოვება მიცვალებულთან; პარაკლისი: საეკლესიო მღვდელმსახურება: უფლისადმი თხოვნა, ვედრება (ცოცხალთათვის): ჯანმრთელობის პარაკლისი

პანეგირიკი – პანეგირისტი; პანეგირიკი: 1. ისტ. ბერძნებთან და რომაელებთან – ხოტბის შემსხმელი ორატორული სიტყვა; 2. წიგნ. ხოტბა; გადაჭარბებული ქება-დიდება; პანეგირისტი: 1. პანეგირიკის ავტორი; 2. გადაჭარბებით მაქებარი, მეხოტბე



პანკრეასი – პანკრეატინი – პანკრეატიტი; პანკრეასი: კუჭქვეშა ჯირკვალი; პანკრეატინი: ფარმაკ. ცხოველთა პანკრეასის ჯირკვლისაგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატი; პანკრეატიტი: პანკრეასის ანთება

პანორამა: პანორამული; საპანორამო

პანტაპუნტა (პანტაპუნტით)

პაპაჩემი; პაპაშენი

პარასკევ საღამოს

პარლამენტარული – პარლამენტური – საპარლამენტო; პარლამენტარული: პოლიტ. პარლამენტარიზმის ხასიათისა; პარლამენტარიზმის პრინციპებიდან გამომდინარე (პარლამენტარული პარტია); პარლამენტური: პოლიტ. პარლამენტის ხასიათისა (პარლამენტური რესპუბლიკა); საპარლამენტო: პარლამენტისთვის განკუთვნილი (საპარლამენტო არჩევნები)

პაროდირება; პაროდისტი

პაროდონტოზი (პაროდონტოზზე)

პარტიკულარიზმი (პარტიკულარიზმმა); პარტიკულარისტი; პარტიკულარული

პარტნიორი; პარტნიორობა

პარტყაპურტყი (პარტყაპურტყით)

პასივი: პასიური; პასიურობა

პასტერიზაცია – სტერილიზაცია; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს კვების პროდუქტების (სითხის: რძის, ლუდის, ღვინის...) გაცხელებას განსაზღვრულ ტემპერატურამდე მავნე მიკროორგანიზმების მოსპობის მიზნით, მ ა გ რ ა მ სტერილიზაციას განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ქიმიური ნივთიერებებითა თუ მაღალი ტემპერატურით მიკრობების მოსპობა ქირურგიულ იარაღებზე; 2. ცხოველისა თუ ადამიანისათვის განაყოფიერების უნარის ხელოვნურად მოსპობა

პასუხისგება: პასუხისმგებელი; პასუხისმგებლობა; პასუხსაგები

პატარ-პატარა

პატარძალი (პატარძლის⌈ა⌉)

პატივისცემა; პატივისცემით; პატივნაცემი

პატივს სცემს; პატივი სცა (უცია; ეცა)

პეიზაჟი: პეიზაჟური; პეიზაჟისტი

პელმენი

პერიფრაზი; პერიფრაზირება: პერიფრაზირებული

პერსპექტივა: პერსპექტიული; პერსპექტივიანი

პესიმისტი: პესიმისტური

(პიარმენეჯერი //) პიარის მენეჯერი



(პიარსააგენტო //) პიარის სააგენტო

პინგ-პონგი

პირაკრული

პირაღმა

პირახვეული

პირგამშრალი

პირგაპარსული

პირგატეხილი

პირგაუპარსავი

პირგაღებული

პირდაბანილი

პირდაპირ

პირდასაბანი

პირდაუბანელი

პირდაღებული

პირველკლასელი

პირველკურსელი

პირველსაცხოვრისი (პირველსაცხოვრისს)

პირველსაწყისი (პირველსაწყისს)

პირველ ყოვლისა

პირველხარისხოვანი (პირველხარისხოვნის⌈ა⌉)

პირისახე (პირისახის⌈ა⌉)

**პირის გასველება**

**პირისპირ**

**პირისფერი** (პირისფრად)

**პირის ღრუ**

**პირმოტეხილი**

**პირმოღიმარი; პირმოღიმარე** (პირმოღიმარის⌈ა⌉)

**პირმოცინარი; პირმოცინარე** (პირმოცინარის⌈ა⌉)

**პირმოხსნილი**

**პირმრგვალი**

**პირმშვენიერი**

**პირმშრალი**

**პირ-პირ**

**პირსაბანი**

**პირუთვნელი** (პირუთვნელად)

**პირუკუ**

**პირქვე**

**პირქვედამხობილი**

**პირშავი; პირშაობა**

**პირშენახული**

**პირშერცხვენილი**

**პირშექცევით; პირშექცეული**

**პირში ჩალაგამოვლებული,** მაგრამ: **პირჩალაგამოვლებული**



**პირწავარდნილი**

**პირწმინდა** (პირწმინდად)

**პიცა** (პიცის⌈ა⌉)

**პლატფორმა**

**პლაშჩი** (ლაბადა)

**პლაცდარმი** (პლაცდარმმა)

**პლევრიტი – პნევმონია; პლევრიტი:** მედიც. პლევრის ანთება (**პლევრა** – ანატ. სეროზული გარსი, რომელიც ფარავს გულმკერდის ღრუს კედლებსა და ფილტვებს); **პნევმონია:** მედიც. ფილტვების ანთება

**პლენარული** (სხდომა)

**პლურალიზმი** (პლურალიზმმა): **პლურალური**

**პოდაგრა** [და არა პადაგრა]

**პოვა** [და არა ჰპოვა]

**პოზირება – პოზიორობა; პოზირება:** მხატვრის, მოქანდაკის, ფოტოგრაფის წინაშე გარკვეული პოზით დგომა; **პოზიორობა:** პოზიორის (გარეგნული ეფექტის მოყვარულის) საქციელი

**პოლარელი** (პოლუსზე მომუშავე), შდრ.: **პოლარული** (ღამე)

**პოლემიკა: პოლემიკური; საპოლემიკო**

**პოლემისტი**

**პოლივიტამინები** (მრ.)

**პოლიტიკოსი:** 1. პოლიტიკური მოღვაწე; 2. სა-

უზ. პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული ადამიანი, შდრ.: **პოლიტიკანი**: ვინც პოლიტიკას პირადი სარგებლობის თვალსაზრისით მისდევს; პოლიტიკაში ინტრიგანი

**პოლიტიკური – პოლიტიკანური; პოლიტიკური**: პოლიტიკასთან დაკავშირებული (**პოლიტიკური** შეხედულებები / ბრძოლა...); **პოლიტიკანური**: პოლიტიკანისათვის დამახასიათებელი

**პოლიტიკურ-მასობრივი**, *მაგრამ*: **პოლიტმასობრივი**

**პოლიტიკურ-საგანმანათლებლო**, *მაგრამ*: **პოლიტსაგანმანათლებლო**

**პოლიტინფორმატორი**

**პოლიტოლოგი; პოლიტოლოგია**

**პოლიტპატიმარი** (პოლიტპატიმრის⌜ა⌝)

**პოლიფონია: პოლიფონიური**

**პოპვარსკვლავი**

**პოპულარობა**: საყოველთაო გავრცელება; მოწონება; აღიარება, *შდრ.*: **პოპულარიზაცია**: 1. რაიმე რთული საკითხის გასაგებად გადმოცემა; 2. რაიმეს ქება და მისაბაძად ქცევა; ფართო მასებში გავრცელება და დანერგვა

**პოტენცია – პოტენციალი; პოტენცია**: შესაძლებლობა, ძალა, უნარი რაიმეს შესასრულებლად, მისაღწევად; **პოტენციალი**: 1. *ფიზ.* სკალარული და ვექტორული სიდიდე, რომლის დახმარებითაც შეიძლება ვიპოვოთ სხვა სიდიდეები; 2. *გადატ.* რაიმეს განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა (სამხედრო **პოტენციალი**)



**პოულობს; იპოვა; უპოვია; ეპოვა**

**პრანჭვა-გრეხა** [*და არა* პრანჭვა-გრეხვა]

**პრანჭია** (პრანჭიას⌜ი⌝)

**პრეისკურანტი**

**პრეისტორია: პრეისტორიული**

**პრემიული**: პრემიის ხასიათისა (ხელფასის **პრემიული** დანამატი), *შდრ.*: **პრემირებული**: პრემიით დაჯილდოებული

**პრეპარატორი**

**პრესმდივანი** (პრესმდივნის⌜ა⌝)

**პრესრელიზი** (პრესრელიზზე)

**პრესსამსახური**

**პრესსპიკერი**

**პრესცენტრი**

**პრეტენდენტი**

**პრეტენზია: პრეტენზიული; საპრეტენზიო; პრეტენზიიანი**

**პრეტენზიული**: პრეტენზიის ხასიათისა; უკმაყოფილო (**პრეტენზიული** ადამიანი / ტონი), *შდრ.*: **პრეტენციოზული**: თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენასთან დაკავშირებული; გაზვიადებულ მოთხოვნათა მქონე

**პრეფექტი; პრეფექტურა**

**პრეცედენტი** [დ ა ა რ ა პრეცენდენტი]

**პრიმიტივი: პრიმიტიული**

**პრინტერი**

**პრობლემა – პრობლემატიკა; პრობლემა:** რთული საკითხი; **პრობლემატიკა:** პრობლემათა ერთობლიობა

**პრობლემური, პრობლემატური – პრობლემატიკური; პრობლემური, პრობლემატური:** საჭოჭმანო, გადასაწყვეტი, პრობლემის შემცველი (**პრობლემური** / **პრობლემატური** საკითხები); **პრობლემატიკური:** პრობლემათა ერთობლიობისათვის დამახასიათებელი (**პრობლემატიკური** მრავალფეროვნება)

**პროგრამული – პროგრამირებული; პროგრამული:** პროგრამის შესაფერი, პროგრამის ხასიათისა (მონაცემთა **პროგრამული** ანალიზი); **პროგრამირებული:** დაპროგრამებული, პროგრამად ქცეული (**პროგრამირებული** მონაცემთა ბაზა)

**პროდასავლური:** დასავლური ორიენტაციისა

**პროდუქტი – პროდუქცია; პროდუქტი:** 1. საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია რაიმე პროცესის შედეგად (რძის **პროდუქტები**); 2. გ ა დ ა ტ. რაიმეს შედეგი, ნაყოფი; **პროდუქცია:** წარმოების ან სხვა სახის პროდუქტების ერთობლიობა (კარგი / ახალი / სამეცნიერო **პროდუქცია**)

**პროზაიკოსი** (პროზაიკოსს)

**პროპოლისი** (პროპოლისს)

**პროსტატა – პროსტატიტი; პროსტატა:** ა ნ ა ტ. წინამდებარე ჯირკვალი, **პროსტატიტი:** მ ე დ ი ც. პროსტატის ანთება

**პროსტრაცია: პროსტრაციული**

**პროტექცია – პროტექციონიზმი; პროტექცია:** გავლენიან პირთა მფარველობა ვინმეს საქმეების მოგვარებისას (**პროტექცია** გაუწია); **პროტექციონიზმი:** პროტექციული საქმიანობა (**პროტექციონიზმთან** ბრძოლა)

**პროფესორ-მასწავლებლები** (მ რ.)

**პურიზმი – პურიტანიზმი; პურიზმი:** ლ ი ნ გ ვ. ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა; **პურიტანიზმი:** 1. ი ს ტ. XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტული მიმდინარეობა (ინგლისსა და შოტლანდიაში); 2. გ ა დ ა ტ. ზნეობრივი წესების სასტიკი (ხშირად მოჩვენებითი) დაცვა

**პურის მცხობელი** (პურის მცხობლის[ა])

**პურისტი – პურიტანი; პურისტი:** პურიზმის მიმდევარი, პურიზმის მომხრე; **პურიტანი:** პურიტანიზმის მიმდევარი, პურიტანიზმის მომხრე

**პურისტული – პურიტანული; პურისტული:** პურისტისათვის (პურიზმისათვის) დამახასიათებელი; **პურიტანული:** პურიტანისათვის (პურიტანიზმისთვის) დამახასიათებელი

**პურმარილი; პურმარილიანი**

# ჟ

**ჟალუზი** (მოთხრ. ჟალუზიმ, მიც. ჟალუზის)

**ჟამთააღმწერელი** (ჟამთააღმწერლის⌈ა⌉)

**ჟანგვადი – ჟანგვითი; ჟანგვადი** (ნივთიერება / ლითონი); **ჟანგვითი** (პროცესი)

**ჟანრული – ჟანრობრივი; ჟანრული:** ამა თუ იმ ჟანრისა; საყოფაცხოვრებო თემების ამსახველი (**ჟანრული** ფერწერა / ტილოები ); **ჟანრობრივი:** ზოგადად ჟანრისთვის დამახასიათებელი (**ჟანრობრივი** მრავალფეროვნება)

**ჟესტ-მიმიკა**, მაგრამ: **ჟესტმიმიკური**

**ჟივილ-ხივილი; ჟივილ-წივილი**

**ჟლეტა** [და არა ჟლეტვა]

**ჟლეტა-მუსვრა**

**ჟლეტს; ჟლიტა; უჟლეტია; ეჟლიტა**

**ჟრიამულობს; ჟრიამულობდა; ჟრიამულობდეს**

**ჟრჟოლა** [და არა ჟრჟოლვა]

**ჟრუანტელმომგვრელი**, მაგრამ: **ჟრუანტელის მომგვრელი**

**ჟურნალ-გაზეთები** (მრ.)

**ჟურნალისტური – ჟურნალისტიკური; ჟურნალისტური:** ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი (**ჟურნალისტური** გამოცდილება); **ჟურნალისტიკური:** ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი (**ჟურნალისტიკური** კვლევა)

**ჟღალთმიანი; ჟღალწვერა** (ჟღალწვერას⌈ი⌉)

**ჟღალი**

**ჟღერა** (ჟღერს)

**ჟღერადი; ჟღერადობა**

**ჟღივ-ჟღივი; ჟღივილ-ჭყივილი**

**ჟღურტულებს; ჟღურტულებდა; ჟღურტულებდეს**

# რ

**რადიკალი: რადიკალური; რადიკალიზმი** (რადიკალიზმმა)

**რადიოაპარატურა**

**რადიო- და ტელეგადაცემები**

**რადიოკავშირი**

**რადიოკომენტატორი // რადიომიმომხილველი**

**რადიოკომპანია**

**რადიოლოგია: რადიოლოგი**

**რადიომაუწყებლობა**

**რა თქმა უნდა**

**რაკარუკი**

**რამდენად; რამდენადაც**

**რამდენადმე**

**რამდენიმე** [დ ა ა რ ა რამოდენიმე]

**რამდენ ხანს**

**რამით // რამეთი** (მ ო ქ მ.)

**რამისა // რამესი** (ნ ა თ.)

**რამსიგანე**

**რამსიგრძე**

**რამსიდიდე**

**რამსისხო**

**რამსიშორით**

**რამხელა** (რამხელას⌜ი⌝)

**რაოდენობითი – რაოდენობრივი; რაოდენობითი** (გ რ ა მ ა ტ. რიცხვითი სახელები); **რაოდენობრივი** (მაჩვენებლები / ზრდა)

**რაჟამს**

**რარიგ** (რარიგად)

**რასაკვირველია**

**რასიზმი** (რასიზმმა); **რასისტი: რასისტული**

**რაუნდი**

**რაღაცნაირი**

**რაღაც-რაღაცები** [დ ა ა რ ა რაღაც-რაღაცეები]

**რაციონალური – რაციონალისტური; რაციონალური** (სამუშაო დროის **რაციონალური** გამოყენება); **რაციონალისტური** (ხედვა)

**რაციონი**

**რაჭული** (კილო)

**რახან**

**რა ხანია**

**რახარუხი**

**რაჰათლუკუმი** (რაჰათლუკუმმა) [დ ა ა რ ა რახათლუხუმი]

**რბევა-აკლება; რბევა-აწიოკება**

**რბილკანიანი**

**რეაგირება: რეაგირებული**

**რეაქტიული – რეაქციული; რეაქტიული** (ნივთიერება / ენერგია / იარაღი); **რეაქციული** (პოლიტიკა / რეჟიმი...)

**რეგისტრატორი**

**რეგულარული – რეგულირებული; რეგულარული:** 1. სისტემატური (**რეგულარული** კავშირი / ვარჯიში / მომსახურება...); 2. მტკიცედ დადგენილი ორგანიზაციის მქონე არმია, რომელშიც სამხედრო სწავლება სისტემატურად წარმოებს (**რეგულარული** ჯარი); **რეგულირებული:** მოწესრიგებული; დარეგული-

რებული; რისი რეგულირებაც მოხდა (**რეგულირებული** მოძრაობა / წნევა...)

**რედაქტორ-სტილისტი**

**რედაქცია – რედაქტირება**; ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს რედაქციის გაკეთებას, ხელნაწერის გასწორებას, ლიტერატურულ დამუშავებასა და მომზადებას დასაბეჭდად, მ ა გ რ ა მ **რედაქციას** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. დამუშავებული ტექსტი (ძველი **რედაქცია**; ახალი **რედაქციით** გამოცემული); 2. აზრის ჩამოყალიბება, ფორმულირება; 3. თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე გამოცემას (ჟურნალს, გაზეთს, წიგნს) ან ადგილი, სადაც ეს თანამშრომლები მუშაობენ (გაზეთის **რედაქცია** სხვა ქუჩაზე გადავიდა)

**რედაქციული – სარედაქციო**; **რედაქციული** (ტექსტში **რედაქციული** ცვლილებების შეტანა); **სარედაქციო** (კოლეგია / სტატია...)

**რედემარკაცია**

**რედკოლეგია** (= სარედაქციო კოლეგია)

**რევანში**; **რევანშისტი**: **რევანშისტული**

**რევაქცინაცია**

**რეზერვუარი**

**რეზიდენტი**

**რეზონანსი** (რეზონანსს)

(**რეზულტატი** //) **შედეგი**



**რეზუსი** (რეზუსს); **რეზუსფაქტორი**

**რეიტინგი**; **რეიტინგული**; **სარეიტინგო**

**რეკვა** [დ ა  ა რ ა  რეკვები]

**რეკვიზირება**: **რეკვიზირებული**

**რეკლამაცია – რეკლამირება**; **რეკლამაცია**: 1. საჩივარი, პროტესტი; 2. სამართ. კრედიტორის (მყიდველის, დამკვეთის) მოთხოვნა ნაყიდი საქონლის, დაკვეთილი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებათა გამოსწორების... შესახებ; **რეკლამირება**: 1. რეკლამის გაკეთება, მოწყობა; 2. ზედმეტად შექება

**რეკომენდატორი**

**რეკომენდაცია**; **რეკომენდება**: **რეკომენდებული**

**რეკონსტრუირებული – რეკონსტრუქციული**; **რეკონსტრუირებული** (შენობა / სკოლა / საცხოვრებელი სახლი...); **რეკონსტრუქციული** (სამუშაოები / გეგმა)

**რეკორდი**: **რეკორდული**; **სარეკორდო**

**რეკორდსმენი**

**რე-მაჟორი**; **რე-მინორი**...

**რენტაბელური**; **რენტაბელურობა**

**რენტგენოგრამა**

**რენტგენოგრაფია**: **რენტგენოგრაფიული**

**რენტგენოთერაპია**

**რენტგენოლოგი**; **რენტგენოლოგია**: **რენტგენოლოგიური**

რენტგენოსკოპია

რეორგანიზაცია // რეორგანიზება: რეორგანიზებული

რეპორტაჟი

რეპორტი

რეპორტიორი

რესტავრაციული – რესტავრირებული; რესტავრაციული (სამუშაოები); რესტავრირებული (ნაგებობა)

(რესურსცენტრი //) სარესურსო ცენტრი

რეფერირება: რეფერირებული

რეფლექსი – რეფლექსია; რეფლექსი: ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე (უპირობო / პირობითი რეფლექსები); რეფლექსია: ფილოს. ცნობიერების მიერ თავისი თავის შემეცნება (საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი)

რეფორმამდელი

რეფორმის შემდგომი

რეციდივი

რვა-რვა

რვასაათიანი, მაგრამ: 8-საათიანი

რვასართულიანი, მაგრამ: 8-სართულიანი

რვა-ცხრა

რია-რია



რიგებშუა

რიგ-რიგად; რიგ-რიგით

რითმული – რიტმული; რითმული (ლექსის რითმული სტრუქტურა); რიტმული (ცეკვა „მთიულურის“ რიტმული თავისებურება)

რიჟრაჟი

რისკი [და არა რისკები]

რიტორული – რიტორიკული; რიტორული: მჭევრმეტყველისათვის დამახასიათებელი (რიტორული ნიჭი); რიტორიკული: მჭევრმეტყველების თეორიისთვის დამახასიათებელი (რიტორიკული კითხვა)

რიცხვი: რიცხობრივი

რკინაბეტონი

რკინანარევი

რკინაქვა

როგორღა; როგორღაც

როგორც იქნა

როგორც კი

როდემდე // როდემდის

როდის-როდის

როდის; როდისმე

როკვარსკვლავი

როკკონცერტი

როკმენი

როკჯგუფი

რომანტიკული [და არა რომანტიული] (მოგზაურობა...)

რომელი (რომლის⌈ა⌉)

როხროხი

რტოებგაშლილი

რტოებქვეშ

რუბრიკა (რუბრიკის⌈ა⌉)

რუდიმენტი: რუდიმენტული

რუპორი

რუსულ-ქართული (ლექსიკონი)

რუტინა: რუტინული

რქამოტეხილი

რქაწითელი (რქაწითლის⌈ა⌉) (ვაზი)

რქებგადაგდებული (ირემი)

რჩევა-დარიგება

რძალ-მული; რძალ-მულ-დედამთილი

რძეგამშრალი

რძეშეუშრობელი (რძეშეუშრობლად)

რძისფერი (რძისფრად)

რწმენადაკარგული



რწმუნება – რწმუნებულება; რწმუნება (არწმუნებს; რწმუნდება): დაჯერება, დარწმუნება; რწმუნებულება: რწმუნებულის ოფიციალური უფლება, უფლებამოსილება

რჯულმდებელი (რჯულმდებლის⌈ა⌉) // რჯულისმდებელი (რჯულისმდებლის⌈ა⌉)

რჯულშეცვლილი

# ს

სააბონენტო

საადვოკატო

საათ-ნახევრი (საათ-ნახევრის⌈ა⌉)

საათობრივი

საკრედიტივო

საამქვეყნო

საანაბრო

საანბანო

საანკეტო

საარაკო

საარჩევნო

**საასპარეზო**

**სააფიშო**

**სააქციო**: აქციებისთვის განკუთვნილი, აქციებთან დაკავშირებული, აქციებზე დამყარებული (**სააქციო** საზოგადოება), შ დ რ.: **სააქციზო**: აქციზისათვის განკუთვნილი, აქციზით განსაზღვრული (**სააქციზო** პატენტი / უწყება...)

**საბრალდებო** (დასკვნა) – **საბრალდებულო** (საკანი)

**საბრძოლი** // **საბრძოლველი** (წინ კიდევ ბევრი იყო **საბრძოლი** / **საბრძოლველი**)

**საბრძოლო** (დავალება / მზადება / ოპერაცია / განწყობილება / ამოცანა / მდგომარეობა)

**საგადამხდელო** – **საგადასახადო**; **საგადამხდელო**: გადამხდელისთვის განკუთვნილი (**საგადამხდელო** ბალანსი); **საგადასახადო**: გადასახადთან დაკავშირებული (**საგადასახადო** სამსახური)

**საგაზეთო** (ჯიხური / სტატია)

**საგირაო** – **საგირავნო**; **საგირაო**: გირაოდ მისაცემი, დასაგირავებელი რამ; **საგირავნო**: ს პ ე ც. გირაოს მიცემის დამადასტურებელი ცნობა (**საგირავნო** ბარათი / ქვითარი)

**საგნობრივი**; **საგნობრიობა**

**საგულისხმო** – **საგულისხმებელი**; **საგულისხმო**: მნიშვნელოვანი, საყურადღებო: „ეს წერილი ეხება მრავალ **საგულისხმო** და თან სავალა-



ლო საგანს ჩვენი ცხოვრებისას“ (ილია); **საგულისხმებელი**: რასაც გულისხმობენ, მხედველობაში მისაღები, სავარაუდო (**საგულისხმებელი** დიაგნოზი)

**სადაც**; **სადაც კი** [დ ა  ა რ ა  საცა, საცა კი]

**სადემარკაციო**; **დემარკაციული**

**სადეპოზიტო**

**საზოგადო** – **საზოგადოებრივი**; **საზოგადო**: რაც ყველას ეკუთვნის ან ახასიათებს; საერთო, საყოველთაო (**საზოგადო** საკუთრება); **საზოგადოებრივი**: საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობასთან დაკავშირებული (**საზოგადოებრივი** ცხოვრება / აზრი / ინტერესები / მაუწყებლობა...)

**საზღვრისპირა** (საზღვრისპირას⌜ი⌝)

**სათავგადასავლო**

**სათუო** (სათუოდ)

**საინვენტარო** – **საინვენტარიზაციო**; **საინვენტარო**: ინვენტარისათვის განკუთვნილი (**საინვენტარო** დავთარი / ნომერი); **საინვენტარიზაციო**: ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული (**საინვენტარიზაციო** კომისია / აღწერილობა)

**საინსტრუქტაჟო**

**საინტერნეტო გაზეთი** (// **ინტერნეტგაზეთი**)

**საინტერნეტო კონკურსი** (// **ინტერნეტკონკურსი**)

**საინტერნეტო სივრცე** (// **ინტერნეტსივრცე**)

**საკვალიფიკაციო**

**საკვლევაძიებო**; **კვლევაძიებითი**, მ ა გ რ ა მ: **კვლევა-ძიება**

**საკლასიფიკაციო**

**საკომისიო** – **საკომისიონერო**; **საკომისიო** (მაღაზია); **საკომისიონერო** (საქმიანობა)

**საკონტინენტთაშორისო**

**საკოორდინაციო**

**საკორექტორო** – **საკორექტურო**; **საკორექტორო**: კორექტორებისათვის განკუთვნილი (**საკორექტორო** ოთახი); **საკორექტურო**: კორექტურისთვის განკუთვნილი; რაც კორექტურას საჭიროებს (**საკორექტურო** მასალა / სტატია)

**საკოსტიუმე**

**საკრედიტო** – **საკრედიტორო**; **საკრედიტო**: კრედიტთან დაკავშირებული (**კრედიტი** – სესხად მიცემული თანხა; სესხი): **საკრედიტო** ბარათი; **საკრედიტორო**: კრედიტორთან დაკავშირებული (**კრედიტორი** – სესხის მიმცემი): **საკრედიტორო** საქმიანობა

**საკურთხეველი**: კანკელით გამოყოფილი ნაწილი ეკლესიისა

**საკურთხი** // **საკურთხებელი** (პირები /ტაბლა...), მ ა გ რ ა მ **საკურთხი**: ჭირისუფლის მიერ ეკლესიაში მიტანილი საჭმელ-სასმელი (მიცვალებულის სახელზე), რომელსაც მღვდელი აკურთხებს



**სალექსიკონო** (სალექსიკონოდ)

**სამართალდარღვევა**

**სამართლისმცოდნეობა**

**სამარხვო** (სამარხვოდ)

**სამას ერთი / ორი / სამი...**

**სამასი ათასი**

**სამას ორმოცდაჩვიდმეტი**; **სამას სამოცდათვრამეტი...**

**სამატჩო**

**სამდღიანი**, მ ა გ რ ა მ: **3-დღიანი**

**სამეთვალყურეო** (სამეთვალყურეოდ)

**სამეურვეო**

**სამეცნიერო-კვლევითი**

**სამეცნიერო-პოპულარული**

**სამთავრობათაშორისო**

**სამთავრობო**

**სამთვე-ნახევარი** (სამთვე-ნახევრის⌜ა⌝)

**სამთვიანი**, მ ა გ რ ა მ: **3-თვიანი**

**სამთო-სათხილამურო**

**სამი ათასი**; **სამი ათას რვაას სამოცდაცხრამეტი...**

**სამიმოსვლო**

**სამი-ოთხი**

სამისამართო

სამკვდრო-სასიცოცხლო

სამლოცველო

სამმართველო

სამმხრივ; სამმხრივი

სამნაირი (სამნაირად)

სამ-ნახევარი (სამ-ნახევრის⌜ა⌝)

სამნიშნა (სამნიშნას⌜ი⌝)

სამობილიზაციო

სამოდელო

სამოკავშირეო

სამომხმარებლო

სამოცდათვრამეტი...

სამოცდამეერთე; სამოცდამეათე...

სამოცი ათასი

სამ-სამი

სამსჯავრო

სამტომიანი, მ ა გ რ ა მ: 3-ტომიანი

სამშაბათ დილას / საღამოს

სამწერლო – სამწერლობო; სამწერლო (ასპარეზი); სამწერლობო (ენა)

სამწერტილი



სამწლიანი, მ ა გ რ ა მ: 3-წლიანი

სამჭიდი

სამხარეო

სამხედრო-საზღვაო

სამხედრო-საჰაერო

სამხრეთ-აღმოსავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი

სამხრეთელი

სამხრეთული

სამჯერ-ოთხჯერ

სანამლეოს დადება

სანგვინი – სანგვინიკი; სანგვინი: მუქი წითელი რბილი ფანქარი (იყენებენ ფერწერაში); ასეთი ფანქრით ნახატი; სანგვინიკი: მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი (რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს)

სანდვიჩი

სანთელ-საკმეველი (სანთელ-საკმევლის⌜ა⌝)

სანიჩბოსნო

სანტა-კლაუსი (სანტა-კლაუსს)

სანტიმეტრ-ნახევარი (სანტიმეტრ-ნახევრის⌜ა⌝)

სანუგეშებელი (სანუგეშებლად)

სანუგეშო

საპარლამენტთაშორისო

საპატრონო (// საპატრონებელი)

საპილოტე – საპილოტო; საპილოტე: პილოტისთვის განკუთვნილი (საპილოტე ფორმა); საპილოტო: რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს; რაც უნდა გამოიცადოს, შემოწმდეს (სახელმძღვანელოს საპილოტო ვერსია; საპილოტო პროგრამა / პროექტი)

საპლანეტათაშორისო

საჟურნალგაზეთო, მ ა გ რ ა მ: ჟურნალ-გაზეთები

სარგებელი (სარგებლის⌜ა⌝)

სარესურსო ცენტრი (// რესურსცენტრი)

სართულ-ნახევარი (სართულ-ნახევრის⌜ა⌝)

სარჩო-საბადებელი (სარჩო-საბადებლის⌜ა⌝)

სარძევე – სარძეო; სარძევე (ჭურჭელი / ჯირკვლები / კბილები); სარძეო (მეურნეობა)

სასათაურო

სასაცილოობა

სასესხებელი (სასესხებლად)

სასირცხო (// სასირცხვილო)

სასოფლო-სამეურნეო

სასოწარკვეთილება

სასოწარკვეთილი

სასპორტო-ტურისტული



სასრბოლი, მ ა გ რ ა მ: სასრბოლოდ

სასროლი – სასროლო; სასროლი: 1. რაც უნდა ისროლონ (სასროლი ქვა / ჯოხი / ბადე...); 2. რასაც უნდა ესროლონ (სასროლი მიზანი / ნიშანი); 3. რითაც უნდა ისროლონ (სასროლი იარაღი); შ დ რ.: სასროლო (მოედანი / სპორტი...)

სასტამბო

სასტამბო-საგამომცემლო

სასტარტო

სასწავლი – სასწავლო – სასწავლებელი; სასწავლი (გაკვეთილი / ლექსი...); სასწავლო (ნივთები / პროგრამა / წელი; შ დ რ.: სასწავლო ნაწილის გამგე); სასწავლებელი: სასწავლო ტიპის დაწესებულება

სასწავლო-აღმზრდელობითი

სასწაულებრივი

სასწაულთმოქმედი (// სასწაულმოქმედი)

სასხვათაშორისო (სასხვათაშორისოდ)

სასჯელი

სატანვარჯიშო

სატირულ-იუმორისტული

სატიტულო

სატრანსლაციო

სატრენინგო კურსი (// ტრენინგკურსი)

**სატრენინგო პროგრამა** (// **ტრენინგპროგრამა**)

**სატრენინგო ცენტრი** (// **ტრენინგცენტრი**)

**სატურნირო**

**სატყუარა** (სატყუარას⌜ი⌝)

**საუკუნე-ნახევარი** (საუკუნე-ნახევრის⌜ა⌝)

**საუკუნე – საუკუნო; საუკუნე**: დროის მონაკვეთი (ასი წელი); **საუკუნო**: სამუდამო, სამარადისო, მუდმივი: „სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია, **საუკუნო** მეგობრობის მცველია" (აკაკი)

**საუკუნეობრივი** [დ ა ა რ ა საუკუნოებრივი]

**საუნივერსიტეტო**

**საურთიერთო**

**საუფლო**

**საუწყებათაშორისო**

**საუწყებო**: უწყებისთვის განკუთვნილი; უწყებაში შემავალი; **საუწყებო** ორგანიზაცია, შ დ რ.: **საუწყებელი**: რაც უნდა აუწყონ; საცნობებელი; შესატყობინებელი

**საფაკულტეტო**

**საფორტეპიანო**

**საფრთხე** (საფრთხის⌜ა⌝)

**საფრთხილო**

**საფუძველთა საფუძველი**

**საქმეგამოლეული**



**საქმეთა მმართველი**

**საქმისმწარმოებელი** (საქმისმწარმოებლის⌜ა⌝)

**საქმისწარმოება**

**საქონელბრუნვა**

**საქონელგაცვლა**

**საქონელი** (საქონლის⌜ა⌝)

**საქონელმიმოქცევა**

**საქონელმცოდნე** (საქონელმცოდნის⌜ა⌝); **საქონელმცოდნეობა**

**საქონელმწარმოებელი** (საქონელმწარმოებლის⌜ა⌝)

**საღამო მშვიდობისა!**

**საღამოობით**

**საღებავგადაცლილი**

**საღვთო** // **საღმრთო**

**საღიარებელი** (საღიარებლად)

**საყავე** (საყავის⌜ა⌝)

**საყოველდღეო**

**საშუადღეო**

**საშუალება**

**საშუალო**

**საშუაღამო**

**საჩაიე** (საჩაიის⌜ა⌝)

**საძებნი // საძებნელი**

**საწარმო – საწარმოო; საწარმო:** წარმოებითი ან სავაჭრო-სამეურნეო ერთეული (სახელმწიფო / სამრეწველო / დამხმარე **საწარმო**); **საწარმოო:** წარმოებისთვის განკუთვნილი (**საწარმოო** იარაღები / თათბირი / პრაქტიკა)

**საწარმო-დაწესებულება**

**საწვავ-სათბობი**

**საწვრთნელი**

**საწინდარი** (საწინდრის[ა])

**საჭიდაო** [დ ა  ა რ ა  საჭიდავო]

**საჭიროებისდა მიხედვით**, მ ა გ რ ა მ: **საჭიროებისდაგვარად; საჭიროებისამებრ**

**სახარჯავი // სახარჯი**

**სახარჯთაღრიცხვო**

**სახარჯო**

**სახასიათო**

**სახეალეწილი**

**სახეგაბრწყინებული**

**სახეგარუჯული**

**სახელგანთქმული**

**სახელგატეხილი**

**სახელგაუტეხელი**

**სახელდებული**



**სახელდობრ**

**სახელი – სახელწოდება; სახელი** (ადამიანისა / ცხოველისა / ფრინველისა / მცენარისა); **სახელწოდება** (ქვეყნისა / ქალაქისა / ქუჩისა / ჟურნალისა / ფილმისა / რომანისა)

**სახელმოხვეჭილი**

**სახელმწიფო** (ზედსართავის მნიშვნელობით) – **სახელმწიფოებრივი; სახელმწიფო:** ბიუჯეტიდან დაფინანსებული (**სახელმწიფო** თეატრი / უნივერსიტეტი...); **სახელმწიფოებრივი:** სახელმწიფოს კუთვნილი, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი, სახელმწიფოსთან დაკავშირებული (**სახელმწიფოებრივი** ინტერესები / საქმიანობა / მიდგომა...)

**სახელმწიფოებრივი**, მ ა გ რ ა მ: **სახელმწიფოებრიობა**

**სახელმწიფოს მეთაური**, მ ა გ რ ა მ: **სახელმწიფო მინისტრი**

**სახელს სდებს** (მას)

**სახლ-კარი**, მ ა გ რ ა მ: **სახლკარიანი; უსახლკარობა**

**სახლმმართველი; სახლმმართველობა**

**სახლ-მუზეუმი** (სახლ-მუზეუმმა)

**სახნავ-სათესი** (სახნავ-სათესს)

**სახურავქვეშ**

**საჯარო** (ბიბლიოთეკა / განხილვა / დაწესებულება / ვაჭრობა / ლექცია / სკოლა...), შ დ რ.: **საჯარი-**

**სო** (ნაწილები / შენაერთი / ფორმირება; წეს-დება...)

**სდებს** (მას ბრალს), მ ა გ რ ა მ: **დებს** (წიგნს)

**სდის** (მას ოფლი), მ ა გ რ ა მ: **დის** (წყალი)

**სევდა-ნაღველი**

**სეისმოგამძლე**

**სეისმოგრაფი – სეისმომეტრი; სეისმოგრაფი:** დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო; **სეისმომეტრი:** ხელსაწყო, რომლითაც აკვირდებიან დედამიწის ზედაპირის რყევას მიწისძვრის დროს

**სეისმოგრაფია – სეისმოლოგია; სეისმოგრაფია:** დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩაწერა; **სეისმოლოგია:** გეოფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს მიწისძვრებს (და ამის მიხედვით აკეთებს დასკვნებს)

**სეისმური**

**სეკვესტრი; სეკვესტრაცია; სეკვესტრირება: სეკვესტრირებული**

**სემესტრი: სემესტრული; სასემესტრო**

**სემინარიული – სემინარული; სემინარიული** (ცხოვრება / რეჟიმი); **სემინარული** (მეცადინეობა)

**სენიორი – სინიორი; სენიორი:** 1. ესპანეთში – ბატონი; 2. მსხვილი მემამულე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; **სინიორი:** იტალიაში – ბატონი

**სენიორიტა – სინიორინა – სინიორა; სენიორიტა:** ესპანეთში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი / ქალიშვილი; **სინიორინა:** იტალიაში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი / ქალიშვილი; **სინიორა:** იტალიაში – ქალბატონი

**სეპარატიზმი** (სეპარატიზმმა)

**სეპარატული** (ზავი) – **სეპარატისტული** (დამოკიდებულება / მთავრობა)

**სერვირება: სერვირებული**

**სერვისის ცენტრი** (// **სერვისცენტრი**)

**სერია: სერიული**

**სერისერ**, მ ა გ რ ა მ: **სერ-სერ**

**სეფსისი** (სეფსისს)

**სექტემბერ-ოქტომბერი** (სექტემბერ-ოქტომბრის⌈ა⌉)

**სვე-ბედი**, მ ა გ რ ა მ: **სვებედნიერი**

**სველ-სველი**

**სვენებ-სვენებით**

**სვეტ-სვეტად**

**სვიტერი // სვიტრი**

**სი-ბემოლი**

**სიგრძე-სიგანე** (სიგრძე-სიგანის⌈ა⌉)

**სივიწროვე** (სივიწროვის⌈ა⌉)

**სითბოგამტარი; სითბოგამტარობა**

**სითბო-სიცივე**

**სიკვდილ-სიცოცხლე** (სიკვდილ-სიცოცხლის⌜ა⌝)

**სიმართლისმოყვარე** (სიმართლისმოყვარის⌜ა⌝)

**სიმბოლური** – **სიმბოლისტური**; **სიმბოლური**: სიმბოლოს ხასიათისა, პირობითი (**სიმბოლური** ნიშანი / თანხა); **სიმბოლისტური**: სიმბოლიზმისთვის / სიმბოლისტისთვის დამახასიათებელი (**სიმბოლისტური** პოეზია / მხატვრობა / ხედვა)

**სიმპტომური** [// სიმპტომატური] – **სიმპტომატიკური**; **სიმპტომური** [// სიმპტომატური]: 1. რაც სიმპტომს წარმოადგენს; ნიშანდობლივი; 2. რაც მიმართულია დაავადებათა სიმპტომების – და არა მათი გამომწვევი მიზეზების – წინააღმდეგ (**სიმპტომური** / **სიმპტომატური** მკურნალობა); **სიმპტომატიკური**: სიმპტომატიკისთვის დამახასიათებელი (**სიმპტომატიკური** კვლევა)

**სიმშვიდედაკარგული**

**სიმწარე** (სიმწარის⌜ა⌝), მ ა გ რ ა მ: **სიმწრის ოფლი**

**სიმხდალე** // **მხდალობა**

**სინდის-ნამუსი** (სინდის-ნამუსს), მ ა გ რ ა მ: **სინდისნამუსიანი**

**სინოპტიკოსი** (სინოპტიკოსს)

**სინქრონია** – **სინქრონიზმი**; **სინქრონია**: ლ ი ნ გ ვ. ენის სტატიკური მდგომარეობა (შ დ რ. **დიაქრონია**); **სინქრონიზმი**: ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში; ერთდროული მიმდინარეობა

**სირცხვილ-ნამუსი** (სირცხვილ-ნამუსს), მ ა გ რ ა მ: **სირცხვილნამუსიანი**



**სირცხვილნაჭამი**

**სისტემატიზაცია**; **სისტემატიზება**: **სისტემატიზებული** [დ ა  ა რ ა  სისტემატიზირებული]

**სისტემაში მოჰყავს**

**სისხლდენა**, მ ა გ რ ა მ: **სისხლის დენა**

**სისხლის აღება** (სისხლს აიღებს)

**სისხლისმსმელი**

**სისხლისმღვრელი**

**სისხლის ღვრა** (სისხლს ღვრის), მ ა გ რ ა მ: **სისხლისმღვრელი** (ომი)

**სისხლის ჩაქცევა**, მ ა გ რ ა მ: **სისხლჩაქცევა**

**სისხლნაკლებობა**

**სისხლნარევი**

**სისხლძარღვი**

**სისხლ-ხორცი**, მ ა გ რ ა მ: **სისხლხორციანი**; **სისხლხორცეული** (სისხლხორცეულად)

**სიტი** (სიტიმ, მ ი ც. სიტის)

**სიტკბო-სიმწარე** (სიტკბო-სიმწარის⌜ა⌝)

**სიტუაცია**: **სიტუაციური**

**სიტყვამოსწრებული**

**სიტყვა-პასუხი**, მ ა გ რ ა მ: **სიტყვაპასუხიანი**

**სიტყვასიტყვით** (სიტყვასიტყვითი)

**სიტყვაძვირი**; **სიტყვაძუნწი**

სიურპრიზი

სიცილ-კისკისი; სიცილ-ხარხარი

სიცოცხლეგამწარებული

სიცოცხლემოწყურებული

სიცოცხლისუნარიანი; სიცოცხლისუნარიანობა

სიძე-პატარძალი (სიძე-პატარძლის⌈ა⌉)

სიძველეთსაცავი

სკანერი; სკანირება

სკეპტიკოსი (სკეპტიკოსს): სკეპტიკური

სკლეროტიკი

სკოლა-ინტერნატი

სკოლამდელი

სკუპ-სკუპით

სკუტერი

სლუკუნ-სლუკუნით

სმა-ჭამა

სმენადაკარგული; სმენადაქვეითებული

სმენადქცეული

სმოკინგი

სნობიზმი (სნობიზმმა)

სოია (სოიის⌈ა⌉)

სოლარიუმი (სოლარიუმმა)



სოლ-მაჟორი, სოლ-მინორი

სოსისი (სოსისს)

სოუსი (სოუსს)

სოფელ-სოფელ

სოფიზმი – სუფიზმი; სოფიზმი: ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი მოსაზრება (დებულება), რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებულოდ შერჩევას; სუფიზმი: მაჰმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც მე-8 საუკუნეში წარმოიშვა

სოციალ-დემოკრატი; სოციალ-დემოკრატია: სოციალ-დემოკრატიული

სოციალიზაცია; სოციალიზება: სოციალიზებული

სოციალურ-ეკონომიკური

სოციალურ-კულტურული

სოციალურ-პოლიტიკური

სოციოლოგია: სოციოლოგიური; სოციოლოგი

სპაზმი (სპაზმმა): სპაზმური

სპექტრი: სპექტრული

სპეცდანიშნულება (= სპეციალური დანიშნულება)

სპეციალიზაცია; სპეციალიზება: სპეციალიზებული [და არა სპეციალიზირებული]

სპეციფიკური [და არა სპეციფიური]

სპეცოპერაცია (= სპეციალური ოპერაცია): სპეცოპერაციული

სპეცრაზმი (სპეცრაზმმა) (= სპეციალური რაზმი)

სპეცსამსახური (= სპეციალური სამსახური)

სპილოსძვლისფერი (სპილოსძვლისფრად)

სპირიტიზმი – სპირიტუალიზმი; სპირიტიზმი: რწმენა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება; სპირიტუალიზმი: რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სულს განიხილავს, როგორც სინამდვილის პირველსაწყისს

სპიჩრაიტერი: თანამდებობის პირთათვის გამოსასვლელი სიტყვების დამწერი

სპონტანური (სპონტანურად)

სპორადული (სპორადულად)

სპორტდარბაზი (= სასპორტო დარბაზი)

სპორტსკოლა (= სასპორტო სკოლა)

სრიალ-სრიალით

სრულიად საქართველო

სრულმეტრაჟიანი

სრულუფლებიანი; სრულუფლებიანობა

სრულფასოვანი; სრულფასოვნობა

სრულქმნა; სრულქმნილი

სრულყოფა – სრულყოფილება; სრულყოფა:



1. რაიმეს უნაკლოდ, უზადოდ ქცევა; დახვეწა, გაუმჯობესება, განვითარება (შემდგომი სრულყოფა); 2. დამთავრება, დასრულება, ამოწურვა (საქმის სრულყოფა); სრულყოფილება: სრულყოფილის თვისება (სრულყოფილი – საუკეთესო)

სრულწლოვანი; სრულწლოვანება

სტაბილური – სტაბილიზებული; სტაბილური: გამძლე, მტკიცე, მყარი, უცვლელი (სტაბილური ფასები / მდგომარეობა / ხასიათი); სტაბილიზებული: განმტკიცებული, მოწესრიგებული (სტაბილიზებული სამხედრო ძალა)

სტაციონარი: 1. საავადმყოფო, რომელსაც მუდმივი ადგილები აქვს ავადმყოფთათვის; 2. ზოგადად – ერთ ადგილას მოთავსებული, არამოძრავი დაწესებულება, შ დ რ.: სტაციონერი: უცხოეთის გემი, რომელიც მუდმივად დგას კოლონიის ან ნახევარკოლონიის ნავსადგურში და პოლიციურ სამსახურს ეწევა

სტენოზი – სტენოკარდია; სტენოზი: მ ე დ ი ც. მილოვანი (ან ღრუ) ორგანოების დავიწროება; შ დ რ.: სტენოკარდია: მწვავე შეტევა (ტკივილისა) გულის არეში; გულის ანგინა

სტერეოტიპი: სტერეოტიპული

სტერილიზაცია; სტერილიზება: სტერილიზებული

სტილიზაცია; სტილიზება: სტილიზებული

სტიუარდესა (სტიუარდესას˹ი˺): სტიუარდი ქალი

სტიუარდი: ოფიციანტი სამგზავრო გემზე ან თვითმფრინავში

სტრესი (სტრესს): სტრესული

სტუმართმოყვარე (სტუმართმოყვარის˹ა˺)

სტუმართმოყვარეობა; სტუმართმოყვარული

სტუმარ-მასპინძელი (სტუმარ-მასპინძლის˹ა˺), მ ა გ რ ა მ: სტუმარმასპინძლობა

სტყორცნის (მზე სხივს ფანჯარას), მ ა გ რ ა მ: ტყორცნის (სპორტსმენი ბადროს)

სუბტროპიკული

სულგანაბული

სულგრძელი; სულგრძელობა

სულდგმული; სულდგმულობა

სულდიდი; სულდიდობა

სულერთი; სულერთია

სულთამხუთავი

სულთმობრძავი

სულთქმა // სულისთქმა

სულიან-ხორციანად

სულისკვეთება

სულისჩამდგმელი

სულიწმიდა

სულმაღალი (სულმაღლის˹ა˺)

სულმდაბალი; სულმდაბლობა

სულმოკლე; სულმოკლეობა

სულმოუთქმელად

სულ მუდამ

სულ მცირე

სულსწრაფი

სულუგუნი // სულგუნი

სულწაწყმედილი

სუნთქვაშეკრული

სუპერვარსკვლავი

სუპერლიგა

სუპერმარკეტი

სუპერმენი

სუპერმოდელი

[სუპერსახელმწიფო კ ი ა რ ა] ზესახელმწიფო

[სურპრიზი კ ი ა რ ა] სიურპრიზი

სქელკანიანი

სქელკედლიანი

[სცალოდა კ ი ა რ ა] ეცალა

სცდება (ზღვარს), მ ა გ რ ა მ: ცდება (= შეცდომა მოსდის)

სცენარი; სცენარისტი

**სცენური; სცენურობა**

**სძინავს; სძინებია; სძინებოდა**

**სწავლა-აღზრდა; სწავლა-განათლება**

**სწამებს** (ცილს)

**სწორხაზოვანი** (სწორხაზოვნად); **სწორხაზოვნობა**

**სწრაფმავალი** (სწრაფმავლის⌜ა⌝)

**სწრაფმოქმედი**

**სწყინს** [დ ა ა რ ა წყინს]

**სჭირდება; დასჭირდა; დასჭირებია; დასჭირებოდა**

**სჭირს** (სურდო / გრიპი), მ ა გ რ ა მ: **ჭირს** (ცხოვრება)

**სჭრის** (ხეს ტოტს), მ ა გ რ ა მ: **ჭრის** (ტორტს)

**სხვადასხვა** (მოითხოვს სახელს მხ. რიცხვში: **სხვადასხვა ქვეყანა**)

**სხვადასხვაგვარი; სხვადასხვაგვარობა**

**სხვადასხვანაირი** (სხვადასხვანაირად)

**სხვათა შორის**

**სხვა მხრივ**

**სჯა-ბაასი** (სჯა-ბაასს)



# ტ

**ტაიმაუტი**

**ტალღისებური** (ტალღისებურად)

**ტანაყრილი**

**ტანდაბალი** (ტანდაბლის⌜ა⌝)

**ტანდემი** (ტანდემმა)

**ტანთხელი**

**ტანმორჩილი**

**ტანსაცმელშემოგლეჯილი**

**ტან-ფეხი**, მ ა გ რ ა მ: **ტანფეხშიშველი**

**ტანჯვა-ვაება; ტანჯვა-წამება**

**ტაშისმკვრელი**, მ ა გ რ ა მ: ტაშის დამკვრელი

**ტაშ-ფანდურა** (ტაშ-ფანდურას⌜ი⌝); **ტაშ-ფანდური**

**ტელეარხი**

**ტელეგადაცემა** (ტელეგადაცემის⌜ა⌝)

**ტელეგენური**

**ტელედადგმა** (ტელედადგმის⌜ა⌝)

**ტელე- და რადიოწამყვანი**

**ტელედებიუტი**

**ტელეეთერი**

**ტელეეკრანი**

**ტელეინდუსტრია** (ტელეინდუსტრიის⌜ა⌝)

**ტელეკამერა** (ტელეკამერის⌜ა⌝)

**ტელეკომუნიკაცია** (ტელეკომუნიკაციის⌜ა⌝)

**ტელემაუწყებელი** (ტელემაუწყებლის⌜ა⌝)

**ტელენოველა** (ტელენოველის⌜ა⌝)

**ტელეპროდუქცია** (ტელეპროდუქციის⌜ა⌝)

**ტელერეპორტაჟი**

**ტელესახე** (ტელესახის⌜ა⌝)

**ტელესივრცე** (ტელესივრცის⌜ა⌝)

**ტელესპექტაკლი**

**ტელეშოუ // სატელევიზიო შოუ**

**ტელეწამყვანი**

**ტერორქვეშ**

**ტექნიკა – ტექნოლოგია; ტექნიკა:** მანქანების (კომპიუტერების...), მექანიკური იარაღებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა; 2. პროფესიული ხერხების ერთობლიობა (ჭადრაკის თამაშის **ტექნიკა**); **ტექნოლოგია:** ნედლეულის, ნაკეთობათა, ნახევარფაბრიკატების დამუშავების ოსტატობა

**ტვინდაბნეული**

**ტვინნაღრძობი**

**ტვინშერყეული**

**ტვირთაკიდებული**



**ტვირთბრუნვა**

**ტვირთმიმღები**

**ტვირთმძიმე**

**ტვირთსაზიდი**

**ტიპი – ტიპაჟი; ტიპი:** 1. რაიმეს ნიმუში, სახე (ახალი **ტიპის** არმია...); 2. ლ ი ტ. პირის განზოგადებული სახე (ვაჭრის... **ტიპი**); 3. ბ ი ო ლ. მცენარეთა და ცხოველთა დაჯგუფების ერთეული (მუძუმწოვართა... **ტიპი**); **ტიპაჟი:** ტიპისთვის დამახასიათებელ თვისებათა მქონე პირი (კარგი **ტიპაჟია**)

**ტიპობრიობა**

**ტკაცატკუცი**

**ტკბილ-მჟავე**

**ტკბილ-მწარე**

**ტკბილ-ტკბილი**

**ტოლ-ამხანაგი,** მ ა გ რ ა მ: **ტოლამხანაგური**

**ტოლ-სწორი**

**ტოლ-ტოლი**

**ტომოგრამა: ტომოგრამული**

**ტომოგრაფია** (ტომოგრაფიის⌜ა⌝)

**ტოტალური – ტოტალიტარული; ტოტალური:** საყოველთაო, მთლიანი, სრული, ყოვლისმომცველი (**ტოტალური** გაყალბება); **ტოტალიტარული** (რეჟიმი / მმართველობა)

ტოტებგაწვდილი

ტოტებდამძიმებული

ტოტებქვეშ

ტოქსიკოლოგი; ტოქსიკოლოგია

ტოქსინი

ტრავმული, ტრავმატული – ტრავმირებული; ტრავმული, ტრავმატული: ტრავმით გამოწვეული (ტრავმა – მ ე დ ი ც. ორგანიზმის ქსოვილების დაზიანება, რომელიც გამოწვეულია გარეგანი ზემოქმედებით: დაჭრით, დაჟეჟვით, დაწვით...); ტრავმირებული: ვინც ტრავმა განიცადა

ტრანზიტი: ტრანზიტული

ტრანკვილიზატორი

ტრანსკავკასიური

ტრანსპლანტაცია: ტრანსპლანტაციური

ტრანსპორტაბელობა; ტრანსპორტაბელური

ტრანსპორტირება: ტრანსპორტირებული

ტრანსფორმირება: ტრანსფორმირებული

ტრენინგის სერტიფიკატი (// ტრენინგსერტიფიკატი)

(ტრენინგკურსი //) სატრენინგო კურსი

(ტრენინგპროგრამა //) სატრენინგო პროგრამა

(ტრენინგცენტრი //) სატრენინგო ცენტრი

ტრილერი [დ ა  ა რ ა  თრილერი]



ტრიუკი

ტურნე (ტურნეს⌜ი⌝)

ტურნირი; ტურნირში [დ ა  ა რ ა  ტურნირის] გამარჯვებული

ტუჩ-კბილი

ტუჩ-პირი

ტყე და ველი, მ ა გ რ ა მ: ტყე-ველი

ტყე და ღრე, მ ა გ რ ა მ: ტყე-ღრე

ტყვია-წამალი (ტყვია-წამლის⌜ა⌝)

ტყისკაცი

ტყისმცველი

ტყისმჭრელი

ტყის პირას / პირად

ტყუილ-მართალი (ტყუილ-მართლის⌜ა⌝)

ტყუილუბრალო (ტუილუბრალოდ)

ტყუპისცალი

ტყუპ-ტყუპად

# უ

**უარაფრო**

**უარის თქმა** (უარს ამბობს; უარი თქვა / უთქვამს)

**უარმყოფელი** (უარმყოფლის⌈ა⌉) // **უარმყოფი**

**უარობა – უარყოფა; უარობა:** „არას" თქმა, უარზე დგომა (მიპატიჟებაზე / თანამშრომლობაზე **უარობა**); **უარყოფა:** რაიმე არსებულის მიუღებლობა, უკუგდება (სინამდვილის / აზრის **უარყოფა**)

**უარსაყოფი**

**უარყოფს; უარყო; უარუყვია; უარეყო**

**უბანავია – უბანავებია; უბანავია** (იბანავებს; იბანავა): **უბანავია** (თვითონ); **უბანავებია** (აბანავებს; აბანავა): **უბანავებია** (ბავშვი)

**უბან-უბან**

**უბრალობა – უბრალოება; უბრალობა:** ბრალის / დანაშაულის უქონლობა; სიმართლე (ადამიანის **უბრალობა**); **უბრალოება:** სისადავე; უბრალოს თვისება (**უბრალოება** ყველას ამშვენებს)

**უბრწყინვალესი** (უბრწყინვალესს)

**უგამონაკლისო** (უგამონაკლისოდ)



**უგზო-უკვლო** (უგზო-უკვლოდ)

**უგონო – უგუნური; უგონო:** გულწასული (კაცი **უგონოდ** ეგდო; **უგუნური:** უჭკუო (**უგუნური** გადაწყვეტილება / ლაპარაკი / ქცევა...)

**უგორავია – უგორავებია; უგორავია** (გორაობს; იგორავა): **უგორავია** (თვითონ); **უგორავებია** (აგორავებს; აგორავა): **უგორავებია** (ბურთი)

**უგრძნობელი; უგრძნობლობა**

**უგულებელყოფა** (უგულებელყოფს; უგულებელყო; უგულებელუყვია; უგულებელეყო)

**უდროო** [და არა უდროვო]

**უვარჯიშია – უვარჯიშებია; უვარჯიშია** (ივარჯიშებს; ივარჯიშა თვითონ); **უვარჯიშებია** (ავარჯიშებს; ავარჯიშა ბავშვი)

**უზარმაზარი**

**უზენაესი** (უზენაესს); **უზენაესობა**

**უზრუნველსაყოფი** (უზრუნველსაყოფად)

**უზრუნველყოფს; უზრუნველყო; უზრუნველუყვია; უზრუნველეყო**

**უთამაშია – უთამაშებია; უთამაშია** (ითამაშებს; ითამაშა თვითონ); **უთამაშებია** (ათამაშებს; ათამაშა სხვა)

**უთვალავ-ულევი; უთვალავ-ურიცხვი**

**უთხოვია – უთხოვებია; უთხოვია** (სთხოვს; სთხოვა): **უთხოვია** (თვითონ); **უთხოვებია** (ათხოვებს; ათხოვა): **უთხოვებია** (სხვისთვის)

უინიციატივო

უკანდასახევი (გზა)

უკან დახევა, მ ა გ რ ა მ: უკანდახეული; უკანდაუხეველი

უკან მოხედვა, მ ა გ რ ა მ: უკანმოუხედავად

უკანსვლა // რეგრესი

უკან-უკან, მ ა გ რ ა მ: უკან და უკან

უკაცრაული პასუხია

უკეთ და უკეთ

უკეთესი (უკეთესს)

უკვალო – უკვლო; უკვალო: რასაც კვალი არ დარჩა, რასაც კვალი არ დაუტოვებია (ამ ამბავმა **უკვალოდ** ჩაიარა); უკვლო: გზააბნეული, გზადაკარგული

უკვდავყოფა; უკვდავყოფილი

უკვდავყოფს; უკვდავყო; უკვდავუყვია; უკვდავეყო

უკითხავად [დ ა ა რ ა უკითხველად]

უკლებლად // უკლებლივ

უკმარობა // უკმარისობა

უკონფლიქტო; უკონფლიქტობა

უკრებს – უკრეფს; უკრებს (მას ხალხს); უკრეფს (მას ხილს)

უკუგავლენა

უკუგანვითარება



უკუგებული

უკუიქცევა; უკუიქცა; უკუქცეულა; უკუქცეულიყო

უკუმოქმედება

უკუქცევა (უკუაქცევს; უკუიქცევა)

უკუღმართობა

უკუღმართული

ულაპარაკია – ულაპარაკებია; ულაპარაკია (ლაპარაკობს; ილაპარაკა თვითონ); ულაპარაკებია (ალაპარაკებს; ალაპარაკა სხვა)

ულვაშ-წვერი

ულტიმატუმი (ულტიმატუმმა)

ულტრაბგერა (ულტრაბგერის⌜ა⌝)

ულტრაიისფერი (ულტრაიისფრის⌜ა⌝; ულტრაიისფრად)

ულუკმაპურო

უმადურობა (// უმადურება)

უმასპინძლებს; უმასპინძლა; უმასპინძლებია; ემასპინძლებინა

უმეტეს: მით უმეტეს, არა უმეტეს

უმეტესწილად // მეტწილად

უმეტნაკლებო

უმეფია – უმეფებია; უმეფია (იმეფებს; იმეფა თვითონ); უმეფებია (ამეფებს; ამეფა ვაჟი)

უმკურნალია – უმკურნალებია; უმკურნალია

(იმკურნალებს; იმკურნალა): უმკურნალია (თვითონ); უმკურნალებია (უმკურნალებს; უმკურნალა): უმკურნალებია (ბავშვისთვის)

უმნიშვნელოვანესი (უმნიშვნელოვანესს)

უმოსავლო // მოუსავლიანი

უმუშავია – უმუშავებია; უმუშავია (იმუშავებს; იმუშავა თვითონ); უმუშავებია (ამუშავებს; ამუშავა სხვა)

უმუშევარი (უმუშევრის⌈ა⌉); უმუშევრობა

უმღერია – უმღერებია; უმღერია (იმღერებს; იმღერა თვითონ); უმღერებია (ამღერებს; ამღერა ბავშვი)

უმცროს-უფროსობა

უმხიარულია – უმხიარულებია; უმხიარულია (იმხიარულებს; იმხიარულა თვითონ); უმხიარულებია (ამხიარულებს; ამხიარულა სხვა)

უმჯობესი (უმჯობესს)

უნარი; უნარიანი

უნარმოკლებული

უნდა (ვუნდივარ, უნდიხარ)

უნეტარესი (უნეტარესს)

უნივერსალობა

უნივერსალიზმი (უნივერსალიზმმა)

უპირველეს ყოვლისა

უპოპულარესი (უპოპულარესს)



ურთიერთგაგება

ურთიერთდამოკიდებულება

ურთიერთდაპირისპირებული

ურთიერთთანხმობა

ურთიერთკავშირი

ურთიერთმიმართება

ურთიერთმოქმედება

ურთიერთპარალელური

ურთიერთპატივისცემა

ურთიერთსიყვარული

ურთიერთსიძულვილი

ურთიერთუნდობლობა

ურთიერთშეთანხმება

ურთიერთ შორის, მ ა გ რ ა მ: ურთიერთშორისი

უსაშინელესი [დ ა  ა რ ა  უსაშინლესი]

უსახლკარო

უსესხია – უსესხებია; უსესხია (ისესხებს; ისესხა): უსესხია (თავისთვის); უსესხებია (ასესხებს; ასესხა): უსესხებია (სხვისთვის)

უსიცოცხლობა

უსმელ-უჭმელი; უსმელ-უჭმელობა

უსულგულო; უსულგულობა

უსწავლია – უსწავლებია; უსწავლია (ისწავლის;

ისწავლა): **უსწავლია** (თვითონ); **უსწავლებია** (ასწავლის; ასწავლა): **უსწავლებია** (ბავშვისთვის)

**უტვინო; უტვინობა** [და არა უტვინოობა]

**უტირია – უტირებია; უტირია** (იტირებს; იტირა თვითონ); **უტირებია** (ატირებს, ატირა ბავშვი)

**უფალთუფალი** (უფალთუფლის⌈ა⌉)

**უფართოესი** (უფართოესს)

**უფასო – უფასური; უფასო:** რაშიც ფასს არ ახდევინებენ (**უფასო** სწავლება / მკურნალობა); **უფასური:** გამოუსადეგარი, უსარგებლო (**უფასური** შრომა / ნივთები)

**უფერო – უფერული;** ეს სიტყვები სინონიმებია და ნიშნავს ფერმკრთალს, ფერმიხდილს, ფერდაკარგულს (**უფერო / უფერული** სახე...), მაგრამ **უფერულს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: გადატ. ერთფეროვანი, უშინაარსო (**უფერული** ცხოვრება...)

**უფლებააყრილი**

**უფლება-მოვალეობა**

**უფლებამოსილი; უფლებამოსილება**

**უფლებაშელახული**

**უფლებაჩამორთმეული**

**უფლებრივ-ქონებრივი**

**უფრო და უფრო**



**უფროს-უმცროსი; უფროს-უმცროსობა**

**უქმადმყოფი; უქმადმყოფობა**

**უქმადყოფნა**

**უშუალო; უშუალობა**

**უშუამდგომლებს; უშუამდგომლა; უშუამდგომლია; ეშუამდგომლა**

**უცბად; უცებ**

**უცეკვია – უცეკვებია; უცეკვია** (იცეკვებს; იცეკვა თვითონ); **უცეკვებია** (აცეკვებს; აცეკვა სხვა)

**უცინია – უცინებია; უცინია** (იცინის; იცინა თვითონ); **უცინებია** (აცინებს; აცინა სხვა)

**უცურავია – უცურავებია; უცურავია** (იცურავებს; იცურავა თვითონ); **უცურავებია** (აცურავებს; აცურავა სხვა)

**უცხო-უცხო**

**უცხოქვეყნელი**

**უძილო // უძინარი**

**უძრავ-მოძრავი** (ქონება)

**უწვალია – უწვალებია; უწვალია** (იწვალებს; იწვალა თვითონ); **უწვალებია** (აწვალებს; აწვალა სხვა)

**უწინარეს ყოვლისა**

**უწინდებური** (უწინდებურად)

**უწინდელი – უწინდებური; უწინდელი:** წინან-

დელი, ძველი – **უწინდელი** დრო; **უწინდე-ბური**: ძველებური – „მეორეს ეხურა სალდათური **უწინდებური** ქუდი“ (ილია)

**უწმინდესი** (უწმინდესს)

[უწოვნია კი არა] **უწოვია**

**უჭიდავია** – **უჭიდავებია**; **უჭიდავია** (იჭიდავებს; იჭიდავა თვითონ); **უჭიდავებია** (აჭიდავებს; აჭიდავა სხვა)

**უჭკნობი** // **უჭკნობელი**

**უჭმელ-უსმელი**

**უხვსიტყვაობა**

**უხტუნია**, **უხტუნავია** (თვითონ) – **უხტუნებია**, **უხტუნავებია** (სხვა)

**უხუცესი** (უხუცესს)

**უჯრა-უჯრა**

# ფ

**ფაბრიკანტი** – **ფაბრიკატი**; **ფაბრიკანტი**: ფაბრიკის პატრონი; **ფაბრიკატი**: მზა საფაბრიკო ნაწარმი, ნახევარფაბრიკატი (ნაწილობრივ დამუშავებული)

**ფა-დიეზი**



**ფავორი**: საუბ. წარჩინებული, გავლენიანი პირის მფარველობა, კეთილგანწყობა

**ფავორიტი**: ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის პირის მფარველობით; გადატ. საყვარელი, მოსაწონი ადამიანი (ვინმესთვის)


ჰაი-ჰუი

ჰბაძავს; ჰბაძავდა; ჰბაძავდეს

ჰბრალდება; ჰბრალდებოდა; ჰბრალდებოდეს

**ჰერკულესი** [დ ა ა რ ა გერკულესი]

**ჰიდროფილია – ჰიდროფობია; ჰიდროფილია:** 1.ზოგიერთი მცენარის წყალქვეშ დამტვერვის უნარი; 2. ქსოვილის უნარი ორგანიზმში წყლის (სითხის) შეკავებისა; **ჰიდროფობია:** წყლის შიში

**ჰიპერტონია – ჰიპოტონია; ჰიპერტონია:** მ ე დ ი ც. სისხლის წნევის აწევა, მომატება; შ დ რ.: **ჰიპოტონია:** სისხლის წნევის დაქვეითება

**ჰიპერტროფია – ჰიპოტროფია; ჰიპერტროფია:** მ ე დ ი ც. 1. რაიმე ორგანოს მეტისმეტი გადიდება ავადმყოფობის, დიდი დატვირთვის ან სხვა მიზეზის გამო; 2. გ ა დ ა ტ. რაიმეს არანორმალური განვითარება; შ დ რ.: **ჰიპოტროფია:** რაიმე ორგანოს ან მისი ნაწილის მოცულობის შემცირება

**ჰიპნოტიზიორი** [დ ა ა რ ა გიპნოტიზიორი]

**ჰკადრებს**; **ჰკადრა**

**ჰკავებია** (უკავია)

**ჰკლებია**; **ჰკლებოდა**; **ჰკლებოდეს**

**ჰკრეჭს** (ბავშვს თმას), მ ა გ რ ა მ: **კრეჭს** (ბალახს)

[ჰმატებს კ ი ა რ ა ] **მატებს**

**ჰობი** (ჰობიმ, მ ი ც. ჰობის)

**ჰოდა** (**ჰოდა**, თუ ასეა, მოვალ)

**ჰომო-ფაბერი**: ადამიანი შემოქმედი

**ჰონორარი** [დ ა ა რ ა გონორარი]

[ჰპოვა კ ი ა რ ა ] **პოვა**

**ჰუმანური – ჰუმანისტური – ჰუმანიტარული**; **ჰუმანური**: ადამიანური, სხვისადმი გულისხმიერი (**ჰუმანური** დამოკიდებულება); **ჰუმანისტური**: ჰუმანისტის, ჰუმანიზმის თვისების, ხასიათის მქონე (**ჰუმანისტური** ხედვა); **ჰუმანიტარული**: 1. ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის შემსწავლელი (**ჰუმანიტარული** მეცნიერებანი); 2. ადამიანის უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული (ჰუმანიტარული **დახმარება**)

**ჰფარებია** (აფარია)

**ჰფენია** (სახეზე ღიმილი), მ ა გ რ ა მ: **ფენია** // **აფენია** (ხალიჩა)

[ჰქრის კ ი ა რ ა] **ქრის**



დანართი I

### I. ა-სა და ე-ზე ფუძეგათავებული უცხოური სახელები და აბრევიაციები

ნათესაობითში **ი** ხმოვნის ჩასმა ფრჩხილებში მიუთითებს მის საჭიროებას მართული მსაზღვრელის ინვერსიული წყობისას ან საზღვრულის გამოტოვებისას:

**ა) საზოგადო სახელები და აბრევიაციები**

**ბეზე** (*ნათ.* ბეზეს(ი); *მოქმ.* ბეზეთი)
**ბლანმანჟე** (*ნათ.* ბლანმანჟეს(ი); *მოქმ.* ბლანმანჟეთი)
**ბლანჟე** (*ნათ.* ბლანჟეს(ი); *მოქმ.* ბლანჟეთი)
**ბუკლე** (*ნათ.* ბუკლეს(ი); *მოქმ.* ბუკლეთი)
**დუენდე** (*ნათ.* დუენდეს(ი); *მოქმ.* დუენდეთი)
**კარე** (*ნათ.* კარეს(ი); *მოქმ.* კარეთი)
**კაფე** (*ნათ.* კაფეს(ი); *მოქმ.* კაფეთი; *მრ.* კაფეები)
**კაშნე** (*ნათ.* კაშნეს(ი); *მოქმ.* კაშნეთი; *მრ.* კაშნეები)
**პა** (*ნათ.* პას(ი); *მოქმ.* პათი; *მრ.* პაები)
**ჟეზვე** (*ნათ.* ჟეზვეს(ი); *მოქმ.* ჟეზვეთი; *მრ.* ჟეზვეები)
**სუფლე** (*ნათ.* სუფლეს(ი); *მოქმ.* სუფლეთი)
**ტირე** (*ნათ.* ტირეს(ი); *მოქმ.* ტირეთი; *მრ.* ტირეები)

**ტურნე** (*ნათ.* ტურნეს(ი); *მოქმ.* ტურნეთი)
**ტუშე** (*ნათ.* ტუშეს(ი); *მოქმ.* ტუშეთი)
**ფიდე** *აზრ.* (*ნათ.* ფიდეს(ი), *მოქმ.* ფიდეთი)
**ფილე** (*ნათ.* ფილეს(ი); *მოქმ.* ფილეთი)
**ფიფა** *აზრ.* (*ნათ.* ფიფას(ი); *მოქმ.* ფიფათი)
**ფორტე** (*ნათ.* ფორტეს(ი); *მოქმ.* ფორტეთი)
**ფუეტე** (*ნათ.* ფუეტეს(ი); *მოქმ.* ფუეტეთი)
**ჯიპა** *აზრ.* (*ნათ.* ჯიპას(ი); *მოქმ.* ჯიპათი), შდრ. **ჯიპი** (ჯიპმა, ჯიპს, ჯიპის, ჯიპით, *მრ.* ჯიპები)

ბ) პირთა გვარები

**ბიზე** (*ნათ.* ბიზეს(ი); *მოქმ.* ბიზეთი)
**გოეთე** (*ნათ.* გოეთეს(ი); *მოქმ.* გოეთეთი)
**დანტე** (*ნათ.* დანტეს(ი); *მოქმ.* დანტეთი)
**დეგა** (*ნათ.* დეგას(ი); *მოქმ.* დეგათი)
**დიუმა** (*ნათ.* დიუმას(ი); *მოქმ.* დიუმათი)
**დოდე** (*ნათ.* დოდეს(ი); *მოქმ.* დოდეთი)
**ზოლა** (*ნათ.* ზოლას(ი); *მოქმ.* ზოლათი)
**კაპიცა** (*ნათ.* კაპიცას(ი); *მოქმ.* კაპიცათი)
**ლორკა** (*ნათ.* ლორკას(ი); *მოქმ.* ლორკათი)
**მანე** (*ნათ.* მანეს(ი); *მოქმ.* მანეთი)
**მარკე** (*ნათ.* მარკეს(ი); *მოქმ.* მარკეთი)
**მასნე** (*ნათ.* მასნეს(ი); *მოქმ.* მასნეთი)
**მერიმე** (*ნათ.* მერიმეს(ი); *მოქმ.* მერიმეთი)
**მიუსე** (*ნათ.* მიუსეს(ი); *მოქმ.* მიუსეთი)
**მონე** (*ნათ.* მონეს(ი); *მოქმ.* მონეთი)
**პეტიპა** ( *ნათ.* პეტიპას(ი); *მოქმ.* პეტიპათი)



მსგავსადვე იბრუნვის **-ზადე** კომპონენტზე ფუძეგათავებული აზერბაიჯანული გვარები (ფრჩხილებში ჩასმული დეფისი აღნიშნავს, რომ ასეთი გვარები ხან დეფისითაა გაფორმებული, ხან – უდეფისოდ). მაგალითად:

**ალი(-)ზადე** (*ნათ.* ალი(-)ზადეს(ი); *მოქმ.* ალი(-)ზადეთი)
**ამირ(-)ზადე** (*ნათ.* ამირ(-)ზადეს(ი); *მოქმ.* ამირ(-)ზადეთი)
**მამედ(-)ზადე** (*ნათ.* მამედ(-)ზადეს(ი); *მოქმ.* მამედ(-)ზადეთი)

ა ხმოვანზე ფუძეგათავებული ქართული (ზანური) გვარები

ა) -ია
**გაბუნია** (*ნათ.* გაბუნიას(ი), *მოქმ.* გაბუნიათი; *მრ.* გაბუნიები)
**გამსახურდია** (*ნათ.* გამსახურდიას(ი), *მოქმ.* გამსახურდიათი; *მრ.* გამსახურდიები)
**დანელია** (*ნათ.* დანელიას(ი); *მოქმ.* დანელიათი; *მრ.* დანელიები)
**თოფურია** (*ნათ.* თოფურიას(ი); *მოქმ.* თოფურიათი; *მრ.* თოფურიები)
**კეკელია** (*ნათ.* კეკელიას(ი); *მოქმ.* კეთელიათი; *მრ.* კეკელიები)
**კიზირია** (*ნათ.* კიზირიას(ი); *მოქმ.* კიზირიათი; *მრ.* კიზირიები)
**ოდიშარია** (*ნათ.* ოდიშარიას(ი); *მოქმ.* ოდიშარიათი; *მრ.* ოდიშარიები)

**ჟვანია** (*ნათ.* ჟვანიას(ი); *მოქმ.* ჟვანიათი; *მრ.* ჟვანიები)
**სახოკია** (*ნათ.* სახოკიას(ი); *მოქმ.* სახოკიათი; *მრ.* სახოკიები)
**ფიფია** (*ნათ.* ფიფიას(ი); *მოქმ.* ფიფიათი; *მრ.* ფიფიები)
**ქუთელია** (*ნათ.* ქუთელიას(ი); *მოქმ.* ქუთელიათი; *მრ.* ქუთელიები)
**შენგელია** (*ნათ.* შენგელიას(ი); *მოქმ.* შენგელიათი; *მრ.* შენგელიები)
**ჭანტურია** (*ნათ.* ჭანტურიას(ი); *მოქმ.* ჭანტურიათი; *მრ.* ჭანტურიები)
**ჭედია** (*ნათ.* ჭედიას(ი); *მოქმ.* ჭედიათი; *მრ.* ჭედიები)
**ჯანაშია** (*ნათ.* ჯანაშიას(ი); *მოქმ.* ჯანაშიათი; *მრ.* ჯანაშიები)
**ჯიქია** (*ნათ.* ჯიქიას(ი); *მოქმ.* ჯიქიათი; *მრ.* ჯიქიები)

ბ) -აია
**ბარქაია** (*ნათ.* ბარქაიას(ი); *მოქმ.* ბარქაიათი; *მრ.* ბარქაიები)
**ბეჭვაია** (*ნათ.* ბეჭვაიას(ი); *მოქმ.* ბეჭვაიათი; *მრ.* ბეჭვაიები)
**გაბილაია** (*ნათ.* გაბილაიას(ი); *მოქმ.* გაბილაიათი; *მრ.* გაბილაიები)
**დავითაია** (*ნათ.* დავითაიას(ი); *მოქმ.* დავითაიათი; *მრ.* დავითაიები)
**ზუხბაია** (*ნათ.* ზუხბაიას(ი); *მოქმ.* ზუხბაიათი; *მრ.* ზუხბაიები)



**მაისაია** (*ნათ.* მაისაიას(ი); *მოქმ.* მაისაიათი; *მრ.* მაისაიები)
**პატარაია** (*ნათ.* პატარაიას(ი); *მოქმ.* პატარაიათი; *მრ.* პატარაიები)
**როდონაია** (*ნათ.* როდონაიას(ი); *მოქმ.* როდონაიათი; *მრ.* როდონაიები)
**ქაჯაია** (*ნათ.* ქაჯაიას(ი); *მოქმ.* ქაჯაიათი; *მრ.* ქაჯაიები)
**ქვილითაია** (*ნათ.* ქვილითაიას(ი); მოქმ. ქვილითაიათი; *მრ.* ქვილითაიები)
**შენგელაია** (*ნათ.* შენგელაიას(ი); *მოქმ.* შენგელაიათი; *მრ.* შენგელაიები)
**ჩიტაია** (*ნათ.* ჩიტაიას(ი); *მოქმ.* ჩიტაიათი; *მრ.* ჩიტაიები)
**წულაია** (*ნათ.* წულაიას(ი); *მოქმ.* წულაიათი; *მრ.* წულაიები)
**ხელაია** (*ნათ.* ხელაიას(ი); *მოქმ.* ხელაიათი; *მრ.* ხელაიები)

გ) -უა
**ბაბილუა** (*ნათ.* ბაბილუას(ი); *მოქმ.* ბაბილუათი; *მრ.* ბაბილუები)
**გაგუა** (*ნათ.* გაგუას(ი); *მოქმ.* გაგუათი; *მრ.* გაგუები)
**დონდუა** (*ნათ.* დონდუას(ი); *მოქმ.* დონდუათი; *მრ.* დონდუები)
**ვეკუა** (*ნათ.* ვეკუას(ი); *მოქმ.* ვეკუათი; *მრ.* ვეკუები)
**კოდუა** (*ნათ.* კოდუას(ი); *მოქმ.* კოდუათი; მრ. კოდუები)

**მზარელუა** (*ნათ.* მზარელუას(ი)*; მოქმ.* მზარელუათი; *მრ.* მზარელუები)
**რურუა** (*ნათ.* რურუას(ი); *მოქმ.* რურუათი; *მრ.* რურუები)
**ფოჩხუა** (*ნათ.* ფოჩხუას(ი); *მოქმ.* ფოჩხუათი; *მრ.* ფოჩხუები)
**ხუბუა** (*ნათ.* ხუბუას(ი); *მოქმ.* ხუბუათი; *მრ.* ხუბუები)
**ჯოჯუა** (*ნათ.* ჯოჯუას(ი); *მოქმ.* ჯოჯუათი; *მრ.* ჯოჯუები)

**დ) -ავა**
**ბოკუჩავა** (*ნათ.* ბოკუჩავას(ი); *მოქმ.* ბოკუჩავათი; *მრ.* ბოკუჩავები)
**განუგრავა** (*ნათ.* განუგრავას(ი); *მოქმ.* განუგრავათი; *მრ.* განუგრავები)
**გულორდავა** (*ნათ.* გულორდავას(ი); *მოქმ.* გულორდავათი; *მრ.* გულორდავები)
**თოლორდავა** (*ნათ.* თოლორდავას(ი); *მოქმ.* თოლორდავათი; *მრ.* თოლორდავები)
**კაკუბავა** (*ნათ.* კაკუბავას(ი); *მოქმ.* კაკუბავათი; *მრ.* კაკუბავები)
**ლაბარტყავა** (*ნათ.* ლაბარტყავას(ი); *მოქმ.* ლაბარტყავათი; *მრ.* ლაბარტყავები)
**ოკუჯავა** (*ნათ.* ოკუჯავას(ი); *მოქმ.* ოკუჯავათი; *მრ.* ოკუჯავები)
**როგავა** (*ნათ.* როგავას(ი); *მოქმ.* როგავათი; *მრ.* როგავები)
**სულავა** (*ნათ.* სულავას(ი); *მოქმ.* სულავათი; *მრ.* სულავები)



**ჩიქობავა** (*ნათ.* ჩიქობავას(ი); *მოქმ.* ჩიქობავათი; *მრ.* ჩიქობავები)
**ჯომიდავა** (*ნათ.* ჯომიდავას(ი); *მოქმ.* ჯომიდავათი; *მრ.* ჯომიდავები)

ე) -გვა / -ყვა
**ართილაყვა** (*ნათ.* ართილაყვას(ი); *მოქმ.* ართილაყვათი; *მრ.* ართილაყვები)
**ბიგვა** (*ნათ.* ბიგვას(ი); *მოქმ.* ბიგვათი; *მრ.* ბიგვები)
**გელეყვა** (*ნათ.* გელეყვას(ი); *მოქმ.* გელეყვათი; *მრ.* გელეყვები)
**როყვა** (*ნათ.* როყვას(ი); *მოქმ.* როყვათი; *მრ.* როყვები)
**ინგოროყვა** (*ნათ.* ინგოროყვას(ი); *მოქმ.* ინგოროყვათი; *მრ.* ინგოროყვები)

**-ბა / -პა / -ფა კომპლექსებზე ფუძეგათავებული აფხაზური გვარები**

**ამიჩბა** (*ნათ.* ამიჩბას(ი); *მოქმ.* ამიჩბათი; *მრ.* ამიჩბები)
**არშბა** (*ნათ.* არშბას(ი); *მოქმ.* არშბათი; *მრ.* არშბები)
**ბუთბა** (*ნათ.* ბუთბას(ი); *მოქმ.* ბუთბათი; *მრ.* ბუთბები)
**ბღაჟბა** (*ნათ.* ბჟაღბას(ი); *მოქმ.* ბღაჟბათი; *მრ.* ბღაჟბები)
**ზუხბა** (*ნათ.* ზუხბას(ი); *მოქმ.* ზუხბათი; *მრ.* ზუხბები)

**თარბა** (*ნათ.* თარბას(ი); *მოქმ.* თარბათი; *მრ.* თარბები)
**ინალ(-)იფა** (*ნათ.* ინალ(-)იფას(ი); *მოქმ.* ინალ(-)იფათი; *მრ.* ინალ(-)იფები)
**ლაკობა** (*ნათ.* ლაკობას(ი); *მოქმ.* ლაკობათი; *მრ.* ლაკობები)
**ქეცბა** (*ნათ.* ქეცბას(ი); *მოქმ.* ქეცბათი; *მრ.* ქეცბები)
**შამბა** (*ნათ.* შამბას(ი); *მოქმ.* შამბათი; *მრ.* შამბები)
**შინკუბა** (*ნათ.* შინკუბას(ი); *მოქმ.* შინკუბათი; *მრ.* შინკუბები)
**ძიაფშ(ი)პა** (*ნათ.* ძიაფშ(ი)პას(ი); *მოქმ.* ძიაფშ(ი)პათი; *მრ.* ძიაფშ(ი)პები)
**ჭანბა** (*ნათ.* ჭანბას(ი); *მოქმ.* ჭანბათი; *მრ.* ჭანბები)

## II. ი-ზე ფუძეგათავებული უცხოური საზოგადო სახელები და აბრევიაციები

**ბი-ბი-სი** *აბრ.* (ბი-ბი-სიმ; *მიც.* ბი-ბი-სის)
**ბრენდი** (ბრენდიმ; *მიც.* ბრენდის; ბრენდიში)
**დენდი** (დენდიმ; *მიც.* დენდის; *მრ.* დენდები)
**ეი-ბი-სი** *აბრ.* (ეი-ბი-სიმ; *მიც.* ეი-ბი-სის)
**ვისკი** (ვისკიმ; *მიც.* ვისკის)
**ზლოტი** (ზლოტიმ; *მიც.* ზლოტის; *მრ.* ზლოტები)
**თი-ბი-სი** *აბრ.* (თი-ბი-სიმ; *მიც.* თი-ბი-სის)
**კეგლი** (კეგლიმ; *მიც.* კეგლის)
**კონფეტი** (კონფეტიმ; *მიც.* კონფეტის) – შდრ. **კანფეტი** (კანფეტმა, კანფეტს)



**ლედი** (ლედიმ, *მიც.* ლედის)
**ლოტი** (ლოტიმ; *მიც.* ლოტის)
**მაგთი** (მაგთიმ; *მიც.* მაგთის)
**მილედი** (მილედიმ; *მიც.* მილედის; მილედი!)
**რაგბი** (რაგბიმ; *მიც.* რაგბის)
**სი-ეს-აი** *აბრ.* (სი-ეს-აიმ; *მიც.* სი-ეს-აის)
**სი-ვი** (სი-ვიმ; *მიც.* სი-ვის; სი-ვიში)
**სპაგეტი** (სპაგეტიმ; *მიც.* სპაგეტის)
**ტაქსი** (ტაქსიმ; *მიც.* ტაქსის; ტაქსიში; ტაქსი! *მრ.* ტაქსები)
**ტრამვაი** (ტრამვაიმ; *მიც.* ტრამვაის; ტრამვაიში; *მრ.* ტრამვაები)
**ტროპარი** (ტროპარიმ; *მიც.* ტროპარის; ტროპარიში; *მრ.* ტროპარები)
**ყული** (ყულიმ; *მიც.* ყულის)
**შასი** (შასიმ; *მიც.* შასის; *მრ.* შასები)
**შპაცი** (შპაციმ; *მიც.* შპაცის)
**ჩაი** (ჩაიმ; *მიც.* ჩაის; ჩაიში)
**ცუნამი** (ცუნამიმ; *მიც.* ცუნამის)
**ჯენტრი** (ჯენტრიმ; *მიც.* ჯენტრის)
**ჰარაკირი** (ჰარაკირიმ; *მიც.* ჰარაკირის)
**ჰაჯი** (ჰაჯიმ; *მიც.* ჰაჯის)
**ჰიპი** (ჰიპიმ; *მიც.* ჰიპის; *მრ.* ჰიპები)
**ჰობი** (ჰობიმ; *მიც.* ჰობის)

## ი-ზე ფუძეგათავებული გეოგრაფიული სახელები

**აბუ-ზაბი** ქ. (აბუ-ზაბიში; აბუ-ზაბიმდე)
**ბანგი** ქ. (ბანგიში; ბანგიმდე)

**ბარი** ქ. (ბარიში; ბარიმდე)
**ბურუნდი** ქვ. (ბურუნდიში; ბურუნდიმდე)
**დელი** ქ. (დელიში; დელიმდე)
**ესენტუკი** ქ. (ესენტუკიში; ესენტუკიმდე)
**იანძი** მდ. (იანძიში; იანძიმდე)
**იასი** ქ. (იასიში; იასიმდე)
**კასტრი** ქ. (კასტრიში; კასტრიმდე)
**კიგალი** ქ. (კიგალიში; კიგალიმდე)
**კონაკრი** ქ. (კონაკრიში; კონაკრიმდე)
**მაიამი** ქ. (მაიამიში; მაიამიმდე)
**მალავი** ქვ. (მალავიში; მალავიმდე)
**მალი** ქვ. (მალიში; მალიმდე)
**მისისიპი** მდ. (მისისიპიში; მისისიპიმდე)
**მისური** მდ. (მისურიში; მისურიმდე)
**მორონი** ქ. (მორონიში; მორონიმდე)
**ნაგასაკი** ქ. (ნაგასაკიში; ნაგასაკიმდე)
**ნაირობი** ქ. (ნაირობიში; ნაირობიმდე)
**პარაგვაი** ქვ. (პარაგვაიში; პარაგვაიმდე)
**სომალი** ქვ. (სომალიში; სომალიმდე)
**ტაიტი** კუნძ. (ტაიტიზე; ტაიტიმდე)
**სუაჰილი** ენა (სუაჰილიზე; სუაჰილიში)
**ტრიპოლი** ქ. (ტრიპოლიში; ტრიპოლიმდე)
**ურუგვაი** ქვ. (ურუგვაიში; ურუგვაიმდე)
**ფიჯი** ქვ. (ფიჯიში; ფიჯიმდე)
**ჩებოქსარი** ქ. (ჩებოქსარიში; ჩებოქსარიმდე)
**ჩერნოვცი** ქ. (ჩერნოვციში; ჩერნოვციმდე)
**ჯიბუტი** ქვ./ქ. (ჯიბუტიში; ჯიბუტიმდე)
**ჰაიტი** ქვ. (ჰაიტიში, ჰაიტიმდე)
**ჰანოი** ქ. (ჰანოიში; ჰანოიმდე)
**ჰელსინკი** ქ. (ჰელსინკიში; ჰელსინკიმდე)



## ი-ზე ფუძეგათავებული პირთა სახელები

**ავქსენტი** (ავქსენტიმ; *მიც.* ავქსენტის; ავქსენტი!)
**აკაკი** (აკაკიმ; *მიც.* აკაკის; აკაკი!)
**ალექსი** (ალექსიმ; *მიც.* ალექსის; ალექსი!)
**ამბერკი** (ამბერკიმ; *მიც.* ამბერკის; ამბერკი!)
**ამბროსი** (ამბროსიმ; *მიც.* ამბროსის; ამბროსი!)
**ანრი** (ანრიმ; *მიც.* ანრის; ანრი!)
**არკადი** (არკადიმ; *მიც.* არკადის; არკადი!)
**ბაბი** (ბაბიმ; *მიც.* ბაბის; ბაბი!)
**ბადრი** (ბადრიმ; *მიც.* ბადრის; ბადრი!)
**ბეგი** (ბეგიმ; *მიც.* ბეგის; ბეგი!)
**ბიბი** (ბიბიმ; *მიც.* ბიბის; ბიბი!)
**ბიკენტი** (ბიკენტიმ; *მიც.* ბიკენტის; ბიკენტი!)
**ბუხუტი** (ბუხუტიმ; *მიც.* ბუხუტის; ბუხუტი!)
**გენადი** (გენადიმ; *მიც.* გენადის; გენადი!)
**გერონტი** (გერონტიმ; *მიც.* გერონტის; გერონტი!)
**გიგი** (გიგიმ; *მიც.* გიგის; გიგი!)
**გივი** (გივიმ; *მიც.* გივის; გივი!)
**გიორგი** (გიორგიმ; *მიც.* გიორგის; გიორგი!)
**გიული** (გიულიმ; *მიც.* გიულის; გიული!)
**გოგი** (გოგიმ; *მიც.* გოგის; გოგი!)
**გოდერძი** (გოდერძიმ; *მიც.* გოდერძის; გოდერძი!)
**დალი** (დალიმ; *მიც.* დალის; დალი!)
**დაჩი** (დაჩიმ; *მიც.* დაჩის; დაჩი!)
**დევი** (დევიმ; *მიც.* დევის; დევი!)
**დიმიტრი** (დიმიტრიმ; *მიც.* დიმიტრის; დიმიტრი)
**დომენტი** (დომენტიმ; *მიც.* დომენტის; დომენტი!)

**ევგენი** (ევგენიმ; *მიც.* ევგენის; ევგენი!)
**ევტიხი** (ევტიხიმ; *მიც.* ევტიხის; ევტიხი!)
**ერასტი** (ერასტიმ; *მიც.* ერასტის; ერასტი!)
**ვალერი** (ვალერიმ; *მიც.* ვალერის; ვალერი!)
**ვახუშტი** (ვახუშტიმ; *მიც.* ვახუშტის; ვახუშტი!)
**ზიზი** (ზიზიმ; *მიც.* ზიზის; ზიზი!)
**ირაკლი** (ირაკლიმ; *მიც.* ირაკლის; ირაკლი!)
**იური** (იურიმ; *მიც.* იურის; იური!)
**კახი** (კახიმ; *მიც.* კახის; კახი!)
**კლიმენტი** (კლიმენტიმ; *მიც.* კლიმენტის; კლიმენტი!)
**კორნელი** (კორნელიმ; *მიც.* კორნელის; კორნელი!)
**ლავრენტი** (ლავრენტიმ; *მიც.* ლავრენტის; ლავრენტი!)
**ლალი** (ლალიმ; *მიც.* ლალის; ლალი!)
**ლეონტი** (ლეონტიმ; *მიც.* ლეონტის; ლეონტი!)
**ლილი** (ლილიმ, მიც. ლილის; ლილი!)
**მამანტი** (მამანტიმ; *მიც.* მამანტის; მამანტი!)
**მერი** (მერიმ; *მიც.* მერის; მერი!)
**მექი** (მექიმ, *მიც.* მექის; მექი!)
**ნაზი** (ნაზიმ; *მიც.* ნაზის; ნაზი! შდრ.: გულნაზ, გულნაზმა; გულნაზ!)
**ნანი** (ნანიმ; *მიც.* ნანის; ნანი!)
**ნანული** (ნანულიმ; *მიც.* ნანულის; ნანული!)
**ნელი** (ნელიმ; *მიც.* ნელის; ნელი!)
**ნინი** (ნინიმ; *მიც.* ნინის; ნინი!)
**პროკოფი** (პროკოფიმ; *მიც.* პროკოფის, პროკოფი!)
**ჟანრი** (ჟანრიმ; *მიც.* ჟანრის; ჟანრი!)
**ჟიული** (ჟიულიმ; *მიც.* ჟიულის; ჟიული!)



**რატი** (რატიმ; *მიც.* რატის; რატი! შდრ.: ბაგრატმა, ბაგრატს; ბაგრატ!)
**სევასტი** (სევასტიმ; *მიც.* სევასტის; სევასტი!)
**სერგი** (სერგიმ; *მიც.* სერგის; სერგი!)
**ტარასი** (ტარასიმ; *მიც.* ტარასის; ტარასი!)
**ტერენტი** (ტერენტიმ; *მიც.* ტერენტის; ტერენტი!)
**ფატი** (ფატიმ; *მიც.* ფატის; ფატი!)
**ქიშვარდი** (ქიშვარდიმ; *მიც.* ქიშვარდის; ქიშვარდი!)
**ქუჯი** (ქუჯიმ; *მიც.* ქუჯის; ქუჯი!)
**ციცი** (ციციმ; *მიც.* ციცის; ციცი!)
**ჯანრი** (ჯანრიმ; *მიც.* ჯანრის; ჯანრი!)
**ჰენრი** (ჰენრიმ; *მიც.* ჰენრის; ჰენრი!)

### ი-ზე ფუძეგათავებული პერსონაჟთა გვარები

**ბოლკონსკი** (ბოლკონსკიმ; *მიც.* ბოლკონსკის; ბოლკონსკი!)
**დუბროვსკი** (დუბროვსკიმ; *მიც.* დუბროვსკის; დუბროვსკი!)
**კაპულეტი** (კაპულეტიმ; *მიც.* კაპულეტის; კაპულეტი!)
**ლენსკი** (ლენსკიმ; *მიც.* ლენსკის; ლენსკი!)
**მელორი** (მელორიმ; *მიც.* მელორის; მელორი!)
**მონტანელი** (მონტანელიმ; *მიც.* მონტანელის; მონტანელი!)
**მონტეკი** (მონტეკიმ; *მიც.* მონტეკის; მონტეკი!)
**შუისკი** (შუისკიმ; *მიც.* შუისკის; შუისკი!)
**ჩაცკი** (ჩაცკიმ; *მიც.* ჩაცკის; ჩაცკი!)

## ი-ზე ფუძეგათავებული უცხოური გვარები

**ანტონიონი** (ანტონიონიმ; *მიც.* ანტონიონის; ანტონიონი!)
**ბალანჩინი** (ბალანჩინიმ; *მიც.* ბალანჩინის; ბალანჩინი!)
**ბალი** (ბალიმ; *მიც.* ბალის; ბალი!)
**ბელინი** (ბელინიმ; *მიც.* ბელინის; ბელინი!)
**ბოტიჩელი** (ბოტიჩელიმ; *მიც.* ბოტიჩელის; ბოტიჩელი!)
**ბროდსკი** (ბროდსკიმ; *მიც.* ბროდსკის; ბროდსკი!)
**ბუდიონი** (ბუდიონიმ; *მიც.* ბუდიონის; ბუდიონი!)
**გალილეი** (გალილეიმ; *მიც.* გალილეის; გალილეი!)
**გარიბალდი** (გარიბალდიმ; *მიც.* გარიბალდის; გარიბალდი!)
**გორკი** (გორკიმ; *მიც.* გორკის; გორკი!)
**გრუზინსკი** (გრუზინსკიმ; *მიც.* გრუზინსკის; გრუზინსკი!)
**და ვინჩი** (და ვინჩიმ; *მიც.* და ვინჩის; და ვინჩი!)
**დარგომიჟსკი** (დარგომიჟსკიმ; *მიც.* დარგომიჟსკის; დარგომიჟსკი!)
**დებიუსი** (დებიუსიმ; *მიც.* დებიუსის; დებიუსი!)
**დიმიტრიადი** (დიმიტრიადიმ; *მიც.* დიმიტრიადის; დიმიტრიადი!)
**დოლგორუკი** (დოლგორუკიმ; *მიც.* დოლგორუკის; დოლგორუკი!)



**დონიცეტი** (დონიცეტიმ; *მიც.* დონიცეტის; დონიცეტი!)
**დოსტოევსკი** (დოსტოევსკიმ; *მიც.* დოსტოევსკის; დოსტოევსკი!)
**დუნაევსკი** (დუნაევსკიმ; *მიც.* დუნაევსკის; დუნაევსკი!)
**ვანცეტი** (ვანცეტიმ; *მიც.* ვანცეტის; ვანცეტი!)
**ვერდი** (ვერდიმ; *მიც.* ვერდის; ვერდი!)
**ვივალდი** (ვივალდიმ; *მიც.* ვივალდის; ვივალდი!)
**ვისკონტი** (ვისკონტიმ; *მიც.* ვისკონტის; ვისკონტი!)
**ვისოცკი** (ვისოცკიმ; *მიც.* ვისოცკის; ვისოცკი!)
**ვიტი** (ვიტიმ; *მიც.* ვიტის; ვიტი!)
**ვოზნესენსკი** (ვოზნესენსკიმ; *მიც.* ვოზნესენსკის; ვოზნესენსკი!)
**კაბალევსკი** (კაბალევსკიმ; *მიც.* კაბალევსკის; კაბალევსკი!)
**კადაფი** (კადაფიმ; *მიც.* კადაფის; კადაფი!)
**(ლინა) კავალიერი** (კავალიერიმ; *მიც.* კავალიერის; კავალიერი!)
**კიური** (კიურიმ; *მიც.* კიურის; კიური!)
**კორნელი** (კორნელიმ; *მიც.* კორნელის; კორნელი!)
**ლუნაჩარსკი** (ლუნაჩარსკიმ; *მიც.* ლუნაჩარსკის; ლუნაჩარსკი!)
**მაიაკოვსკი** (მაიაკოვსკიმ; *მიც.* მაიაკოვსკის; მაიაკოვსკი!)
**მანიანი** (მანიანიმ; *მიც.* მანიანის; მანიანი!)
**მასკანი** (მასკანიმ; *მიც.* მასკანის; მასკანი!)

**მასტროიანი** (მასტროიანიმ; *მიც.* მასტროიანის; მასტროიანი!)
**მაძინი** (მაძინიმ; *მიც.* მაძინის; მაძინი!)
**მოდილიანი** (მოდილიანიმ; *მიც.* მოდილიანის; მოდილიანი!)
**მუსორგსკი** (მუსორგსკიმ; *მიც.* მუსორგსკის; მუსორგსკი!)
**მუტი** (მუტიმ; *მიც.* მუტის; მუტი!)
**ნიზამი** (ნიზამიმ; *მიც.* ნიზამის; ნიზამი!)
**ო. ჰენრი** (ო. ჰენრიმ; *მიც.* ო. ჰენრის; ო. ჰენრი!)
**პავაროტი** (პავაროტიმ; *მიც.* პავაროტის; პავაროტი!)
**(ზინაიდა) პალი** (პალიმ; *მიც.* პალის; პალი!)
**პეჩკოვსკი** (პეჩკოვსკიმ; *მიც.* პეჩკოვსკის; პეჩკოვსკი!)
**პიზანი** (პიზანიმ; *მიც.* პიზანის; პიზანი!)
**პონტი** (პონტიმ; *მიც.* პონტის; პონტი!)
**(ლია) დე პუტი** (ლია დე პუტიმ; *მიც.* ლია დე პუტის; ლია დე პუტი!)
**პუჩინი** (პუჩინიმ; *მიც.* პუჩინის; პუჩინი!)
**ჟვანეცკი** (ჟვანეცკიმ; *მიც.* ჟვანეცკის; ჟვანეცკი!)
**ჟირმუნსკი** (ჟირმუნსკიმ; *მიც.* ჟირმუნსკის; ჟირმუნსკი!)
**ჟუკოვსკი** (ჟუკოვსკიმ; *მიც.* ჟუკოვსკის; ჟუკოვსკი!)
**რიჩი** (რიჩიმ; *მიც.* რიჩის; რიჩი!)
**როჟდესტვენსკი** (როჟდესტვენსკიმ; *მიც.* როჟდესტვენსკის; როჟდესტვენსკი!)
**როსელინი** (როსელინიმ; *მიც.* როსელინის; როსელინი!)



**როსი** (როსიმ; *მიც.* როსის; როსი!)
**როსინი** (როსინიმ; *მიც.* როსინის; როსინი!)
**სალიერი** (სალიერიმ; *მიც.* სალიერის; სალიერი!)
**სკარლატი** (სკარლატიმ; *მიც.* სკარლატის; სკარლატი!)
**სტანისლავსკი** (სტანისლავსკიმ; *მიც.* სტანისლავსკის; სტანისლავსკი!)
**სტოკოვსკი** (სტოკოვსკიმ; *მიც.* სტოკოვსკის; სტოკოვსკი!)
**სტრავინსკი** (სტრავინსკიმ; *მიც.* სტრავინსკის; სტრავინსკი!)
**ტვარდოვსკი** (ტვარდოვსკიმ; *მიც.* ტვარდოვსკის; ტვარდოვსკი!)
**ტოლიატი** (ტოლიატიმ; *მიც.* ტოლიატის; ტოლიატი!)
**ტოლსტოი** (ტოლსტოიმ; *მიც.* ტოლსტოის; ტოლსტოი!)
**ტომაშევსკი** (ტომაშევსკიმ; *მიც.* ტომაშევსკის: ტომაშევსკი!)
**ტორიჩელი** (ტორიჩელიმ; *მიც.* ტორიჩელის; ტორიჩელი!)
**ტოსკანინი** (ტოსკანინიმ; *მიც.* ტოსკანინის; ტოსკანინი!)
**ტროცკი** (ტროცკიმ; *მიც.* ტროცკის; ტროცკი!)
**ფელინი** (ფელინიმ; *მიც.* ფელინის; ფელინი!)
**ფერარი** (ფერარიმ; *მიც.* ფერარის; ფერარი!)
**ფერმი** (ფერმიმ; *მიც.* ფერმის; ფერმი!)
**ფლორენსკი** (ფლორენსკიმ; *მიც.* ფლორენსკის; ფლორენსკი!)

**შიმანოვსკი** (შიმანოვსკიმ; *მიც.* შიმანოვსკის; შიმანოვსკი!)
**შჩერანსკი** (შჩერანსკიმ; *მიც.* შჩერანსკის; შჩერანსკი!)
**ჩაიკოვსკი** (ჩაიკოვსკიმ; *მიც.* ჩაიკოვსკის; ჩაიკოვსკი!)
(ელენე) **ჩერნეი** (ჩერნეიმ; *მიც.* ჩერნეის; ჩერნეი!)
**ჩერნი** (ჩერნიმ; *მიც.* ჩერნის; ჩერნი!)
**ჩერნიშევსკი** (ჩერნიშევსკიმ; *მიც.* ჩერნიშევსკის; ჩერნიშევსკი!)
**ჩომსკი** ‖ **ხომსკი** (ჩომსკიმ; *მიც.* ჩომსკის; ჩომსკი!)
**ჩორნი** (ჩორნიმ; *მიც.* ჩორნის; ჩორნი!)
**ძავატინი** (ძავატინიმ; *მიც.* ძავატინის; ძავატინი!)
**ძერჟინსკი** (ძერჟინსკიმ; *მიც.* ძერჟინსკის; ძერჟინსკი!)
**ძეფირელი** (ძეფირელიმ; *მიც.* ძეფირელის; ძეფირელი!)
**ხომსკი**, იხ. **ჩომსკი** (ხომსკიმ; *მიც.* ხომსკის; ხომსკი!)
**ჯილი** (ჯილიმ; *მიც.* ჯილის; ჯილი!)

შენიშვნა: ჩამოთვლილი გვარების მრავლობითში ხმარებისას ბოლოკიდური **ი** ხმოვანი მოიკვეცება, ასე: **ვისოცკები**, **დიმიტრიადები**, **ტოლსტოები** და სხვ.



სათანადო ფორმებს მსგავსადვე აწარმოებს:

ა) **-თი** დაბოლოებიანი ოსური გვარები, მაგალითად:

**კოკოითი** (კოკოითიმ; *მიც.* კოკოითის; კოკოითი!)
**სანაყოთი** (სანაყოთიმ; *მიც.* სანაყოთის; სანაყოთი!)
**ჯუსოითი** (ჯუსოითიმ; *მიც.* ჯუსოითის; ჯუსოითი!)

ბ) **-ლი** ან **ოღლი** კომპონენტზე ფუძეგათავებული თურქულენოვანი (მათ შორის აზერბაიჯანული) გვარები, მაგალითად:

**ნაზარლი** (ნაზარლიმ; *მიც.* ნაზარლის; ნაზარლი!)
**ჯაფარლი** (ჯაფარლიმ; *მიც.* ჯაფარლის; ჯაფარლი!)
**ჯაფაროღლი** (ჯაფაროღლიმ; *მიც.* ჯაფაროღლის; ჯაფაროღლი!)

დანართი II

## პუნქტუაციის ძირითადი წესები

I. **ბრჭყალები** – ორი მსგავსი სასვენი ნიშანი, რომლებიც შედგება საპირისპირო მიმართულების (ქვედა და ზედა) წყვილი მძიმისაგან („ “), ან შემხვედრი ორი წყვილი კუთხოვანი ნიშნისაგან (« »), ანდა სავსებით იდენტური ნიშნებისაგან (" "). ბრჭყალები იხმარება:

1) სხვისი ნათქვამის, ციტატის მოყვანისას ან ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო, სავაჭრო თუ კულტურული დაწესებულების, ჟურნალის, გაზეთის, ალმანახის, ანდა ლიტერატურული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოების სათაურის დასახელებისას. მაგ.: „ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი, „სხვა საქართველო სად არი?“, „აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“ (ა. კალანდაძე);

2) ტექსტში სიტყვის ან მისი ნაწილის გამოსაყოფად. მაგ.: „ისეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ გავანამცეცეთ“ (ილია); უწმიდესი მესტუმრა და... „ბუნების ქომაგი“ მიწოდა (პრესიდან);

3) უცხოური სიტყვის ფონეტიკურ თავისებურებათა დედაენის ასოებით (ხშირად დამახინჯებით) გადმოსაცემად. მაგ.: „ამ შემთხვევაში... მუშაობს... გრძნობა „კლიაუზნიკობისა“. „კლაუზნი“ ხალხნი ვართ და რა ვქნათ“ (ვაჟა); უკვე „დამკაში“ გასული, ბოლო ეტაპზე ჩავიჭერი (პრესიდან);



4) ირონიული შეფასების გამოსახატავად. მაგ.: ჩვენი „უშიშარი გმირები“ კისრის ტეხით გარბოდნენ იქიდან. ირონიულად ნახმარ სიტყვასა თუ გამოთქმას ხშირად წინ უძღვის სიტყვათშეხამება „ეგრეთ წოდებული“ (შემოკლებით – ე. წ.). მაგ.: „ამისთანა საქმე მოსდის... ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ წოდებულ „დედათა უფლების საქმეს“ შეეხება“ (ილია); სამწუხაროდ, ისტორიას ერთი უცნაური „ავადმყოფობა“ სჭირს (პრესიდან);

5) XIX ს-ის მწერლობაში ტირე არცთუ იშვიათად ენაცვლება ბრჭყალები. ზოგჯერ (განსაკუთრებით, უფროსი თაობის მეტყველებაში) ტერმინი „ბრჭყალები“ მოიხსენიება „წინწკლებად“.

II. **დეფისი** (ლათ. divisio, გერმ. Divis = დაყოფა, დანაწევრება) სასვენი ნიშანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი (-), რომელიც იხმარება:

1) ერთზე მეტი მნიშვნელობის (ჩვეულებრივ, ორმნიშვნელობიანი) რთული სიტყვების კომპონენტთა დასაკავშირებლად. ამ შემთხვევაში ენაცვლება **და** კავშირს (ცოლ-ქმარი, ხელ-ფეხი, ქართლ-კახეთი). ამ დროს წინა კომპონენტი (კომპონენტები) ფუძის სახით წარმოდგება (თუშ-ფშავ-ხევსურეთის სოფლები);

2) გაორმაგებული ფუძეებისა თუ ფორმების დასაკავშირებლად (ტყე-ტყე, ორ-ორი, ის-ის იყო);

3) დანართიანი სახელის შემცველი მსაზღვრელ-საზღვრულს შორის (სახლ-მუზეუმი; წევრ-კორესპონდენტი);

4) ზმნისწინებით განსხვავებულ ზმნებსა თუ ანალოგიურ სახელზმნურ (მასდარულსა და მიმღეობურ) ფორმებს შორის (მიარ-მოიარა, მისვლა-მოსვლა, შესასვლელ-გამოსასვლელი); ...ორივეს ყოფნა-არყოფნა ამაზეა დამოკიდებული... (პრესიდან);

5) ორმაგი გვარის გასაფორმებლად (ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი);

6) ამა თუ იმ სიტყვას დართული ზოგი ნაწილაკის, განსაკუთრებით ე. წ. „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკთა გასაფორმებლად (ჩუმად-მეთქი; შენ უთხარი, მოდი-თქო);

7) შესიტყვების ფორმის მქონე უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა, კერძოდ, ქალაქების სახელწოდებათა კომპონენტებს შორის (ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო; იასნაია-პოლიანა);

8) აკრონიმული, ანუ ინიციალური წესით შედგენილი უცხოური აბრევიატურების გასაფორმებლად, კომპონენტების საწყისი ასოების სახელწოდებათა შორის (BBC ბი-ბი-სი, CNN სი-ენ-ენი, КГБ კა-გე-ბე);

9) სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოდგენილი ნაირგვარი ნიშნების – ასოს (ასოების) და ციფრის, სიტყვისა და ციფრის (არაბულის, რომაულის), უცხოური ასოს ან ციფრისა და ქართული მაწარმოებელი აფიქსის დასაკავშირებლად, აგრეთვე ამ ნიშნების კომპოზიტად გაფორმებისას (მე-2, ვახტანგ V-მ, ტუ-154, **-ენ**-ისა და **-ებ**-ის, 11-სართულიანი...);



10) მომიჯნავე ციფრების ან სიტყვიერად გამოხატული რიცხვების დასაკავშირებლად **და/ან** კავშირის ფუნქციით (I-II კლასები, ხუთი-ექვსი წლის ბავშვები, X-XI საუკუნეები, 2010-2011 წლები); თუ სხვაობა შეერთებულ რიცხვებს შორის ერთზე მეტია, მაშინ საწყისსა და ბოლო ციფრს შორის გრძელი ხაზი, ტირე (–) დაიწერება (მაგ., XII – XVIII საუკუნეები, 2000 – 2005 წლები). ორსავე შემთხვევაში წინა კომპონენტი სახელობით ბრუნვაში დგას (პირველი-მეორე კლასები);

11) ფართოდ გავრცელებული სიტყვების საწყისი და ბოლო ნაწილების შესაერთებლად (ბ-ნი < ბატონი, საზ-ბა < საზოგადოება...);

12) სიტყვის დამარცვლისას და გადატანისას (სკო-ლა, სას-წავ-ლე-ბე-ლი), აგრეთვე სიტყვის გრამატიკული ანალიზისას, მაგალითად: ს-თხ-ოვ-დ-ნენ.

დეფისით შეერთებული სიტყვები, როგორც წესი, ერთსა და იმავე „სემანტიკურ ველს“ განეკუთვნება და ხშირად სინონიმებად ან ანტონიმებად გვევლინება (სვე-ბედი, ბედ-იღბალი; ავ-კარგი, მეტ-ნაკლები). დეფისით გაფორმებული რთული სიტყვების (კომპოზიტების) ზედსართავებად ან აბსტრაქტულ სახელებად ქცევისას დეფისი უქმდება და კომპონენტები გაუთიშავ სიტყვად დაიწერება (და-ძმა, მაგრამ: დაძმური, დაძმობა). ზოგი ევროპული ენისაგან განსხვავებით, ქართულში დეფისი არ იწერება ხმოვანშეცვლილი ან თითო-ოროლა ბგერით გართულებული ორმაგი

ფუძეების შემცველ სიტყვებში (მაგ., ხევხუვი, არემარე; გოგლიმოგლი, შდრ. რუს. гоголь-моголь). ამგვარი დაწერილობის საფუძველია რთული სიტყვის თუნდაც ერთი შემადგენელი ნაწილის სემანტიკური ბუნდოვანება.

დეფისის ხმარების წესი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ან გამოთქმის კომპონენტის ცვეთის კვალობაზე (მაგ.: რკინიგზა < რკინი-გზა < რკინის-გზა < რკინის გზა).

III. **კითხვის ნიშანი** (?) 1) დაისმის კითხვითი მიმართვის შემცველი სიტყვის, ფრაზის ან წინადადების ბოლოს. არა აქვს მნიშვნელობა, ამ კითხვებში მონაწილეობს თუ არა კითხვითი სიტყვა-წევრები ან კითხვითი ნაწილაკები. შევადაროთ ორი წინადადება, ერთი მხრივ:

„რომელი სცნობს შენს სახეს? ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახილს ვინ დაიჯერებს?“ (გ. ტაბიძე); „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ (აკაკი); ვინ და რა გადაარჩენს საქართველოს ენერგეტიკას? (პრესიდან);

მეორე მხრივ:

„ – შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო?“ (ზღაპარი); „ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?“ (გრ. ორბელიანი); „ – გირგოლა, შენა?“ (ალ. ყაზბეგი); „ – არაბი ხარ? – იეზიდი“ (ა. კალანდაძე);

2) ზოგჯერ კითხვის ნიშანს უსვამენ რიტორიკულ კითხვასაც, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთი კითხვა მხოლოდ ფორმის მიხედვით არის კითხვის სტრუქტურისა, შინაარსი კი მტკიცებითი ხასიათისაა. ამიტომ ასეთ



კითხვას შესაფერისია დაესვას კითხვით-ძახილის ნიშანი (იხ.).

IV. **კითხვით-ძახილის ნიშანი** (?!) წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის – კითხვისა და ძახილის ნიშანთა კომბინაციას და იგი იხმარება ძირითადად რიტორიკული კითხვის შემცველი, ე. წ. კითხვით-ძახილის წინადადების შემდეგ, მაგალითად:

„მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“ (რუსთაველი); „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ (რუსთაველი); „კაცია ადამიანი?!“ „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ (ილია); „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!“ (აკაკი); ხომ არსებობდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქეთევან დედოფალი, ექვთიმე თაყაიშვილი და დიმიტრი თავდადებული?! (პრესიდან).

V. **მრავალწერტილი** (...) ჰორიზონტალურ რიგში გამწკრივებული სამი წერტილის კომბინაციაა (ტერმინის პირველი – „მრავალ“ კომპონენტის უძველეს ტრადიციულ სინონიმად რიცხვი სამი იხმარებოდა). ეს სასვენი ნიშანი გამოიყენება გაწყვეტილი სიტყვის ან დაუმთავრებელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს, მათ შორის, ციტატის არასრულად მოყვანისას. მაგალითად: ძალოვანი სტრუქტურები არ არჩევენ... საპროტესტო გამოსვლებს (პრესიდან).

„მტკი...“ და დადუმნა ხოლო“ („შუშანიკის წამება“); „კუთხიგორს ერთი ვარსკვლავი ციმციმებს... ქრება... ციმციმებს“ (ა. კალანდაძე); მთავა-

რი მაინც თქვენი უნიკალური ეზოა, თავისი... პატარ-პატარა ხიდებით... (პრესიდან).

VI. **მძიმე** (,) იხმარება:

1) შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრთა უკავშიროდ შესაერთებლად: „მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე, დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე“ (ილია); „ხან მიწისა ვარ, ხან – ცისა, ხან არც ესა ვარ, არც ისა“ (აკაკი);

2) რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებათა უკავშიროდ შესაერთებლად: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (რუსთაველი);

3) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მიჯნაზე – როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთებისას: „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა“ (ილია); ირიჟრაჟა თუ არა, სახლი ალყაში მოვაქციეთ (პრესიდან); „არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (რუსთაველი); ხელისუფლების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა ხდება აფხაზეთში (პრესიდან);

4) თუ კავშირიანი წინადადება მოსდევს მთავარს, მძიმე ამ კავშირის წინ დაიწერება და არა მომდევნოდ. ეს კავშირებია: *მაგრამ, ანდა, თუმცა, ოღონდ, სადაც, როცა* და მისთ.;

5) განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, მათ შორის ჩართულის, დანართის ან მიმართვის გამოსაყოფად: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი“ (ვაჟა); თუ



ასეთი სიტყვები და გამოთქმები წინადადების შუაშია, მათ მძიმე ორივე მხრიდან გამოყოფს: „გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი“ (ბარათაშვილი); „გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ“ (რუსთაველი); დალოცვილო, გუშინ არ გყავდა ტერორისტები შენს ტერიტორიაზე? (პრესიდან);

6) ამა თუ იმ წიგნის, სტატიისა და ა. შ. დოკუმენტაციის გაფორმებისას: ავტორის, წიგნის სათაურის, ტომის, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და დროის შესახებ არსებული ცნობების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. მაგ.: ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, „განათლება“, 1998;

7) მძიმე ტირესთან ერთად იხმარება ავტორისეული სიტყვებისა და პერსონაჟთა მეტყველების გასამიჯნავად: „ – მე აღარა მესმის-რა, – უთხრა ძმამა, – ამ საცოდავობამ გამაშტერა“ (ილია); – არა მგონია, აბაშიძე მედლით მოხიბლულიყო, – მიაჩნია ძიძიგურს (პრესიდან).

VII. **ორწერტილი** (:) იხმარება:

1) რისამე ჩამოთვლისას; დაისმის ჩამოსათვლელი საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვების წინ, მათი განმაზოგადებელი წინამავალი სიტყვის ან მისი შემცველი ფრაზის შემდეგ. განმაზოგადებელ სიტყვებად ხშირად გამოიყენება განსაზღვრებითი და ზოგი სხვა სახის ნაცვალსახელები: *ყველა, ყველაფერი, ყოველი, სხვადასხვა...*, აგრეთვე ზმნისართები: *ყველგან,*

*ყოველთვის, მუდამ* და სხვ.: „ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი“ (ვაჟა);

2) ორწერტილი იხმარება მაშინაც, როცა წინამავალ წინადადებაში გარკვეული მინიშნებაა მომდევნო განმარტებაზე. ამ შემთხვევაში მიმანიშნებელი სიტყვებია: *შემდეგი, შემდეგნაირად, ასეთი, ამისთანა, ასეთნაირად, ამგვარად, სახელდობრ, კერძოდ, მაგალითად* და ა. შ. მაგ.: კავკასიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს, კერძოდ: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები...;

3) ორწერტილი დაისმის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში წინამავალი მთავარი წინადადების შემდეგ, რომელსაც მოსდევს მიზეზის (ზოგჯერ მიზნის) ამხსნელი დამოკიდებული წინადადება: „არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს“ (ილია);

4) ორწერტილი დაისმის პირდაპირი ნათქვამის წინამავალი ავტორისეული სიტყვების შემდეგ, რომლებიც ძირითადად „მეტყველებაწრის“ ზმნებით გამოიხატება: *ნათქვამია, თქვა, უთხრა, ბრძანა* და მისთ. მაგ.: „ყმამან უთხრა: ესე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა“ (რუსთაველი); „იას უთხარით ტურფასა: „მოვა და შეგჭამს ჭიაო“ (ვაჟა);

5) ამგვარ ზმნებს გარდა, ავტორისეულ სიტყვებში ხშირად მონაწილეობს მეტყველების აღმნიშვნელი სახელებიც (**ანდაზა, სიტყვები, არაკი**). მაგ.: „უბრძანა: ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი“ (რუსთაველი);



„თქვა რუქამ *არაკი...*“ (საბა); „...არც ეს ბესარიონ გაბაშვილის *სიტყვებია* ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“ (ილია); გალაკტიონის *სიტყვები* გამახსენდა: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“ (პრესიდან).

VIII. **ტირე** (–) წარმოადგენს ჰორიზონტალურ სწორ ხაზს, რომელიც დეფისს სიგრძეში ორჯერ აღემატება.

1) ტირე იხმარება შერწყმულ წინადადებაში ამა თუ იმ გამოტოვებული წევრის საკომპენსაციოდ. მაგ.: „არც მიწისა ვარ, არც – ცისა“ (აკაკი, – გამოტოვებულია *ვარ* ზმნა); ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მეორეში – ყვავილები (გამოტოვებულია თანდებულიანი სახელი „ხელში“ და ზმნა „უჭირავს“);

2) ტირეს ძირითადი ფუნქციებია: ა) დიალოგურ მეტყველებაში თანამოსაუბრეთა ნათქვამის გამოყოფა ერთმანეთისაგან და ბ) პირდაპირი ნათქვამისა – ავტორისეული რემარკისაგან:

ა) „– ტარხუნა ხომ არის?
– გახლავს.
– კიტრი?
– კიტრიც გახლავს“ (ილია);

ბ) „– არა, წარმოსთქვა მან, – წავიდე, გავშორდე აქაურობას“ (ვაჟა).

იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს წინადადებაში თავკიდურ ან ბოლოკიდურ ავტორისეულ რემარკას, ტირე შესაბამისად მოსდევს ან უსწრებს, ხოლო შუაში მოთავსებულ

ავტორისეულ სიტყვებს ტირე ორივე მხრიდან ერთვის წინამავალი მძიმის თანხლებით. მაგ.: „ – დახე, ძაღლი პატრონს არ მოშორებია, – წამოიძახა ამხანაგმა, – დალოცვილი პირუტყვია!“ (ილია); მისასალმებელია, რომ ძალოვანი სტრუქტურები არ არბევენ... საპროტესტო გამოსვლებს, – განაცხადა... სხდომის ერთ-ერთმა მონაწილემ (პრესიდან);

3) ზოგჯერ ტირეს საშუალებით გამოიყოფა ჩართული სიტყვები, დანართი თუ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

„...ჩემი გონების თვალი... ერთ წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა“ (ილია); ჯინით სავსე ბოთლს ვგავარ – ერთი სული მაქვს, როდის დავიცლები (პრესიდან);

4) დასასრულ, ტირე იხმარება რისამე ჩამოთვლისას – განმაზოგადებელ სიტყვასა და მასში შემავალი ჩამოსათვლელი კონკრეტული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებს შორის. მაგ.: „ერთს ადგილში ხუთი ირემი მოეკლა – სამი ხარი, ორი ფური, ერთიღა გაჰქცეოდა“ (ვაჟა).

5) შეიძლება განმაზოგადებელი სიტყვები უკუთანამიმდევრობითაც იყოს დალაგებული. მათ შორის ტირე მაინც იხმარება. მაგ.: „...პატივცემული ღიპი, კოტიტა ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „სულის“ ღირსეული სამკაული“ (ილია).



IX. **ფრჩხილები** ( )

ფრჩხილები ვერტიკალურად განლაგებული და მიმართულებით ერთმანეთის შემხვედრი წყვილი ნიშნისაგან შედგება. ფრჩხილები ორგვარია: ა) *მრგვალი* ( ) და ბ) *კვადრატული* [ ].

1) **მრგვალ ფრჩხილებში ჩაისმება**:

ა) სიტყვა, ფრაზა ან მთელი წინადადება, რომელიც განმარტავს ან აზუსტებს სათანადო წინამავალი სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების მნიშვნელობას, დამახასიათებელია პუბლიცისტური და სამეცნიერო სტილისათვის. მაგალითად:

„...გვერდით ხონჩით (გოზი) მწვადად გამოჭრილი ...ხორცი ედგა“ (ვაჟა); „ხოშიას მკვდრებისათვის უნდა „სახელი შაედვა“ (საჭმელ-სასმელი შაეწირა)“ (ვაჟა); „უცებ მიგიზიდავდათ ჭკვიანური თვალებით (მის თვალებს დღესაც აქვთ ამის უნარი)“ (რ. ინანიშვილი); ასეთი მოღვაწის „ჩვენს გუნდში“ თამაში (ფეხბურთს არ ვგულისხმობ ამჯერად) უნდა გვიხაროდეს (პრესიდან);

ბ) ამა თუ იმ ლიტერატურული წყაროდან ციტირებისას, აზრის, ილუსტრაციის მოყვანისას ფრჩხილებში ჩაისმის ავტორის გვარი, ნაწარმოების სათაური, გამოცემის წელი, ადგილი და გვერდი (გაზეთში – ზოგჯერ სვეტი და სტრიქონიც);

გ) ფრჩხილებში ჩაისმის აგრეთვე კომენტარის ტოლფასი უცხოური (ძირითადად ლათინური) რამდენიმე შემოკლება: (resp.), (sic!)... ეს უკანასკნელი იხმარება მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად;

დ) მარჯვენა, ჩამკეტი ფრჩხილი ახლავს ჩამოსათვლელი პუნქტებისა თუ ქვეპუნქტების აღმნიშვნელ ციფრებს ან ასოებს: მაგ.: 1), 2), 3)... ან ა), ბ), გ)...; ეს წესი განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში მიღებული წესისაგან, რომლის მიხედვითაც განსახილველი საკითხების ან ილუსტრაციების ნუმერაცია ხდება ორმხრივი ფრჩხილების საშუალებით: (1), (2), (3)...

**2) კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის**:

ა) ლიტერატურული წყაროდან დამოწმებულ ილუსტრაციაში მციტირებლის მიერ აზრის გათვალსაჩინოებლად ან დასაზუსტებლად აღდგენილი სიტყვა ან სიტყვათშეხამება. მაგალითად:

„[აფხაზებს სწამდათ, რომ] არსებობს... ტაროსისა და მეხის ღვთაება“ (ივ. ჯავახიშვილი): „[ზერიძემ] უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი...“ (ვაჟა); „[სამხედველო] ნერვი რომ გადაიჭრას, კაცი მაშინ ვეღარაფერს დაინახავს“ (ი. გოგებაშვილი);

ბ) ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიღებული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის მიხედვით, პარალელურ ვარიანტთაგან კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმება უკვე გაქრობის გზაზე დამდგარი ვარიანტები ([ერთჟამიერი //] ერთდროული), აგრეთვე შემდგენელთა ამკრძალავი შენიშვნები: [*და არა*] ან [*კი არა*]. მაგ.: [ჭადი *კი არა*] მჭადი; მებადური [*და არა* მებადურე].

**X. ძახილის ნიშანი** (!) **იხმარება**:

1) ძახილის ან ბრძანებითი წინადადების ბოლოს სხვადასხვა გრძნობის ან ბრძანება-მოწოდების ექსპრესიულად გამოსახატავად. მაგ.: „რა



კარგი ხარ, რა კარგი!“ (ი. გრიშაშვილი); „სმენა იყოს და გაგონება!“ (ალ. ყაზბეგი);

2) ლოცვებში ღვთისადმი მიმართვისას: „უფალო, შემიწყალე!“ ეს სასვენი ნიშანი, როგორც წესი, გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში;

3) ძახილის ნიშანი დაისმის აგრეთვე სხვადასხვა ენობრივ ფორმულაში:

ა) მისალმება-გამომშვიდობებისას: გამარჯობა! სალამი! მშვიდობით! გზა მშვიდობისა!

ბ) მიპატიჟებისას: მობრძანდით! დაბრძანდით! მიირთვით!

გ) ლოცვისა და წყევლის ფორმულებში: ღმერთმა დაგლოცოს! ეშმაკმა დალახვროს! ლანძღვა-გინების შემცველ გამოთქმებში: დედას გიტირებ!

დ) გამაფრთხილებელ განცხადება-მოწოდებებში: ფრთხილად! ჩუმად! მათ შორის საერთაშორისო ფორმულებშიც: SOS!);

ე) სამხედრო ბრძანებებსა და სპორტულ განკარგულებებში: სწორდი! სმენა! ნაბიჯით იარ! ცეცხლი! ხელები მაღლა!..: გაისმა ბრძანება – „სმენა“ (პრესიდან);

ვ) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლოზუნგებში (განსაკუთრებით, ზმნის გამოტოვებისას): „ყველანი – არჩევნებზე!“ „პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“

ყველა ამ სახის გამოთქმაში ზმნა, როგორც წესი, გამოტოვებულია და დარჩენილი ნაწილის (ერთი ან ორი სიტყვის) ექსპრესიის გასაძლიერებლად, გამოტოვებული ზმნის საკომპენსაციოდ ძახილის ნიშანი იხმარება;

4) წინადადების თავში მოთავსებული ცალკე მდგომი შორისდებულის, უარყოფითი **არა** ნაწილაკის ან წოდებითში დასმული სახელის შემდეგ: – არა! მხოლოდ დღეს შენ დაიბადე“ (გ. ტაბიძე).

როგორც წესი, ძახილის ნიშანი ახლავს წინადადების თავში (ცალკე მდგომ) წოდებითის ფორმით წარმოდენილ სახელს (მიმართვის ფორმას):

„*ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო*!“ (ხალხური ზღაპარი „მელია და ჩიტი“); „*მეგობრებო*! წინ, წინ გასწით!“ (ი. ევდოშვილი).

თუკი შორისდებულს სახელის მიმართვის ფორმა მოსდევს, მაშინ შორისდებულთან მძიმე დაისმის, ძახილის ნიშანი კი მიმართვის ფორმის შემდეგ გადაინაცვლებს:

„*ოხ, ღმერთო ჩემო*! სულ ძილი, ძილი...“ (ილია); „*ვაშა, რაფიელ*! უმრავლოს მამულსა შენებრი შვილი!“ (სოსელო);

მიმართვის ფორმის გამეორების დროსაც ძახილის ნიშანი ბოლო გამეორებული სიტყვის შემდეგ დაისმის, წინამავალი კი მძიმით კმაყოფილდება: „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიც!“ (ილია).

ძახილის ნიშანი იხმარება აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში უსიტყვო კომენტარის აღსანიშნავად და მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. ეს ნიშანი ახლავს ფრჩხილებში ჩასმულ ლათინურ შემოკლებასაც (sic!).



**XI. წერტილი** (.) დაერთვის: 1) თხრობით წინადადებას, რომელიც შეიცავს ფაქტის კონსტატაციას და წარმოადგენს სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით ნეიტრალურ მტკიცებას. სალიტერატურო ენაში, როგორც წესი, წერტილით ფორმდება წინადადებები სამეცნიერო ხასიათის ნარკვევების, საქმიანი ქაღალდებისა და საინფორმაციო საშუალებების (მედიის) ენაში. მაგალითად:

„ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ“; „გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში“;

2) წერტილი იხმარება სიტყვის შესამოკლებლად: ა) ადამიანის სახელის ან სახელ-გვარის ინიციალების (საწყისი ასოების) შემდეგ. მაგ.: **ი. ჭ.** (= ილია ჭავჭავაძე); **ბ)** გეოგრაფიულ სახელთა წინამავალი ნომენკლატურული ტერმინის შესამოკლებლად: **ქ.** თბილისი; **მდ.** მტკვარი, **სოფ.** მარტყოფი; **გ)** ენაში არსებული ზოგი მზა ფორმულის შესამოკლებლად: **ე. ი.** (= ესე იგი), **ე. წ.** (= ეგრეთ წოდებული), **და ა. შ.** (= ასე შემდეგ), **იხ.** (= იხილე), **შდრ.** (= შეადარე)...;

3) პუნქტობრივ ჩამოთვლისას ციფრების ან ასოების შემდეგ: **1. 2. 3.**, ანდა: **ა. ბ. გ.** თარიღების შემადგენელი კომპონენტების (თვე, რიცხვი, წელი) გასამიჯნავად.

**შენიშვნა**: ადრე (უპირატესად – ოქტომბრის რევოლუციამდე) წერტილი იწერებოდა წიგნის, საგაზეთო სტატიისა და მისთ. სათაურის ან

ცალკეული თავების სათაურების შემდეგაც, მაგრამ თანამედროვე ქართულში ყველა ამგვარ შემთხვევაში წერტილი უკვე აღარ იხმარება: გამოსაყოფი ერთეულები სხვადასხვა ვიზუალური ხერხით (შრიფტი, განლაგება...) იმიჯნება დანარჩენი ტექსტისაგან.

XII. **წერტილ-მძიმე** (;) წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის შეხამებას, რომელშიც მძიმეს (,) თავზე აზის წერტილი. ეს ნიშანი თავისი საპაუზო ფუნქციით წერტილზე ნაკლებია და მძიმეზე მეტი. იგი იხმარება:

1) თხრობითი წინადადების ბოლოს, რომელიც ანალოგიური ან თანამიმდევრული მოქმედებების ამსახველი მთელი სერიის ერთი რგოლი, ერთი შემადგენელი ნაწილია. მაგალითად:

„ფუტკრები ათიათასობით ერთად ცხოვრობენ; ყოველივე საქმეს ისინი შეერთებული ძალღონით აკეთებენ; ჯერ ფიჭებს აკეთებენ; ფიჭის უჯრედებში დედა-ფუტკარი კვერცხებს სდებს“ (ი. გოგებაშვილი);

2) საკანონმდებლო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში წერტილ-მძიმე დაისმის ანბანური თანამიმდევრობით გამოყოფილი (ა.; ბ.; გ...) ყოველი ქვეპუნქტის (მაგ., კოდექსში) ბოლოს, რომლის შემდეგაც ახალი ქვეპუნქტი აბზაცით იწყება.



# წ ყ ა რ ო ე ბ ი


ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002; 2007; 2009.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970, 1986.

ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, 1988, 2005.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, თბ., 2009.

ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I- II, თბ., 2008-2010.

ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბ., 2011.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I-XII, თბ., 1972-2004.

მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.